

საქართველო  
1852  
N2 2023

გიორგი ბალახაშვილი – ლექსები

ნინო ფარბაისელი სტრონი –  
ქართული პოეზიის პანორამა

სემიონ ვინოკური –  
„ადონაი ელოპეინო ადონაი ეხად!“

ნინო ფარბაისელი სტრონი





№ 2 // 2023

ლიცენზიანული –  
სამსახურის მიერ გვითარებული კულტურული მუზეუმი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიშვილი

კომიტეტის უზრუნველყოფა  
მარინე სიმაშვილი

დიზაინი  
ქათი გომართელი  
ირაკლი უშვერიძე

არა გამოიცის  
სამართლის კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

# სარჩევი

პორტალი	ნომერი	ახალი თარიღი
გიორგი ბალახაშვილი ლექსები	3	სემიონ ვინოკური „ადონაი ელოპეინო ადონაი ეხად!“ რუსულიდან თარგმნა თამარ ოქრუაშვილმა
პროგნოზი ოთარ გოგალაძე და იყო თერთმეტი სექტემბერი	8	ალექსანდრე ებანოიძე სოფლის მშვენიერი სასაფლაო რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ
თურქიული პატარები ნინო დილმელაშვილი მოთხრობები	28	ტობაიას ვულფი დაეთანხმე ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა
პრიზანა-ესეისტისა ნინო დარბაისელი სტრონი ქართული პოეზიის პანორამა ხედი – კახეთი (წერილი მეორე)	34	ინგილაბ ისპაკი ლექსები აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ
უკალინ სირაძე ესქატოლოგიური უამის მოლოდინში (ზურაბ კიკნაძის წიგნებზე ფიქრისას)	48	ისტორიის ფურცლები ვახტანგ გურული ქართული საზოგადოება დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღეს

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ  
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

# გიორგი ბალახაშვილი



## არყოფნის ანგელოზი

როცა არყოფნის ანგელოზი ჩამოფრინდება  
და შენს ლოგინთან წამოჯდება, სანამ სიზმარში  
დედა ზამთრისთვის მურაბების შეკვრას გიხარშავს,  
კომშებსაც კოხტად ჩაამნერივებს ოქროშინდებთან,  
ნუ გაიღვიძებ, ნუ იჩქარებ, გთხოვ, ნუ შეკრთები,  
ეცადე დიდხანს გაიგრძელო ბოლო სიზმარი,  
ფერიცვალების მზეც დაგიცდის ნაივლისარი,  
კიდევ სამი დღე დაიძინე, რადგან ეკვდერი  
სავსეა ჯერაც სხვა გვამებით, ჭირისუფალით,  
სავსეა ჯერაც სხვა არყოფნის ანგელოზებით,  
სავსეა ეზოც ტირიფებით და მიმოზებით  
და ყველა ტირის. ტირის. ტირის. ტირის უფულო  
და ფულიანიც. ყველა ტირის. ტირის და ტირის.  
მშვიდად იძინე. დაისიზმრე შენი არყოფნა.  
შენივე თავი არყოფნაში კარგად ამყოფე.  
სავსეა ეზო. მიმოზები უმზერენ ტირიფს...



თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი  
ჩენივე თავის სიზმრად ვიქცევით,  
კონკებითა და მრუმე ნილბებით,  
ათასი კოჭლი, ყრუ და ელამი.  
დაკარგავს გემოს ყველი, ინდიკა,  
თეთრი ქვრივი და ლურჯი სიზმარი.  
ალბათ, ოდესმე გამოვიზამთრებთ  
და შუამთიდან ოქროშინდა კი  
დაკრიფე ისე რიდით და კრძალვით,  
თითქოს პეპელას ფრთებზე ეხები,  
თითქოს კლდეებზე გაჩნდა ეხები,  
რაღაც უცნაურ, უხილავ ძალით.

თუ წაიმდერებ გულში მაყრულსაც,  
სანამ აგვესო უბე შინდებით.  
ნუ შეშინდები!  
ნუ შეშინდები!  
ნუ შეშინდები,  
მაგრამ თვალ-ყური  
ადევნე ჯირკთან მძინარე ქოფაკს,  
ხანდახან, დღისით თვალებს მილულავს.  
სიზმრებით ასე რომ მოხიბლულა,  
ძილში არ ახსოვს ძალური ყოფა.  
გადავა მზე და მოსვლამდე მწუხრის  
ისწავლი ყველა კარნახის წერას.  
გაელვიძება ქოფაკს თუ მწევარს.  
ჩამოიბერტყავ იმდენხანს მუხლებს,  
შინისკენ წახვალ ამაყად, გზნებით.  
ოქროშინდებით სავსე პერანგით.  
თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი  
სიზმრებად ანდა გზებად ვიქცევით...



შეხედე, თუ როგორ ცვივიან თუთები,  
ნიავის უბრალო, უმწიკვლო შეხებით,  
იფიქრე იმაზე, რომ ველარ შევხვდებით,  
ველარ ვიკამათებთ, არც დასაბუთება  
მოგვიწევს რაიმის, არადა გვაწევდა,  
აბეზარ ბავშვებსაც მოვგავდით ხანდახან,  
თუ გახსოვს ივნისი და ოქროს ჩარდახი  
ან ჩვენი წითელი, აყალო მიწები?  
ახლა კი სახლები სიზმრებად გადიქცნენ,  
სიზმრებად გადიქცნენ შავ-შავი თუთებიც,  
მეზობლის ბალიდან გოგრა ბლის ქურდობა,  
მეზობლის ბალიდან გაქუსვლა სახლისკენ.  
შუადღეს მდინარე. რიყეზე ქოთქოთი.  
რა ფეხზე გვეკიდა ნიცშე და ფრონიდი.  
არ გვქონდა კოდაკი ან პოლარონიდი.  
ბავშვობა – შემკული ფერადი ფოტოთი.  
არც მობილურიდან ვგზავნიდით მესიჯებს,  
ხშირადაც უსიტყვოდ ერთურთი გვიყვარდა,  
მერე ცაცხვებიდან დაფრთხობა ჭილყვავთა  
და სეტყვის ყინულთა მარცვლების მეჯლისი.  
ჩვენც გამოგვაძევეს ბავშვობის ზღაპრიდან,  
მახსოვს, უკითხავად დიდები დაგვარქვეს,  
რა ძნელი ყოფილა, იმ დღეთა დაკარგვა.  
გაფრინდნენ...



სხვისი თხა სხვის ბალში მღეროდა „ოდელიას“,  
სხვის ბალში კენჭებს რომ ვისროდი,

საკუთარ ბავშვობას ვძერწავდი კლოდელივით,  
ხელში შურდულით ან ფიშტოთი.  
ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი სამურაბე,  
შინდი იცლებოდა სისხლისგან,  
ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. ხამურაბი.  
თვალებს მთელი ძალით ვისრესდი,  
ხოლო თვალებიდან მოსჩანდა წინა ღამის  
ჭიაკოკონა და კოცონი.  
მომწონდა. ვაკოცე კინალამაც  
გოგონას, რომელიც მორცხვობდა.  
ბავშვობა თვალსა და ხელს შუა,  
ცვილის სანთელივით გაილია,  
მახსოვდა ბორჯომი. ბეშუმი.  
მახსოვს ქანაანი. გალილეა.  
დღეებიც უპირობოდ დავიხსომე,  
ჩემი უდარდელი ბავშვობის.  
მახსოვს აერების პალინდრომიც,  
ახლა სიბერეა. გამოშრა  
ტვინი მოგონების სისველიდან.  
წავშალე თებერვლის ნარატივი.  
ადრეულ გაზაფხულს მივეკედლე  
და ბუდის ჩამოშლა გაპატიე.  
მერცხლებიც უკან მოვიყოლე,  
დამირჩა არაფრის არაქათი.  
ცა კი – ვარსკვლავების პოლიგონი,  
ვერავის თვალებში გადავხატე.  
სხვისი თხა სხვის ბალში მღეროდა „ოდელიას“,  
ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი სამურაბე.  
ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. ხამურაბი.  
საკუთარ ბავშვობას ვძერწავდი კლოდელივით

## ●

რა სიმშვიდეა სიტყვებს მიღმა. მარადიული  
ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი.  
მატარებელიც მალე გავა – თეთრი მაქმანი  
და საღამომდე დღე იქცევა ნარატივებად.  
შემოდგომაა. ყანჩელია. სრული სიყვითლე.  
თბილისში. რომში. ახლა უკვე ფროსინონემდე.  
და მერე უკან. რომისაკენ. მშვიდად. მომენდე.  
მე არსად წავალ. გამგზავრება გადავიფიქრე.  
გწერ და ფანჯრიდან ირხევიან მწვანე ნაძვები.  
თითქოს წინვებში იმალავენ უძარლვო ფოთლებს  
ცრუ აკაციის. ხმელი არყის, ნაძვი რომ მორთო  
საყურეებით. შეეფაკლათ ნაძვებს ღანვები.  
მარტო ვარ, ისევ თავს ვიმშვიდებ, ხვედრია, ალბათ,  
გყავდეს ათასი მეგობარი და იყო მარტო.  
ამოვალაგე ჩრჩილის საზრდოდ ნაგდები მანტო.  
მძიმე საბანი დათბილული მსუბუქი ბამბით.  
ღვინობისთვიდან გადანახულ კანაფს ვეწევი.

ვერ მივატოვე. არც მიცდია. ვის რას ვუშავებ?  
 არ გამოდგება არასოდეს ჩემგან გუშაგი,  
 ვგრძნობ, აივანიც თავისთავად როგორ ირწევა.  
 რა სიმშვიდეა რწევის მიღმა. მარადიული  
 ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი.  
 მატარებელიც მალე გავა – თეთრი მაქმანი  
 და საღამომდე დღე იქცევა ნარატივებად.

### Mezzanotte

შუაღამეა. მეძანოტე. გწერ პალერმოდან,  
 აივნებიდან გადმოფენილ ხალიჩებს ვითვლი,  
 მტვერი დაედო დიდი ხნის წინ ნაყიდ ჩემოდანს,  
 შობამდე უნდა შევინახო გვირგვინი ფითრის.  
 ეს წერილებიც მოვისროლო, ბუხარში დავწვა,  
 . (წერტილი), (მძიმე)  
 აბზაცი. ცრემლი.

P.S.

და, როგორც უწინ, ჭიქა წყალში ჩავყარო ქაცვი  
 და, როგორც უწინ, ვითამაშო შენთვის პიესა.  
 და, როგორც უწინ, დაგახურო ჩუმად საბანი,  
 და, როგორც უწინ, დაგიკოცნო თმის ბოლოები,  
 და, როგორც უწინ, აბანოში ტანი დაგბანო,  
 და, როგორც უწინ, კორნეტებით, პიკოლოებით,  
 საქსაფონებით, ტრიმბონებით, ვიოლინოთი,  
 ნიუ-იორკელი ვაჭრებივით ვესტუმროთ გეტსბის,  
 ყველა ცეკვავდეს ჩვენს დაკრულზე, ის იდიოტი  
 დირიჟორიც კი, ჯილდა გრეის შემცვლელზე შეცბეს,  
 ორშაბათობით გამოჰქონდეთ პირამიდებად –  
 მსახურებს ჩენჩო-ფორთოხლების, სავსე ლიმნების  
 და სანამ ანძას თეთრი აფრა დაეკიდება,  
 წყალმა წაილოს გემები და ლიმუზინები...  
 შუაღამეა. მეძანოტე. გწერ პალერმოდან,  
 შობამდე უნდა შევინახო გვირგვინი – ფითრის.

### ლოდინი

სანამ წითელი წიგნიდანაც გადაგვაშენეს,  
 მოგონებიდან, სიზმრებიდან, ზმნიდან, ფიციდან,  
 სანამ ზღაპრიდან გაფრენილან უფლის შაშვებიც,  
 ჯერ შემწევს ძალა, საღამომდე ტბასთან გიცდიდე,  
 თან მამშვიდებდეს ულაგამო ცხენის ფრუტუნი  
 და ფერდებიდან აფხეკილი კანაფის მტვერი,  
 ცოტაოდენი სასწაული, ცოტაც თუთუნი,  
 მე შემიძლია მწევარივით ბილიკი ვზვერო,  
 ტბასთან უმიზნოდ გაჩერილი მწვანე ქოხიდან,  
 რომელსაც სუნი აღარ შერჩა ნედლი ბამბუკის  
 და ვფიქრობ ჩემთვის, ამ საღამოს რომ არ მოხვიდე,

ათასი ეჭვი გამიჩნდება, რა უბადრუკი  
კითხვები მოვლენ პასუხისმომვალის, თუმცა ვერაფერს,  
მოვიმიზებები საქილიკოდ, ყველას მოვისვრი  
ტბაში კენჭივით, აიმღვრევა ტბაში ქეძაფი  
ჩამავალი მზის, შევამზადებ თვალებს ლოცვისთვის,  
ანუ დავხუჭავ, სიბნელეში უფრო მარტივად  
მჩვევია შუქის გამოყოფა, როგორც პრიმატებს,  
რადგან ყოველთვის როდი მრჩება ალტერნატივა,  
ლოდინის ნაცვლად შეწზე ლოცვის, ლმერთან პირადად  
გასაუბრების, აღსარების, გულის გადაშლის,  
მონანიების, ბავშვად ყოფნის და ზიარების,  
ცრემლის, ნუგეშის, მოსვენების-უფლის კალთაში,  
რაც მთავარია, მშვიდად ძილის, ნაიარევი  
გულის მცირე ხნით გამრთელება-გამოშუშების,  
თანაბრად სუნთქვის სიხარული და პატიება-  
ჩემი ცხოვრების მეძავების და ჯაშუშების,  
მერე ღრუბელში გამოკრთება ცისკრის მთიებიც,  
როგორც პასუხი ჩემი ლოცვის, როგორც ნიშანი,  
ჯერ შემწევს ძალა, საღამომდე ტბასთან გიცდიდე,  
სანამ წითელი წიგნიდანაც გადაგვაშენეს,  
მოგონებიდან, სიზმრებიდან, ზმნიდან, ფიციდან...



რას ვიფიქრებდი, მოგონების ხეს თუ მოვჭრიდი,  
ჩემივე ხელით, რად მინდოდა განა დიდობა?  
ასე მეგონა, ავაგებდი ნოეს კიდობანს,  
მახსოვს, გირჩებით დატვირთული ბიჭი კოჯრიდან,  
მაგრამ ბავშვობა, უდარდელი, ისე გავიდა,  
როგორც სურნელი ნელსაცხებლის სარკოფაგიდან.  
აღარც ხვლიკისთვის მიფიქრია კუდის მოძრობა,  
ვერც ასანთისთვის გავიმეტე ობობის ქსელი,  
მდინარის პირზეც აღარ ვმჯდარვარ, ცხვირამდე სველი,  
კაკლის მაგივრად, ჯიბით დამაქვს მართვის მოწმობა  
და სადაცაა მოვისროლო, ისე გახუნდეს,  
ფოთოლს კი არ ჰგავს, ალვის ფოთოლს ანუ ვალუტას,  
რომელსაც ფულად მივიჩნევდით ერთ დროს ბავშვები,  
რა კარგი იყო ალაზანზე მთელი აგვისტო,  
მზად არასოდეს არ ვყოფილვართ სახლში წასვლისთვის,  
საკუთარ თავებს სარეცხივით მზეზე ვაშრობდით,  
შინ დაბრუნებას ვინ ჩიოდა, რომ არა თავსხმა,  
მერე ბეჭებზე საათობით მანონის წასმა...  
რას ვიფიქრებდი, მოგონების ხეს თუ მოვჭრიდი,  
ჩემივე ხელით, რად მინდოდა განა დიდობა?



## ოთარ გოგალაძე

### და იყო თართმატი სექტემბერი

ყველაფერი არც ისე დიდი ხნის წინ, შემოდგომის იმ დილით დაიწყო, როცა ფეისბუქის ყალბ ანგარიშზე უცნაური შეტყობინება მივიღე.

ვცდილობ და ვერაფრით ვიხსენებ, რატომ შევედი მაინცდამაინც იმ დილით სოციალურ ქსელში. რომ არ მენახა, თავის მოტყუება რომ არ მეცადა, საერთოდ რომ არ მქონდა ფეიკ ექაუნთი, როგორც ეძახიან. რომ, რომ, რომ...

შემთხვევითობები არ არსებობს.  
არც ბედისწერა.

ვინ იჯერებს ამ სისულელეებს? გადაწყვიტე და შევედი, ის მესიჯიც წავიკითხე და ისევ მგონია, ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი.

ეგეც რომ არ იყოს, იმ ამბამდე რამდენიმე კვირით ადრე, სრულიად უმიზეზოდ თუ პირიქით, ძალიანაც სამართლიანად, რედაქტორმა ამითვალწუნა. ყველა სტატიას უვარებისად მოიხსენიებდა. მე კიდევ არ შემეძლო, ახლაც არ შემიძლია, არარსებული სკანდალების მოგონება. რა დიდი ჭუუა უნდა იმის მიხვედრას, რომ ჩემი საქმე ტრავისკენ მიდიოდა. ხოდა, ეს ამბავი გადამარჩენდა, დარწმუნებული ვიყავი.

რაც სიმართლეა, სიმართლეა – მაგარი უუმური ვარ. ზუსტად მაგის გამო ვერ მიძლებს ვერავინ და აგერ უკვე ხუთი წელია, მარტო ვცხოვრობ.

შემოდგომის იმ დილას (შვებულების მეორე დღე მქონდა) თორმეტ საათამდე მებინა. შვებულება შემოდგომაზე მარტო მაშინ არაა სისულელე, თუ ბათუმში ცხოვრობ. მაგ დროს მოსულა. აბა, ზაფხულში რა ხეირია, ზღვაზე წასვლა დამჭირდება თუ რა. ვინც მე უურნალისტობა მირჩია იმის დედა-მეთქი, გავიფიქრე და ყავის აპარატში კაფსულა ჩავდე. მერე, ალბათ, იმის გამო, ნამდვილ ფეისბუქში საინტერესო რომ ვერაფერი ვნახე, ყალბ ანგარიშზე გადავედი და ის უცნაურობა დამხვდა: „მეგობრებიდან ერთ-ერთმა მოკლა. ბავშვობის მეგობრები იყვნენ“.

პირველი რაც გავაკეთე, მისი ანგარიში შევამოშე. აშკარად ნამდვილი იყო: სურათები, საცხოვრებელი ადგილი, მონიშნული ადამიანები, დაჩეკინებული ლოკაციები. ვახ, მართლა ლილა ერქვა. ამბავიც ამას ჰქვია. იქ, სადაც მომწერა, ყველაზე ბანალური სახელი – გიორგი გიორგაძე მეწერა, ფრჩხილებში – განტენბაინი. ყურადღებას ეს თუ მიიქცევდა.

მაგრად დავიბენი. სწრაფად ფიქრი, მით უმეტეს, გადაწყვეტილების მიღება, ძალიან მიჭირს. თუმცა არც ისე დავბნეულვარ, პირველად ილიკო არ გამხსენებოდა. პირდაპირ თუ მივიდოდი, დამცინებდა, თავისებურად. დაგვიანების შემთხვევაში გამომლანდავდა, ისევ თავის სტილში. დიდი არჩევანი არ მქონია,

სწრაფად ჩავიცვი და სახლიდან გავედი.

სახლში, რა თქმა უნდა, არ დამხვდა. არც გამკირვებია, როდისაა სახლში.

— ლალი დეიდა, ილიკო სადაა? — ვეკითხები. უკეთესს ვის მოვძებნი.

— ოჟ, დიდება შენს გამოჩენას. ასე უნდა დაკარგვა, შეკაცო? ზღვაზე იქნება, ალბათ. რა ვიცი, უთენია წავიდა, დაგაზა.

დაგაზაო. მაგარი ტიპია ქალბატონი ლალი, ნებისმიერ ხასიათს შეგიცვლის.

— რა დროს ზღვაა სექტემბრის ბოლოს, სულ გაგიუბულა.

— რა მნიშვნელობა აქვს რომელი თვეა, ვერ ხედავ, რა ამინდია? ახლა უფრო სასიამოვნოა ზღვის წყალი.

იმედი გამიცრუვდა. მიდი ახლა და ეძებე ამხელა ბათუმში. რომც მოვძებნო, მერე? დამინუებს ღლიცინს.

ისევ შევამოწმე მესენჯერი, კიდევ ხომ არ მოუწერია ლილას-მეტე. არა-ფერი იყო. „მეგობრებიდან ერთ-ერთმა მოკლა, ბავშვობის მეგობრები იყვნენ“. გადავიკოთხე თავიდან. რა სტატია გამოვიდოდა! გაგიუდება ბატონი ვაჟა სიხარულით.

ასე იყო თუ ისე, ილია უნდა მომედებნა.

— წავედი მე, — ვეუბნები ლალის. — რა დროც არ უნდა იყოს დამირეკოს. ასე მეუბნება, მარტო შენი ნომერი მახსოვს ზეპირადო.

— ტელეფონი რომ არ აქვს?

— თქვენ ხომ გაქვთ.

— ერთი შენ გახარებას, — მეუბნება, — დაელაპარაკოს ვინძეს, დაოჯახდეს, წესიერ საქმეს მოკიდოს ხელი. მე ვუხსენებ თუ არა, ანიო ამბობს და მორჩა, ხმას ალარ იღებს მერე. ანი...

ანი ჩემი მეგობარი იყო. კლასე-ლი. ადრე, ჩვენი მოსწავლეობისას, ასე იცოდნენ, გოგოს მოგისვამდნენ გვერდით პირველივე გაკვეთილზე და შენც მთელი სასწავლო წელი განითლებული უნდა მჯდარიყავი, დარცხვენილი. ისე გამოვიდა, ანი ჩემ გვერდით აღმოჩნდა.

მერე, წლები რომ გავიდა, გავიზარდეთ და მასწავლებლის სიტყვაც იმდენად აღარ ჭრიდა, ბიჭებმა ერთმანეთს მიაგნეს, ისევე როგორც გოგოებმა. მხოლოდ ჩვენ ორნი შემოვრჩით ერთ მერხს. იყო ჭრები, რაც დრო გადიოდა უფრო მეტი. მე მაგრად მეკიდა, ანი ჩემზე უგულო იყო ამ საკითხში. რა ვიცი, ასე კი გამოდიოდა, ყველაზე უკეთ გვესმოდა ერთმანეთის. ანი, სკოლაში კი არა, მთელ ბათუმში საუკეთესო გოგო იყო. სილამაზითაც და სწავლითაც ბადალი არ ჰყავდა. არა, მე არ მიყვარდა. მიყვარდა, რა თქმა უნდა, თუმცა სხვანაირად, ადამიანურად. მთელი ქალაქის ბიჭები იმას დასდევდნენ. ყელმი მაქვს ამოსულიო, ხშირად ამბობდა. მხიარული ბავშვიდან სევდიან გოგოდ გადაიქცა. მერე, რატომდაც, ილიკო აირჩია. ილო მაგათ არა ჰეგავს, სულ სხვანაირიაო, ამბობდა. მართალიც იყო.

რამდენიმე წელი ბედნიერად იყვნენ. ილიკო, არც მანამდე და მით უმეტეს, იმის შემდეგ, ეგეთი არ მინახავს. რა მნიშვნელობა აქვს. ლალისაც შვილივით უყვარდა ანი. მერე დეპრესია დაეწყო. მთელი ზაფხული სახლში იყო გამოკეტილი. არადა ზღვა როგორ უყვარდა, მე ხომ მაინც ვიცი. „ყველა მე მაშტერდება“, გამომიტყდა ერთხელ, „ხოდა, ალარ შემიძლია მაგის ატანა. თავი პატარა ბოზი მგონია. ახლა მაგათ გამო როგორ მოვიმტვრიო ეს ამხელა ფეხები“. და მერე, ცრემლიანი თვალებით სევდიანად მიღიმოდა.

გვეგონა, გადალახა. ზღვაზე ვიყავით მე და ილო, ვირუჯებით და უცებ რას ვხედავთ — ანი მოდის. მოდის და მოაქვს!

— აუუ, რა გაასწორაა, — წამოხტა ილიკო, გაფიტრებული იყო, — შენზე ვფიქრობდი ახლა. ახლა რა, ისედაც სულ შენზე ვფიქრობ.

— კაი ახლა, — ეუბნებოდა ანი, — პატარა ბავშვი ხარ, გეუბნები. წამო, ვიბანაოთ, მეც მინდა გარუჯვა, არ მიხდება ეს სითეთრე.

მთელი კვირა ჩვენს საყვარელ ად-

გილზე დავდიოდით. სისულელე გგონიათ, არა? ზღვაა, რა. პლაჟი ერთნაირია ყველა წერტილში. გეგონოთ. ეგ თქვენთვის. აბა, ჩვენ გვკითხეთ, ვინც ბათუმის სანაპირო ხუთი თითივით ვიცით. ხოდა, დავდიოდით სამივე და ხალხი გულზე სკდებოდა, ილიკოსი შურდათ. როგორ შეიძლება ეგრე. მაგარი შვიდი დღე იყო, ზუსტად შვიდი. მერე გაწვიმდა.

გაწვიმდა და სამი დღე არ გამოჩენილა ანი. გამოიდარა თუ არა, ისევ შევიკრიბეთ, ჩვენ – ორნი. ანი არ ჩანდა. ორი დღეც ითმინა ილიკომ და სახლში მიაკითხა. იქაც არ დახვდა, დედამისმა – მე შენთან მეგონაო. ასე უთქვამს, თურმე, მე და ილოს ნასვლა გვინდა სადმე დასასვენებლადო.

ვახ, მაგრად დავიძაბეთ. პოლიციაშიც მივედით. ჩემი ფეხები. მაგაზე თავს ვინ შეიწუხებდა, ვიღაც უნდა გყავდეს მაშინ და ჩარიო. ახლა ვფიქრობ, ილიკომ მაგიტო დაიწყო ეს თავისი გამოძიებები-მეთქი. თან ვინმე თუ დაიკარგა, გაუჩინარდა ან როგორც გენებოთ, გიჟდება. ეგრევე ყველაფრის გამოკითხვას იწყებს. ცუდი ამბები დატრიალდა.

პარასკევს, შუადლისას, როცა პლაჟზე სულ რამდენიმე ადამიანი იყო, ანი ზღვამ გამორიყა. შორიდანვე ვიცანით. ნაზად მოაცურებდა ტალღების გუნდი. თავს არ მოიკლავდა. არც ძალადობის ან რამე მსგავსის კვალი ჩანდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ცურვა იცოდა. ვერავინ ვერაფერი გაიგო ან როგორ გაიგებდნენ, არაფერი გვითქვამს. ილიკომ, მიწისთვის როგორ გავიმეტოო და ისევ ზღვაში შეაცურა. ნავით გავიდა შორს, ძალიან შორს. საერთოდ აღარ მოჩანდა. ოთხი უცნაური მგზავრი: ილია, ანის სხეული, სქელი თოკი და უზარმაზარი ბლოკი. უკან მხოლოდ ერთი დაბრუნდა. რა გონიათ, მე ნაკლებად გაწვიცადე? მე ყველაზე მეტად არ მიყვარდა? კიდე იცი, რა მგონია? ილიკომ, ანის სხეულთან ერთად, თავისი სულიც გაათრია იმ ნავით, ანის სხეულს მიაჯაჭვა და წყალში მასთან ერთად ჩაუშვა. მინაზე ფეხი

დადგა თუ არა, მივხვდი, ძველ ილიას, ვისაც დაბადებიდან ვიცნობდი, ვეღა-რასდროს ვნახავდი.

ვიცოდი, არ დარეკავდა. სამი დღის მერე ვნახე, შემთხვევით. მაგარი ნასვა-მი იყო.

– ბიჭო, ილიკო, მისმინე ახლა, – ვე-უბნები, – მაგარი უცნაური რაღაც ხდე-ბა, შენ რო გიყვარს ეგეთი საქმეა.

– შარში ხარ, ეგრე გამოდის, – იკრი-ჭება თავისებურად.

– კი, ოლონდ ამ ამბის გამო არა.

– ვაჟა გიტრაკებს.

– მაგარი მიხვედრილი ხარ.

– აუ, რა სტრანი ტიპი ხარ, თუ ამბობ თქვი.

ვინაა სტრანი, მე? ჩვეულებრივი ვარ. ეს კიდე გადამეკიდა ბოლო წლებია, ვე-რაფერს გაგიგებს ადამიანიო.

ტელეფონი გავუწოდე. მგონი, არც დააკვირდა სულ სხვა ფეხსბუქი რომ იყო. მე კი ვდგავარ და ველოდები რო-დის ამიგდებს მასხრად. მთელი წუთია რაღაცას აკვირდება. ამიტომ მიყვარს. ვერ ვხვდები, რას უნდა აკვირდებოდეს, სახელის გარდა, არაფერი წერია და სულ რაღაც ექვს სიტყვიანი წინადადება. ვერ ვხვდები, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც მნიშ-ვნელოვანს უკირკიტებს. ამოვისუნთქე.

– დიდი ამბავი, – როგორც იქნა ამო-ლერლა, – ყოველდღე ხდება ეგეთები.

ყოველდღე არა ის!

– რა ვქნათ?

– სისულელებისთვის არ მცალია. თან ერთ საქმეს ვაკეთებ, დიდ მაყუთს იხდიან, ბოლომდე უნდა მივიყვანო და მერე ჩვენებურად ჩავუჯდეთ.

დაბადებიდან ვიცნობ და ვიცი, როცა ასე ჯიუტდება აზრი არ აქვს. ნამდვილი სახედარია, ვირი რა. იმ დღეს, თურმე, მართლა ზღვაზე ყოფილა. ავადმყოფი.

ზუსტად მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ლილასთვის უნდა მიმეწერა. იმასაც მშვენივრად ვხვდებოდი, ასეთი ამბები ინტერნეტით რომ არ გვარდება და თუნ-დაც ქვეყნის დასალიერში ყოფილიყო, მაინც ვნახავდი. მთელი დღე უხასიათოდ

ვიყავი. დედისგან განსხვავებით ამაში ბადალი არ ჰყავს ბატონ ილიას. ისე მოგ-შხამავს, მთელი თვე უგუნქბოდ იქნებით. ლმერთმა გაშოროთ მაგის გაცნობა.

სიტყვებს ვარჩევდი. წარმოდგენა არ მქონდა რა სახის შეტყობინება უნდა მიმენერა. იმნამს მივხვდი – არაფერი ვიცოდი. ბუნდოვანი წარმოდგენაც არ მქონდა მოვლენაზე. გასაგებია, ლილას ახლობელი იყო, მაგრამ ვინ? როდის? თუ ცნობილია, რომ მეგობრებიდან ერთ-ერთმა მოკლა, აქამდე რას აკეთებს პოლიცია? სასონარკვეთილს არ ჰგავდა, თუმცა ფაქტია, გამომძიებელმა საქმეს თავი ვერ გაართვა, ცოტა დრო გავიდა და საქმეც დაიხურა, რაღაც სხვა მიზეზით. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მითრევდა, მეტად მინდებოდა ილიკო გვერდით მყოლოდა, მის გარეშე არაფერი გამოვა მსგავსი საქმისგან.

მერე ლილაზე ვფიქრობდი. რაც ფოტოებიდან ჩანდა პატარა ტანის გოგო იყო, ჩემზე ოდნავ ახალგაზრდა, ასე ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლის. ლამაზი იყო. ზედმეტად და საეჭვოდ ლამაზიც კი. ილიკოს რომ ენახა, ფოტოებიდანაც გამოიტანდა დასკვნას, ეჭვი არ მეპარება. ორი საფიქრალი მქონდა: რა მიმენერა პასუხად ლილასთვის და მთავარი – როგორ დამეინტერესებინა საქმით ჩემი მეგობარი.

სახლში საშინლად დაღლილი და გაღიზიანებული დავბრუნდი. ბათუმის შემოდგომა გინახავთ? საოცრებაა, აუცილებლად უნდა ნახოთ. მთელი საათი ვიფიქრე როგორ მოვქცეულიყავი.

„ლილა, გამარჯობა. სასწრაფოდ უნდა შევხვდეთ“.

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. იმედი არ მქონია, რომ სწრაფად მომწერდა პასუხს. არ ვიცი რატომ. წესით, თვითონ უფრო უნდა ყოფილიყო მონდომებული. ასე იყო თუ ისე, დაძინება გადავწყვიტე. სხვა საქმე მაინც არ მქონდა.



მეორე დილით, თორმეტი საათისთვის

უკვე „ოკრიბაში“ ვიყავით. ვერ ვეგუები თბილის. ალლო ვერ ავუღე. ილიკოს მთელი გზა არხევინად ეძინა. მხოლოდ ის მითხრა გამომგზავრებამდე, მთელი ეს დრო ამ ამბავზე ვფიქრობდი, წინ საინტერესო თავგადასავალი გველისო. ასეთია. ჯერ უნდა განვალოს, პირდაპირ არაფერს იტყვის. გადავწყვიტეთ (იმან გადაწყვიტა), ბინა ერთი კვირით გვექირავებინა. ერთი კვირით რომელი სულელი დაგითმობს საცხოვრებელს. ხოდა, ისე გამოვიდა, ყოველდღიურად უნდა გადაგვეხადა ასი ლარი. ახია ჩემზე. ყველაფერს ისიც ემატებოდა, ალბათ, ბინის პატრონს გაქანებული პიდარასტები ვეგონეთ. აი, დარდი. ბინა იქვე ვიქირავეთ, წერეთელზე. ვარკეთილი კი აღმოჩნდა საკმაოდ შორს, თუმცა ბათუმიდან ჩამოსული კაცი ამაზე არ უნდა წუნუნებდეს. დრო, პირდაპირი მნიშვნელობით ფული იყო. ამიტომ სასწრაფოდ ლილა უნდა გვენახა. ტაქსისტმაც შეგვატყო ჩამოსულები რომ ვიყავით და მაგრად გაგვწენა, თან მთელი გზა შანსონები გვასმენინა, მე ვიკითხო, ილიას მაგრად კიდია ეგეთები. ათას სისულელეზე პასუხობდა მძღოლს.

ბოლოს, როცა როგორც იქნა და დანიშნულების ადგილამდე მივედით, პირველად დავფიქრდი სერიოზულად, თუ რას ვაკეთებდი. რაღა დროს სინანული იყო, მაგრამ მაინც. ლილა, როგორც ჩანს, დილიდან გველოდა. მშვენივრად მოწყობილიყო, თუმცა როგორც მერე ჩემმა თანამგზავრმა აღნიშნა, აშკარად მარტოს მელოდა. ნუთუ ასეთ ამბებთან მარტო გამკლავება ვინმეს შეუძლია?

– პირველ რიგში, – ვეუბნები, – ყველაზე მეტად რაც მაინტერესებს, მე რატომ მომწერე, თანაც ასე პირდაპირ.

– მოდი, ასეთ სისულელეებზე დროს ნუ დავხარჯავთ, – მანყვეტინებს ილიკო, – ბევრად მნიშვნელოვანი საკითხებია გასარკვევი.

– ნამდვილად. ასე აჯობებს. – ეთან-ხმება მასპინძელი. სისულელეებს ამბობო მეუბნება და სინდისიც კი არ ქენ-

ჯნის. ეს მაგარი სიტყვათა შეთანხმება გვაქვს.

— მაშინ დავიწყოთ, — ვამბობ დარცხვენილი.

და ვიდრე დაიწყებდა იკითხა:

— არ ჩაიწერთ?

— რა თქმა უნდა. — ამბობს ილო და საფეთქელთან საჩვენებელ თითის იკაკუნებს. — აქ. ასე ბევრად მარტივია, არაფერი დაგავიწყდება. შეიძლება წამოვწვე? უფრო კარგად მოვისმენ.

— კი ბატონო, — მთლად დაიბნა ლილა.

— აბა. დავიწყოთ, — ვამბობ არანაკლებ გაკვირვებული.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. აგეროცი წელიც გავიდა, ოდნავ მეტი. მამაჩემი სახლიდან, აი, ამ ადგილიდან ორ უახლოეს მეგობართან ერთად გავიდა და უკან არ დაბრუნებულა. მაშინ სხვა დიდი ამბავი ხდებოდა. 2001 წლის 11 სექტემბერი იყო. ზუსტად მაშინ ნიუ-იორქში ორი მწვერვალი ინგრეოდა. ეს ყველაფერი წლების შემდეგ გავიგე, მაშინ ჯერ ისევ პატარა ვიყავი, თანაც მაგ ამბებისთვის საერთოდ არ მცხელოდა, სიმართლე ეგაა. დედა უკვე გარდაცვლილი იყო და მამამ სმას უმატა. ჩემზე? არა, რას ნიშნავს ძალადობდა. ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამს ცხოვრებაში. ერთი ეგაა, ყოველ ღამე მთვრალი მოდიოდა. სიგარეტს მოწევთ? ერთი კოლოფი ალარ მყოფნის, ვიგუდები. მისმა მდგომარეობამ, გაუთავებელმა ალკოჰოლმა, უძილობამ, უყურადღებობამ ბიზნესზეც იმოქმედა. გახსოვთ ორიათასიანები? მაშინ ასე მარტივი არ იყო არც ბიზნესის დაწყება და არც მისი შენარჩუნება. ესეც წლების შემდეგ გავიაზრე. საეჭვო არაფერი ყოფილა, იმ დილითაც ადრიანად გავიდა სახლიდან. აქ არასდროს სვამდა. მაგისთვის მეორე ბინა ჰქონდა, ის ბინა, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. მაშინ საიდან ვიცი, რომ მოკლეს, არა? ალკოჰოლის კვალი არ იყო, მაინცდა-მაინც იმ დღეს. უცნაურია, ხო? არადა,

ზუსტად ვიცი, ისევ დასალევად მიდიოდა. ფერფლად იქცა ყველაფერი. მისი მეგობრები სრულიად უვნებლები იყვნენ. პოლიციამ საქმე მალევე შეაჩერა. იმ დროს ეგრე ხდებოდა, ექსპერტიზის პასუხიც ფეხებზე დაიკიდეს და საქმე უბედურ შემთხვევათა კატეგორიაში გადავიდა. ვერავინ დამაჯერებს, რომ ყველაფერი ასე მარტივად მოხდა...

— რამდენიმე კითხვა გამიჩნა, სრულიად ლოგიკური, — ანცვეტინებს ილიკო. მაში, რისი კერძო დეტექტივია, მცირე მონათხრობიდანაც თუ ბევრი კითხვა არ გაუჩნდა, — პირველ რიგში, სავარაუდოდ მაშინ სულ პატარა იქნებოდით. პირველ კლასი? მეორში? სულერთია, ვიღაცას ხომ უნდა ეზრუნა შენზე?

— რა თქმა უნდა. ბიძაჩემმა ყველაფერი ისე გააკეთა, ნებისმიერ მამას შეშურდებოდა. ბიძაჩემი თედო და მამაჩემი ირაკლი, ტყუპები იყვნენ. აი, სურათები, შეგიძლიათ ერთი განსხვავება მაინც იპოვოთ? ასე ვერ ნახავდით ერთ მსგავსებასაც კი მათ ხასიათებში.

— ყოჩაღ თედოს, — ჩაიბურდლუნა ილიკომ და ფოტოები ლამის შუბლთან მიიტანა. ასე ათვალიერებდა მთელი ათი წუთი. ცოტაც და საბოლოოდ დავკარგავდი მოთმინებას.

სურათს რომ დავხედე, პირი ღია დამრჩა. მსგავსება როგორ არ მინახავს, მით უმეტეს, ტყუპებს შორის, მაგრამ ასეთი? არასდროს. თანაც ერთნაირად ეცვათ. პერანგიც კი ერთი მეორის მსგავსად, უკანასკნელ ღილამდე შეეკრათ, თითქოს თავს იხრჩობენ. მერე ღილამ გააგრძელა:

— ნარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა. უბრალოდ ვიღაცისთვის უნდა მიმეწერა და შენ თუ არა, ვიღაც სხვა იქნებოდა, ის სხვა თუ არა, კიდე ვინმე მორიგი და ასე გაგრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ვიღაც მაინც არ დაინტერესდებოდა ამ საქმით. თუ გაინტერესებს, პირველი არ ხარ. უბრალოდ აქამდე არავინ გამომეხმაურა, ალბათ, შეშლილი ვგონივარ ყველას, თუმცა როცა სამართალს იქ ვერ

პოულობ სადაც უნდა იყოს, მაშინ მიზანი ნამდვილად ამართლებს საშუალებებს.

– ირაკლის მეგობრები, – დაკითხვას აგრძელებს ილიკო, ილო, ილუშა, ილია, – სად არიან, როგორ გააგრძელეს ცხოვრება იმ ამბის შემდეგ?

– თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ბიზნესი გააფართოვეს, ახალი მანქანები, ბინები, ზამთარ-ზაფხულ კურორტებზე. მერე აღარაფერი გამიგია. ორივე გაქრა. მეც აღარ მქონია მათთან შეხვედრის სურვილი.

ირაკლის პარტნიორების, უფრო მეტიც, ბავშვობის მეგობრების სახელები და გვარები მე ჩავინერე. ილიკო ხომ მობილურს არ ხმარობს, არც პასტა და ფურცელი ჰქონია. ისევ საფეთქელთან მიიკავუნა, მაგრამ მაინც, მე თავი დავიზღვიე.

– ანუ, დარწმუნებული ხართ, რომ რომელიმე მოკლა? – ძლივს ვბედავ და ვეკითხები.

– ისე, როგორც არასდროს. ბიზნესი პოლიტიკასავითაა, ბინძური და დაუნდობელი, ბავშვობის მეგობრებისთვისაც კი.

ძირითადი ამბავი გავიგეთ. სათქმელი არაფერი იყო.

არადა, მაშინ რა ბანალურად მეჩვენებოდა ყველაფერი. თურმე, ეეე, სადა ბანაობ.

არა, მართლა ბანალური საქმე ჩანდა.

ნელ-ნელა ყველაფერი თავდაყირა დადგა...

●

პირველად მაშინ მიგრძნო ტანმა რაღაც უცნაური, როცა გავიგეთ, რომ სოსო (ირაკლის ერთ-ერთი მეგობარი) აგერ უკვე თხუთმეტი წლის გარდაცვლილი ყოფილა.

– თავი მოიკლა. 2006-ში, – თქვა ლანამ, სოსოს ცოლმა. ოდნავ მსუქანი (ძვალმსხვილად რომ იხსენიებენ), მაგრამ მიმზიდველი ქალი იყო. ზედვე ეტყობოდა, დიდად არ გადაჰყოლია ქვრივობას. იმის გამო კი არა, სულ ფერად-ფერადები რომ ეცვა, სახეზე ეწერა უბრალოდ.

– იმ დღეზე რამე თუ იცით? – ვეკითხები, – აი, 2001 წლის 11 სექტემბერზე. სოსოს რამე კონფლიქტი ხომ არ ჰქონია ირაკლისთან? იქნებ ირაკლის და კახას შორის იყო უთანხმოება (კახა, ის მეორე, ცოცხალი მაინც აღმოჩნდა).

– მსგავსი არაფერი გამიგია. ჩემთან საერთოდ არ საუბრობდა ბიზნესის ამბებზე.

ამ ქალთან ლაპარაკს დიდი აზრი რომ არ ჰქონდა, მეც მივხვდი.

– ხომ. ეს ამბავი უკვე არ მომწონს, ანუ ძალიან მომწონს, – თავისებურად გაუგებრად ჩაიბუტჭუტა ილიკომ სადარბაზოდან გასვლისას, – ეს ლანა, მაგარია. იმდენად სულელია, ტყუილიც ვერ გვითხრა.

იმ დღეს ვეღარაფერს ვიზამდით. საღამოს სანაპიროს ბევრი ლუდი, სუნიანი თევზი და მიწისთხილი ვიყიდეთ, გულის გადასაყოლებლად. მეტწილად ის სვამდა. მე ლილაზე ვფიქრობდი. თქვენც არ მომიკვდეთ, კი არ შემიყვარდა და რამე. ლამაზი კი იყო. ისე, თავში რაღაცებს ვალაგებდი. თვითონ კი იჯდა, ლუდს წრუპავდა და ხმას არ იღებდა. რამდენჯერმე გაელიმა. დაახლოებით ვხვდებოდი რისი ნიშანი იყო.

– ხვალ რას ვაპირებთ? – ვეკითხები.

– ძილს. საღამომდე მაინც.

და მართლა საღამომდე ეძინა. ექვს საათზე გაიღვიძა. მერე იყო კახა. აი, ეგ კი მეტად უცნაური ტიპი გამოდგა. ეგეთი მსუქანი კაცი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. ლანა ამასთან შედარებით ძვალმსხვილი კი არა, ვიქტორია სეკრეტის მოდელია, ცვეტში. სულს ძლივს ითქვამდა. ნეტა 2001-შიც ასეთი თუ იყომეთქი, გავიფიქრე.

– ვა, ირაკლის მკვლელობასო? ეს რაღა ამბავია. – მართლა გაკვირვებული ჩანდა. – საიდან მოიტანეთ ეგ სირობა? კიი, ლილა გეტყოდათ. დიდი ოინბაზია. ირაკლის სულს რომ ვცემ პატივს თორე-ეე, მე ვიცი მაგას რაც ეკუთვნის.

– თუ პრობლემა არ იქნება, აი იქ წა-მოეწვები, ისე მოგისმენთ.

კახამ გაკვირვებისგან თვალები დაქაჩია, სიცილი ძლივს შევიკავე. მე აღარ მიკვირდა, სულ ათიოდე წამით, მერე მეც პირი დავადე გაოცებისგან. თანხმობა მიიღო თუ არა, ზურგით შებრუნდა, სახით კედლისკენ და დაიწყეო, ბრძანასავით. იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა, მთელი ამბავი დაწვრილებით ჩამოგვიკავლა:

– ხოდა, იმ დღეს, 2001 წლის 11 სექტემბერს. მოიცა, რომელი საათი იყო? 4-5 იქნებოდა დაახლოებით როცა შევიკრიბეთ. ამერიკის ამბები არ ვიცოდით, იმ სახლში ტელევიზორი არ ჰქონია ირას. ჩვენ ვსვამდით. მე და სოსო, რაღა თქმა უნდა, ცოტას. ირაკლი – მოზრდილი ჭიქებით, მისაყოლებლის გარეშე. თქვენ არ გემახსოვრებათ, სხვანაირი დრო იყო მაშინ. ყველა ეჭვის თვალით გიყურებდა. მერე რა სიგარეტს ვეწეოდით! ფილტრიანს მოწევდი და კაცი გერქვა, ახლა რო ყრია ეგრე სად იყო. ღმერთო, გახსენება არ მინდა. ისე ლილა როგორა? გაიზრდებოდა უკვე. კარგი, კარგი, გავაგრძელებ. ხოდა, იმას ვამბობდი, ყველას შურდა ჩვენი. საზიზღარი სიგარეტი კი იყო, მაგრამ მაინც ფილტრიანი ერქვა, ვის არ შეშურდებოდა. რაო? პრობლემა ერთმანეთთან? არავთარი. არა, არა. ირაკლი კი ურევდა. იცი რა, რაც დალევა დაიწყო, როგორლაც ურთიერთობა აგვერია. მე და სოსო განზე გავდექით თითქოს. არ ვნანობ. სოსოც არ ნანობდა. საქმიანი ხალხი ვიყავით და ლოთობა არაფერს მოგვიტანდა კარგს. თქვენც გეცოდინებათ, როდის იწყება საქმის წასვლა ტრაკისკენ. მართალია, როცა ყურადღებას მოადუნებ, ემანდ, რაღა უნდა მოხდეს, საათივით აწყობილი ამბავია. თან ეს ჩვენი გადაწყვეტილება არ ყოფილა. თვითონ ირას ქცევებით მოხდა ეგრე. თავს გვარიდებდა. ეგრე გამოუვიდა. ახალი მეგობრები გაიჩინა, ანუ ისინი, ვინც მთელი დღე მასთან სვამდა. მოგებას მაინც თანაბრად ვიყოვდით. ბავშვობის მეგობრები ვიყავით და რაც არ უნდა მომხდარიყო ეგ რა სალაპარაკოა. ბოლოს, მგონი, აზარტულ თამაშებ-

საც მიეძალა. ერთხელ, სიმთვრალეში წამოცდა, დიდი ვალი შემეტენა, ხელზე გავმაზე და მაგარი დანძრეული მაქვსო. დიახ, იმ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე. იმ დღესაც არაფერი ყოფილა ყურადღების ლირსი. ვსვამდით, ვსაუბრობდით, ჩვენ ჭკუას ვარიგებდით. ეგ იყო და ეგ. შვიდი საათი იქნებოდა, მე და სოსო რომ წამოვედით. 9-ის ნახევარზე გაჩნდა ხანძარი... რა უნდა გითხრათ, მთვრალს, ალბათ სიგარეტით ჩაეძინა. ასე ამბობდნენ. იმ სულელმა გოგომ საიდან მოიგონა მკვლელობაზე? ვერ იტანს მამამისს ლოთის სახელი რო დააკერეს, არა? ვის ესიამოვნება, თუმცა მკვლელობის დაბრალება ზედმეტია. მაგ დროს ქალაქშიც კი არ ვყოფილვართ სიმართლე თუ გაინტერესებთ. მცხეთაში გახლდით, ბატონო. აი, ალიბი. ბევრი მოწმე იქნებოდა თავის დროზე. ახლა, ოცი წლის შემდეგ რას იქექებით ამ საქმეში...

– სოსომ თავი რატომ მოიკლა? – არ გადმობრუნდა, ისე ეკითხება ილიკო.

– ამას საქმესთან რამე კავშირი აქვს?

– პირდაპირზე ოდნავ უფრო პირდაპირი.

– რა უნდა გითხრათ. მე და სოსომ მეგობრობა ჩვეულებრივად გავაგრძელეთ. ერთი ისაა, ირას გარდაცვალების შემდეგ უფრო გამყარდა ჩვენი ურთიერთობა. ეხს, ირაკლი. ცუდად არ გამიგოთ. გამყარდა-მეთქი, ანუ უფრო გავხდით ერთმანეთზე დამოკიდებული. დასამალი საერთოდ აღარაფერი გვქონდა. ვერ ვხვდები ამ ყველაფერს რატომ ვყვები. უფლებაც კი არ გაქვთ ასე გამომკითხოთ ყველაფერი. ჯანდაბას, სულერთია. იმ წელს მაგარი სიცხეები დაიჭირა. ზაფხულში ქობულეთში ვაპირებდით წასვლას ერთი კვირით, ოჯახებით, ბუნებრივია. ბარგიც კი გვქონდა ჩალაგებული, დილით გავუარე მანქანით, ლანა საყიდლებზე წასულიყო. მთელი ორი წუთი ვაბრახუნე კარზე. სოსოს ეგეთები არ ჩვეოდა. სხვა რა გზა მქონდა, ხო არ შევამტვრევდი, მსგავსი არაფერი მიფიქრია. ჩამოვჯერი კიბეზე და ერთი საათი

ლერი დერზე ვეწეოდი, ძმობას გეფი-ცებით, ცოტაც და ვარწყევდი. ბოლოს, როგორც იქნა, ლანაც მოვიდა, ნალდად სულზე მომისწრო. არაფერი მითქამს, ეს წუთია მოვედი-მეთქი, ვიცრუე. კარი გაალო და... პირდაპირ მისალებში ჩამო-ეხრჩო თავი. მსგავსი საშინელება ფილ-მებშიც არ მინახავს...

— აბა, წავიდეთ, — ამბობს ილიკო და ჩვენკენ ბრუნდება, მე მომმართავს, — ყველაფერი გასაგებია.

— რა არის გასაგები? — მთლად გა-ფითრდა კახა. მეგონა, სადაცაა წვდებო-და და იქვე დაახრჩობდა.

— თავის დროზე გაიგებთ. ყველაფერი ახლა თუ გაგიმზილეთ, რანაირი გამომ-ძიებელი ვიქნები, თან შეიძლება, ასე ხე-ლი შეუშალოთ გამოძიებას.

— რაორო?

— აბა, კარგად მეყოლეთ.

ვემშვიდობებით და სახინჯლები მივ-დივართ. მაგრად მომშივდა, დიდი დრო გავიდა. თან ბევრი რაღაც მაინტერესებ-და. ვერაფერს ვხვდებოდი იმის გარდა, რომ დიდი ბანალური, უაზრო საქმე შეგ-ვეტენა სულ ტყუილად. ვცდებოდი.

— როგორც ჩანს, არაფრის თქმას არ აპირებ, — ვეუბნები, — ის მაინც გამანდე, შემდეგი ნაბიჯი რა იქნება.

— შენ რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, არაფერია ხელჩასა-ჭიდი. მკვლელობა, თუკი საერთოდ არის მკვლელობა, ოცი წლის წინ მოხდა. ერ-თი ადამიანი, რომელსაც რაღაცის თქმა შეეძლო, მკვდარია. მეორე, ისეთებს ამ-ბობს, ვერანაირ დასკვნას ვერ ვაკეთებ.

— დეტალები, ყველაზე მთავარი მცი-რე დეტალებია. ამდენი წელია ჩემთან ერთად დაეხეტები, რა ველარ ისწავლე.

— არ თქვა, რომ რამე ისეთი დაიჭირე, მნიშვნელოვანი.

— ჯერ არაფერი. ყოველ შემთხვევაში ისეთი არა, თქმად რო ლირდეს.

— ახლა რას ვაპირებთ?

— ჯერ არაფერი, მარტო ყოფნა მინ-და.

ამის მერე ორი დღე ვაკის პარკში და-დიოდა. ხვდებით ეს რა ნიშნავს? ზედმე-ტი, უაზრო სარჯი გვემატებოდა. მეც იქ-ვე, შორიახლოს ვიდექი და ვაკვირდებო-დი. წრეზე მოძრაობდა. ხელები ზურგს უკან შემოეწყო, უდარდელად დააბიჯებ-და. როცა დაიღლებოდა, ჩამოჯდებოდა და ნახევარი საათით ისვენებდა. საღა-მოს სახლში წავედი. ნერვები ყელში მაწ-ვებოდა. ფული მხოლოდ ჩემი იხარჯე-ბოდა, ყველაფერზე მეტად ეს მაღიზი-ანებდა. სტატია კი არა, ყველაზე დიდი სისულელე გამოდიოდა.

იმ დამეს სახლში არ მოსულა. დალ-ლილი ვიყავი და ლრმად მიმეძინა. დი-ლით, როცა სახლში არ დამხვდა, ცოტა კი შემეშინდა. ისევ იმ ადგილას დამხვდა — ვაკის პარკში. ვიღაც მოხუცს ელაპა-რაკებოდა მხიარულად. არც იმ დღეს უთქვამს რამე. გვიან დაბრუნდა და და-იძინა.

— ლილა უნდა ვნახოთ, — მეუბნება დილით.

— რამე სიახლეა?

— საიდან იქნება, ორი დღეა ერთ ად-გილს ვტკეპნი. ყველანაირი მნიშვნელო-ბით. იქ არ იყავი? რას მითვალთვალებ, სად წავიდოდი.

ისევ გამიფუჭა ხასიათი...

ლილამ დეტალები გამოგვითხა. ხელჩასაჭიდი რომ ვერაფერი გაიგო, მო-ილუშა. იმედგაცრუებული ჩანდა. სოსოს ამბავი არ იცოდა. გაუკვირდა.

— ბიძაშენი, თედო, ხო? სად ცხოვ-რობს, რას საქმიანობს, მისი ნახვაც აუ-ცილებელია. ამბობ, იმ ამბის მერე ჩემზე ზრუნავსო. ლოგიურია, ბიძაა. ტრაგე-დია მოხდა და ამბები, თუმცა მაინც აუ-ცილებელია.

— რთული საქმეა, ძალიან რთული. იმ 11 სექტემბრის მერე ძალიან გამოიცვა-ლა. დალაგებული, მშვიდი ცხოვრება სა-მუდამოდ აერია.

— რას გულისხმობ?

— გეტყვით. მართალია, მამაჩემივით სმა არ დაუნებია, მაგრამ უცნაური ქცე-ვები დასჩემდა. იშვითად საუბრობდა,

დიდ დროს აქ ატარებდა, ჩემთან. რაღაც დაეტაკებოდა, ტირილს იწყებდა, ადგებოდა და გარბოდა. რაც ყველაზე უცნაურია, ცოლს ერთი თვის თავზე გაეყარა. ყველაზე გაუგებარი ეს იყო. ამბობდნენ, სამაგალითო ოჯახი ჰქონდათო. შვილი არ ჰყავდათ, თუმცა არ მგონია, ეს ყოფილიყო მიზეზი. იქნებ იყო კიდევ? რა ვიცი. ასე კი გადაწყვიტა. იმის მერე არც მერი მინახავს, ბიძაჩემის ცოლი. არ მინახავს, ფეისბუქზე ხშირად კი მწერს. სულ თედოს ამბებს მეკითხება, ისევ უყვარს რა გამოცნობა უნდა. გაგიკვირდებათ და ისევ ქმრის გვარზეა – მერი ნაკაშიძე. ლათინური ასოებით, კი, ეგაა. არ მგონია, უარი გითხრათ, უკეთ მოყვება მაგ ამბავს.

მართლა მეგონა კარგ საქმეს ვაკეთებდი. ახლა ვერ გამიგია ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, თუ ლილას ცხოვრება, და არა მარტო მისი, სამუდამოდ გავანადგურე. ნამდვილად ჯობდა, ყველაფერი ისეთი ბანალური ყოფილიყო, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა.

●

სანამ მერის ვნახავდით, გადავწყვიტეთ (ილიამ გადაწყვიტა), კახა ერთხელაც გვენახა. რაღაც კითხვა მაქვს, დიდი კი არაფერი, მაინც ვესტუმროთო.

ამჯერად უგუნებოდ დაგვიხვდა მასპინძელი. სულ ძალით გამოგვითხა გამოძიების შედეგები და, თქმა რად უნდა, ვერც ერთ კითხვაზე ადამიანური პასუხი ვერ მიიღო.

– იცით ეს საქმე საიდან დაიწყო? აი, აგერ ჩემს მეგობარს, ლილამ მიწერა, ბავშვობის მეგობრებიდან რომელიღაცამ მოკლაო, – თითქოს ნავთზე ბენზინის დასხმას ცდილობს ილო, – ასე ამბობს.

– მაგ გოგოსგან არაფერი მიკვირს, – მშვიდად ამბობს კახა.

– მოგწონთ?

– ვერ ვხვდები მაგით რისი თქმა გინდათ.

– წნევა ხო არ გაქვთ, წამონითლდით, მგონი. ხასიათზეც ვერ უნდა იყოთ.

– ამას საქმესთან კავშირი არ აქვს. მე

ასე ვფიქრობ.

– სამართლიანადაც. და გოგონას ყურადღებას რატომ აღარ აქცევდით? რა მოხდა?

– იცით, თედო უცნაური კაცია. ვერ ვხვდები, ახლაც ვერ გამიგია, რა არ ესიამოვნა. უბრალოდ ადგა და ერთ მშვენიერ დღეს მყაცრად გაგვაფრთხილა, ლილას ახლოს არ გაეკაროთ, არც შენ და არც ის მეორე ბედოვლათიო. ზუსტად ასე თქვა – ბედოვლათიო. ჩვენც რა უნდა გვექნა, სამუდამოდ ავიღეთ ხელი განზრახვაზე, რომ მეგობრის შვილზე გვეზრუნა. ირა ღმერთმა გაანათლოს, მისი ძმა კი მართლა თავიდანვე არ მეხატებოდა გულზე. რაღაცნაირი ყეყეჩი როჟაა.

– იმ სახლის მისამართი თუ გახსოვსთ?

– რა დამავიწყებს, – ამოიოხრა კახამ. რადგან სხვა კითხვა აღარ გვქონდა, დავემშვიდობეთ და ხელი მაგრად ჩამოვართვით, ილიკომ პირობა მისცა, რომ მეტად აღარ შეანუხებდა.

– მაგარი უცნაური ტიპია, არა? – ვეკითხები.

– რა მხრივ?

– ყოველმხრივ.

– ანუ?

– აი, როგორ გითხრა. ყველაფერზე წამსვლელი.

– თუ ძმა ხარ, – ბოლო ხმაზე გადაიხარხა, – ყველაფერზე კი არა, შიმშილით რო კვდებოდეს პურზე არ წავა, ვინმეს გააგზავნის. ყველაფერი ადგილზე მირთმეული უნდა, თავიდანვე ეგრეა მიჩვეული, ღაბაბზე ეტყობა.

– ანუ, მკვლელი არაა?

– ვერ გაიგე რა თქვა? მცხეთაში ვიყავიო. მეც და ის სოსოც, ერთადო. ნეტა რას აკეთებდნენ იქ? ეგ კი უნდა მეკითხა.

– და შენც დაუჯერე?

– არაფერი უთქვამს დაუჯერებელი.

– რას ვაპირებთ, მერი უნდა ვნახოთ?

– მერი ნაკაშიძე მოიცდის, ჯერ იმ ბინაში უნდა მივიდეთ.

გაჭირვებით მივაგენით. რომელიღაც

გარეუბნის მეხუთე მიკრორაიონი იყო. ვერავინ წარმოიდგენს, რამდენი ვიწვალეთ. დაწვრილმანებას აზრი არ აქვს. მთავარია საბოლოოდ რა შედეგი მივიღეთ. შედეგი კი ის გახლდათ, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც იმ დღეზე რამე მაინც იცოდა, ვიღაც შალვა მამასახლისი იყო, სრულიად დაბრმავებული მოხუცი, ასე სამოცდაათი წლისა მაინც იქნებოდა. წარმოგიდგენიათ რა საქმეს შევეჭიდეთ? მოკლედ უნდა შევაჯამო რა გვქონდა: ოცი წლის წინ გარდაიცვალა ადამიანი, რომლის მკვლელობის საქმეც უნდა გაგვეხსნა. ამ დროს, ისიც კი არ ვიცოდით მკვლელობა იყო თუ არა, რადგან ყველაფერი უბედურ შემთხვევაზე მიგვანიშნებდა. დავუშვათ, მართლაც მკვლელობა იყო. საქმის ერთი ფიგურანტი ცოცხალი ალარ არის – თავი ჩამოიხრი საკუთარი სახლის მისალებში, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო. მეორე პირველივე წამს გამოირიცხა, მკვლელი ვერ იქნება. ყველაფერს დროც ართულებს. ოცი წლის შემდეგ შეუძლებელია რომელიმე ალიბი გადაამოწმო, ცხელ კვალზე შეცდომის იმედზე იყო ან რამე მსგავსი. ახლა კიდე ამაზე მეტი ბედის ირონია რა გინდა? ერთადერთი მოწმე ვნახეთ და ისიც სრულიად ბრმა. ყველაზე მეტად ის მაცოფებდა, ილიკო მაინც კმაყოფილი რომ ჩანდა. დროის საკითხია უბრალოდო, მშვიდად იმეორებდა. რაღა დრო, მთელი ოცი წელი გავიდა. ისე გავიდა, ეჭვიც არავის ჰქონია და ბოლოს და ბოლოს, მართლა ვიღაც გოგოს გამო, რომელიც საერთოდ არ ვიცი ვინაა, ამხელა ამბავი გორდება. კახა თუა მართალი, ეს გოგო სანდო არაა და რაღაცებს ჩმახავს, მერე რა უნდა ვქნათ? მთელი ქვეყნის სასცილო გავხდებით. მე კიდევ ჯანდაბას. მაგრამ ილიკო? კაცს ნახევარი დასავლეთ საქართველო თვალებში შესციცინებს. არა, ბატონო, ჩემს მეგობარს ვერავინ გააბრიყვებს ასე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პირველ რიგში შალვა მამასახლისი უნდა გამოგვეკითხა. ცალკე იმას ვდარდობდი, როგორ მიგვიღებ-

და. წარმოგიდგენიათ სრულიად დაბრმავებული მოხუცის ფსიქიკური მდგომარეობა? არ გამიკვირდებოდა სულ გინებით თუ გამოგვისტუმრებდა უკან. მსგავსი არაფერი მომხდარა.

ბატონი შალვა მოწესრიგებული, ინტელიგენტი მოხუცი აღმოჩნდა. სავარძელში მშვიდად იჯდა, შავი რეიბანები ეკეთა. გეგონებოდათ, მთელი ეს დრო ამ დღეს და ჩვენს გამოჩენას ელოდა. რამდენს ნიშნავს პირველი შთაბეჭდილება. შეიძლება ხავსიც არ იყო საქმისთვის, მოჭიდების მცდელობადაც არ ღირდა, მაგრამ იმედი მომეცა, პირველად ამ დღეების მანძილზე. საქმე რაღაც აზრს იძნდა, ბატონი შალვა პირველი და ერთადერთი მოწმე იყო, რადგან, რეალურად, კახა საერთოდ არ ყოფილა არანაირი მოწმე, იმ დროს ქალაქშიც კი არ გახლდათ.

– დაბრძანდით, ბატონებო, – მოგვმართავა თავაზიანად.

– საიდან იცით, რომ ორნი ვართ? – ელიმება ილოს.

– ასეთ საქმეებზე მარტო არ დადიან. ასეთ მნიშვნელოვან ამბებზე.

– ეგ საიდან იცით? – გულწრფელად მიკვირს.

– კილოზე გეტყობათ, დასავლეთიდან უნდა იყოთ, ზღვისპირეთიდან. არ მგონია, ამხელა გზა უბრალოდ მოხუცი შალვას სანახავად გამოგევლოთ.

ინსტინქტურად სამივეს ერთდროულად გაგვეცინა. გარეთ უკვე კოკისპირულად წვიმდა. არ გვეჩარებოდა. ილიკომ ჩაი მოითხოვა, შავი, მაგარი ჩაი. მაგას ხომ არაფრის და არავისი ერიდება.

– ცოტა რთულ საქმეზე ვართ, – ვცდილობ, რბილად დავიწყო, – რამდენიმე დეტალი კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. ოცი წლის წინ, აქ, ხანძრის შედეგად ადამიანი გარდაიცვალა.

– მახსოვს. მაშინ ჯერ კიდევ ვხედავდი, თუმცა უმნიშვნელოდ. მხოლოდ ცხვირნინ თუ იდგა ადამიანი, ვხედავდი როგორც დაპინდულ სილუეტს, სხვა არაფერი.

— ვერაფერს გაიხსენებთ? ხმაური, ჩხუბი, რამე მსგავსი ხომ არ გსმენიათ იმ დღეს?

— ბრძებს სხვა გრძნობები გამძაფ-რებული აქვთ, არა? — ელიმება, — სწორ ადამიანს მიაგენით, რა თქმა უნდა, რაც თვალმა დამაკლო, ყურმა ასმაგად ამინაზღაურა. როცა არ მძინავს, სულ აქ ვზივარ, — ხელით გაჩეცებს, აი, კართან, სადაც საკიდია. ხომ ისევ მანდ არის? ხანძარი მეცხრეზე იყო, ანუ ოთხი სართულით ზემოთ. დამიჯერებთ? ამ მანძილზეც კი ისევე მესმის, როგორც ახლა ვიგებ თქვენს ნათქვამს. ჩემი ჰობია ერთგვარი. იყო. სხვა რა გზა მქონდა? ვიჯექი და ვისმენდი ხმებს, ხმები ბევრს ამბობენ, თუნდაც სულ უბრალო, ქუჩიდან შემოსული ერთი შეხედვით არაფრის მომცემი სიტყვები. გეტყვით, იმ დღეს რა იყო უცნაური. რადგან მესუთეზე ვარ, აქ თითქმის არ მესმის ფეხის ხმა, ყველა ლიფტით მოძრაობს. იმ დღეს. თერთმეტში, საათს ვერ გეტყვით, სამი ძალიან განსხვავებული ხმა იყო. ორი ძალიან მსუბუქი, მესამე საშინლად მძიმე, ძალიან მსუქანი ადამიანის ნაბიჯს ჰგავდა. დაახლოებით ორი-სამი საათის შემდეგ ისევ იყო ნაბიჯის ხმა. ამჯერად მხოლოდ ორი და პირველი სართულისკენ. როგორი? მსუბუქი და მძიმე, ძალიან მძიმე, მის გახშირებულ სუნთქვასაც კი ვგრძნობდი...

— სხვა არაფერი? მხოლოდ ეგ გახსოვთ? — ვეკითხები სულმოუთემელად, — იქნებ იყო რამე განსხვავებული დეტალი?

— მე არ ვიყო ილია აბაშიძე, თუ ახლავე არ დაგვაყენოს სწორ კვალზე.

— ეს ბიჭი მომწონს, — ეცინება შალვა-საც, — იყო კიდევ რაღაც. იმ ორის წასვლიდან საკმაოდ მალე, დროს ვერ გეტყვით, ერთ საათზე მეტი არ იქნებოდა, ასე მგონია... ხოდა, იმათი წასვლის შემდეგ, კიდევ ერთი ხმა იყო. არა, არა. სულ სხვა ნაბიჯი, მსუბუქი ისიც. კი, ზუსტად ვიცი, შანსი არაა ვცდებოდე, სხვა იყო.

ამ შემთხვევაში, რა რთული მისახ-

ვედრია, რაღაც ისე არ გამოდიოდა. თუკი ის ვიღაც სხვაგან მიდიოდა გასაგებია, წინააღმდეგ შემთხვევაში ორი ადამიანი იქნებოდა გარდაცვლილი. მსუბუქი ნაბიჯიო... სოსო... თვითმკვლელობა რამდენიმე წლის შემდეგ.... სოსო.

— სისულელეა ეგ თეორია, — ცივი წყალი გადამასხა ილიკომ. სხვას არც ველოდი, — გასაგებად თქვა კახამ, ისინი მცხეთაში იყვნენ. ეგთი ტიპები ტყულებს სწრაფად ვერ იფიქრებენ, მხოლოდ გასკდომამდე ჭამა შეუძლიათ წამებში. ხო, შეიძლება ეგ ვერსია დისი ხნის წინ ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ მიზეზი?

— ვალები ახსენა. იქნებ ფული გამოართვა რომელიმეს. ან ბიზნესს შეუქმნა პრობლემები, ჩეკების გაყალბება, დაუშვათ.

— მართლა გგონია, რომ ლოთობის და თამაშისგან აგონიაში მყოფ კაცს მაგდენი ფიქრის თავი აქვს?

— იცი რას ვერ ვხვდები? თუ გამოძიებისთვის რამე ჩიხი არსებობს, ყველაზე რთულ, გამოუვალ ორლობები ვართ. და არ მესმის რატომ არ ვნახულობთ თედო ნაკაშიძეს? ერთადერთ ადამიანს, რომელიც ლილაზე ზრუნავდა და დღესაც ზრუნავს?

— ეგ დღეც დადგება. მანამდე მერი უნდა ვნახოთ. ჯერ ცოტას დავისვენებ, ბევრი რამე მაქს დასალაგებელი გონებაში.

მყარი არგუმენტები ჰქონდა. ალარაფერი მითქვამს.



შემდეგი დღეები უმიზნო ხეტიალში გავატარეთ. სახლიდან გავდიოდთ ერთდროულად, სხვადასხვა მიმართულებით. არ მინდოდა მისთვის ფიქრში ხელი შემეშალა. მე რომ არაფერი მქონდა ხელჩასაჭიდი, სულაც არ ნიშნავდა იგივეს ილიკოსთვის. შეიძლება უკვე ზედმეტად ბევრიც კი იცოდა და საკუთარი აზრებისგან დაცლა სჭირდებოდა. ნელნელა ვხვდებოდი სხვაობას თბილისსა

და საქართველოს ყველა სხვა ქალაქის შორის. პირველ რიგში ეს რიტმია. ცხოვ-რების სწრაფი, დაუოკებელი, უწყვეტი რიტმი. რთულია ფეხი აუბა, ალბათ ამიტომ ვერ ვეგუები და ერთი სული მაქვს აქ ჩამოსული უკან როდის გავპრუნდები. მეორე – თავისუფლება. ბათუმი მხოლოდ ზფხულშია თავისუფალი, ეს იცოდით? ნელინადის სხვა დროებში რაღაც-ნაირად პირქუში, სერიოზული ხდება. თითქოს ზაფხულისგან დალლილი, მომდევნო სეზონისთვის ენერგიის აღგენას ცდილობს. მშვიდად თვლემს მთელი ცხრა თვე ზაფხულის მოლოდინში. მესამეც, ერთი შეხედვით ნამდვილად ასეა: ხალხს საერთოდ არ აინტერესებს ერთმანეთის პირადი ცხოვრება. თავისუფლების თავისუფლება. აი, ესაა. ცხვირი იმაზე გრძელი არავის უნდა ჰქონდეს, საკუთარ საქმეს რომ გასცდეს. ასეთ სისულელე-ებზე ვფიქრობდი მთელი დღე. ამ დროს კი, ილიკო, სრულიად დარწმუნებული ვარ, თეორიებით თავს იხეთქავდა ირაკლის გარდაცვალებაზე ფიქრით. ისე, თუ მკვლელობა იყო, რაშიც მისი შვილი ასეთი თავდაჯერებულია, მკვლელი პროფესიონალი კი არა, უფრო მეტიც ყოფილა. ჩანაწერები ტელეფონში მქონდა. თვალი გადავავლე, თუმცა საინტერესოს ვერაფერს წავანწყდი. ამაზე უფრო ვლიზიანდებოდი. სიკვდილი ეჭვმიტანილის გარეშე. მოკლედ, ასე ვიარეთ მარტოებმა. მეორე დღეს მიმართულებები შევცვალეთ. ამას შედეგი არ გამოუღია, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. ყველაფერს ერთი პრობლემაც ემატებოდა. ერთი კვირა გადიოდა და საათით ზედმეტსაც კი არავინ გვაპატიებდა. ფინანსურად არასდროს მიღწინდა, თითქმის ათასლარიანი დანახარჯი მქონდა უკვე და ესეც მეზედმეტებოდა. ხოდა, ის იყო, ხელის ჩაქრევას და ბათუმში დაბრუნებას ვაპირებდი, დღემდე არ ვიცი საიდან, მაგრამ თვით ილა აბაშიძე ერთი კვირის საფასური დაუმატა ბინის მეპატრონეს. აი, მანდ მივხვდი რა დონეზე იყო დაინტერესებული ამ საქმით. მეჩემი გაჭირვება მქონდა, ბათუმი და სა-

კუთარი სახლი მენატრებოდა. ან ქალაქია ეგეთი, ან მე ვარ ჩაციკლული. როცა იქ ვარ, მშეზრდება, ოდნავ მოვშორდები თუ არა, აუტანელი მონატრების გრძნობა მეუფლება. ილიკოს თუ ენატრებოდა? წარმოდგენა არ მაქვს. ჩემი აზრით, არა. ანის ამბის შემდეგ – აღარ.

ბოლო, როცა ხმა ამოიღო და ორიოდე სიტყვა მითხრა, ჯიბიდან ტყუპების სურათი ამოაძვრინა. „აბა, კარგად დაკვირდი“, მეუბნება, „იქნებ რამე საინტერესო აღმოაჩინო“. რა უნდა შემემჩნია. მეც მასავით მოვიქეცი, მაქსიმალურად ახლოს მოვიტანე და კარგად დავაკვირდი. არაფერი შემინიშნავს, არც მქონია იმედი. „იცი, რა, ადამიანი ხესავითაა“, ამბობს და სურათს ჯიბეში იკუჭავს, „შეიძლება დანამაული იყო ამ სურათის მოპარვა. მერე დავაბრუნებ, ჯერ რაღაცას ვიკვლევ“. აღარაფერი მიკითხავს. წინ რთული კვირა გველოდა და არ მინდოდა, კითხვებით დამეტვირთა. ისედაც ვგრძნობდი, ნანობდა რაც თქვა, ზედმეტ ლაქლაქად თვლიდა, ზედ სახეზე ეტყობოდა.

პატარა პაუზამ ორივეზე დადებითად იმოქმედა. დღენახევარი ყველაფრისგან დავისვენეთ. იმ საქმეზე აღარ ვფიქრობდით, მე ნამდვილად არა. იცით, როგორა? აი, სიზმარს რომ ნახავ და გაღვიძებისას აღარ გახსოვს. რამდენიც არ უნდა იფიქრო, ვერ გაიხსენებ. მერე, რაღაც დროის შემდეგ, ზიხარ შენთვის, წვნიანს შეექცევი და ბრახ, ყველაფერი თავისით ამოტივტივდება. საქმეც ეგრეა, ხანდახან მაინც შორიდან უნდა შეხედო. ანუ ფიქრს შეეშვა. ზედმეტი დაძაბვისგან, ძალიან აშკარა ფაქტები გამოგრჩება, რაც იცი ისიც ერთმანეთში აგეხლართება და, კაპუტ. ეს ყველაფერი მე არ მომიფიქრებია, ილიკოსგან ვიცი. ნასვამმა გამანდო ერთხელ, თან გამაფრთხილა, მაგარ საიდუმლოს გეუბნებიო.

საბოლოოდ მერი ნაკაშიძე ოთხშაბათ საღამოს ვნახეთ. ამ ქალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იმ ისტორიას, რომელიც ლილასგან გავიგეთ, ერთიანად გაჭალარავებული, ფსიქოლოგიუ-

რად გატეხილი, თვალებჩაცვენილი ქალი მოვარგე. თქვენც არ მომიკვდეთ. ისე, ხო ლოგიკურია? წარმოიდგინეთ: ბედ-ნიერად ცხოვრობ ქმართან ერთად, შენს საქმეს მშვიდად აკეთებ, ხელს არაფერს გიშლის მომავლის დაგეგმვაში და უცეპ, ერთ არც ისე მშვენიერ დღეს, ქმარი გიცხადება, განქორწინების დროაო. ნუ-თუ ვინმეს შეუძლია, ამ ყველაფრის შემ-დეგ ძველებურად ცხოვრების გაგრძე-ლება? როგორც ჩანს, მერიმ შეძლო.

მე და ილიკო, როგორლაც უხერხუ-ლად ვგრძნობდით თავს. ჰო, ისიც კი. ეს ქალი ფაქტიურად ქვრივი იყო, განქორ-წინების მეტი რა ვიცით, თუმცა ასეთი? ყოვლად უმსგავსო და მოულოდნელი საქციელი გახლდათ. არც ერთს არ გვინ-დოდა ამაზე საუბარი და მაინც, ყველა ვევდებოდით, ამის გარეშე საქმე არ და-იძრებოდა.

— იმ დღეზე მოგვიყევით, — იწყებს ილო, პირველად ყველას ამას ვეკითხე-ბით, — არ იფიქროთ, თითქოს უმნიშ-ვნელო დეტალი არსებობდეს. თუ რამე სისულელე იქნება, ანუ იფიქრებთ, სი-სულელეაო, მაინც თქვით. თქვენის ნე-ბართვით. მე აქ წამოვწვები, უფრო კომ-ფორტულია, კარგადაც ვიმასხოვრებ.

ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მი-აშტერდა. დივანი აშკარად კომფორტუ-ლი იყო.

— რა უნდა ვთქვა, — გაკვირვებულმა მერიმ ზღვისფერი თვალები შემოგვანა-თა, — ჩვეულებრივი დღე იყო. იქამდე, სანამ ნიუ-იორკიდან ამბავი მოვიდოდა. იქ ყოფილხართ? არა? აუცილებლად უნ-და წახვიდეთ. იცით, მე და თედო ვაპი-რებდით. რომ არა რამდენიმე პრობლემა, არ გამოვრიცხავ, ზუსტად იმ დროს იქ ვყოფილყვავით. იმის მერე არაერთხელ ვიყავი. მარტო, რა თქმა უნდა. არ ვიცი ამის გამო, თუ იმ 11 სექტემბრის ამბებმა იმოქმედა, თითქოს ყველაფერი შეიცვა-ლა. მერე, მრავალი წლის შემდეგ, ბინას ყოველთვის 59-ე ქუჩაზე, ცენტრალ პარ-კთან ახლოს ვქირაობდი. ფულის პრობ-ლემა არასდროს მქონია. თედო, რო-

გორც ძმისშვილს, ასევე მეც სათანადო ყურადღებას მაქცევდა.

— ჩვენ სხვა 11 სექტემბერი გვაინტე-რესებს, — ამთქნარებს ილიკო. ეს მო-საწყისია. არა, თვითონ ფაქტს არ ვგუ-ლისხმობ, საშინელებაა. საქმესთან რომ კავშირი არ აქვს, ეს ვიგულისხმე.

— ხოდა, იმას ვამბობდი, ჩვეულებრი-ვი დღე იყო-მეთქი. საერთოდ არაფერი ვიცი იმ ამბის. არც ეჭვის საფუძველი მქონია. არც ინტუიციით გამოვირჩევი.

— პირველი ადამიანი ხართ, ვინც ამას ამბობს. — თავშეკავებულად ვიცინი.

ასეა. ამიტომაც არ ვიცი რა უნდა მოვყვე. სამშაბათი იყო, ასე მახსოვს. დილით ლექციებზე გავიდა. გვიან დაბ-რუნდა, ზუსტად ვერ ვიხსენებ, მაგრამ თორმეტი იქნებოდა. რა უნდა გამკვირ-ვებოდა? თავის საქმეზე უგონოდ შეყვა-რებულია. უფრო სწორად იყო. რამდენ-საც გინდათ იმდენს გავიხსენებ, დამე უნივერსიტეტში გაუთენებია და მეორე სალამოს დაბრუნებულა სახლში. არანა-ირი ეჭვიანობა, თქვენ არ იცნობთ ჩემს ქმარს. ყოფილს. იქნებ, შემდეგ რა მოხ-და ეგ უფრო საინტერესოა? კი ბატონო, რა დამავიწყებს. მე და თედო გადასარე-ვად ვეწყობით ერთმანეთს. რაც შეეხ-ბა შეილს, ამაზე პრობლემა არ გვქონია. უბრალოდ, არ ვჩქარობდით. რას საქმია-ნობდა? როგორ, აქამდე არ გიკითხავთ? ფილოლოგის ლექტორი იყო, ჯავახიშ-ვილში. მერე მაგასაც თავი დაანება. უც-ნაურობას მანამდე ვერ ვატყობდი. ერთი ეგ იყო, ნიუ-იორკში, ტაქსში ჩავჯდე-ბიოდით თუ არა, მძღოლს ეკითხებო-და, თქვენ ხომ არ იცით გარეული იხ-ვები სად მიდიან, როცა ტბა იყინებაო. ყოველთვის ეკითხებოდა, გამონაკლისის გარეშე, თითოეულ მათგანს. პასუხი, რა-საკვირველია, არასდროს მიუღია. საერ-თოდ, 59-ე ქუჩაც მისი ახირება იყო. სხვა არაფერი. მერე, ძმა როცა გარდაეცვა-ლა, თითქოს რაღაც ნაწილი მოკვდა მას-ში. მესმის, ტყუპები იყვნენ. ამის გამო დღემდე ვცდილობ, გავუგო.

— და პროტესტი არ გამოგითქვამთ? —

დამაინტერესა.

— სიმართლე გითხრათ, მთელი კვირა შოკში ვიყავი. აგონიდან გამოვედი თუ არა, შექვედით და ვისაუბრეთ, მეაცრად, გარკვევით ამიხსნა, რომ მარტოობა უნდოდა და მისთვის ყველაფერი დამთავრდა. აღარც შვილი უნდოდა, მით უმეტეს — ცოლი. ეს ყველაფერი ირაკლის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ იყო, დაახლოებით.

— იქამდე ერთად ცხოვრობდით?

— დიახ. მერე ერთიანად აფეთქდა.

ილიკომ განქორნინების საბუთის ნახვა მოითხოვა. დიდხანს უტრიალა. ისევ შუბლთან მიიტანა. ყურადღებას საერთოდ აღარ გვაქცევდა. თითქოს პირველად ნახა მსგავსი დოკუმენტი. მერი გაოცებული უყურებდა. მე კი დიდი ხანია მივეჩვიე. ილიკოა, რა. ერთი შენც ნახეო მთხოვა და რა გზა მქონდა, ვაკვირდებოდი გულმოძგინედ. ჩვეულებრივი საბუთი იყო.

თუ შეიძლება, ამას ცოტა ხნით დავიტოვებ. გპირდებით, დაგიბრუნებთ.

სულ თქვენი იყოს, — ჩაილაპარაკა მერიმ.

განქორნინებამდე სექსი თუ გქონდათ? — ინტერესდება ილიკო. — ანუ, ირაკლი ნაკაშიძის გარდაცვალების შემდეგ — განქორნინებამდე.

სირცევილისგან გავშრი. მინდოდა, ერთი შემომერტყა, იქნებ მერე მაინც მეთოვა თავისი თავხედური ფანტაზიები.

არ მგონია, ამას საქმესთან პირდაპირი კავშირი ჰქონდეს, ან თუნდაც ირიბი, — იწყინა მერიმ. რაღა თქმა უნდა, სამართლიანად.

— მე კი ვფიქრობ, რომ შეიძლება, ეს ფაქტი მთავარი გასაღები აღმოჩნდეს. რასაკვირველია, სწორად თუ მოვარგებთ საკეტს.

— მე კი სისულელედ მიმაჩნია. თავს შევიკავებ. ახლა შეგიძლიათ, მარტო დამტოვოთ.

ყველაფერი გააფუჭა. მარტო ერთ რამეში ვიყავი დარწმუნებული — ეს ქალი სათოფეზე აღარასდროს გაგვიკარებდა.

— ეს მაინც ხომ წამოვილე. — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა და განქორნინების საბუთი თვალწინ ამიფრიალა. ეგრე ეკუთვნით.

●

ყოველი ახალი დღე, მეტ დაკარგულ დროს ნიშნავდა. ხალხის სია, რომლებიც უნდა დაგვეკითხა, მინიმუმამდე შემცირდა. დარჩა ბოლო იმედი, თედო ნაკაშიძე, რომელიც არც კი ვიცი მიგვიღებდა თუ არა. ასე ნეგატიურად განწყობილი არასდროს ვყოფილვარ. ეს დაკითხვაც ბანალურად დამთავრდებოდა, გული მიგრძნობდა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მართალი ვიყავი. წარმოდგენაც არ მინდოდა მერე რა მოხდებოდა. ბათუმის მონატრებას ისიც დაემატა, რომ დედაქალაქის ხმაური საბოლოოდ აუტანელი გახდა. ზაფხული რომ ზაფხულია, მაშინაც კი არა მსგავსი აურზაური ბათუმში. სულ რამდენიმე დღე გვრჩებოდა. უკანასკნელ თეთრებს საჭმელში ვხარჯავდით. ტაქსით აღარ ვმგზავრობდით, რადგან მეტრო ბევრად ხელსაყრელი და სწრაფი აღმოჩნდა. ასე იყო თუ ისე, თავს გავიტანდით. ერთი ადამიანი უნდა გვენახა და აღარ ვჩქარობდით. საქმეზე თითქმის აღარ ვესაუბრებოდით ერთმანეთს. ილიკო მხიარული ჩანდა. თავს იტყუებდა და მეც მატყუებდა, აღბათ. მისთვის გაუხსნელ საქმეზე დიდი საშინელება არ არსებობს. მთელი მისი ცხოვრების იდეაფიქსი ესაა. გადავწყვიტეთ, ჯერ ლილა გვენახა, შემდეგ ბიძამისი. სახლში არ იყო და საღამომდე მის სადარბაზოსთან ვიყურყუტეთ. არ ვიცი იქ რატომ მივედით. სათქმელი არაფერი გვქონდა. არც თვითონ დაუსვამს ზედმეტი კითხვები. ჭკვიანი გოგო ჩანდა, ისედაც ხვდებოდა საქმის ვითარებას. ჩავფლავდით. მიკიბ-მოკიბვის გარეშე თუ ვიტყვი, ჩავიკვით. თედოს მისამართი გამოვართვით, ყავით გაგვიმასპინძლდა და სახლისკენ წავედით.

უნდა იცოდეთ, თედო როგორი იყო. ძაან მეგომება ეს დეტალური აღწერე-

ბი. მე, უურნალისტ კაცსაც კი გულზე არ მეხატება მსგავსი სისულელებზე დაწვრილმანება, თუმცა... თედო ნაკაშიძე იმაზე მაღალი და მოსული ტიპი აღმოჩნდა, ვიდრე სურათებიდან ჩანდა. ბოლომდე გაჭალარავებულიყო, თმა ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი. წვერი, რომელიც ასევე სრულიად ჭალარა ჰქონდა – მონესრიგებული. როგორც ჩანს, თავს მშვენივრად უვლიდა და მთელ დროს საკუთარ სხეულზე ზრუნვას ახმარდა. მარცხენა ფეხით კოჭლობდა, დამალვას არ ცდილობდა, მაგრამ არც კომფორტულად გრნობდა თავს. შალვას მსგავსად, თითქოს ისიც დიდი ხანია გველოდა. ილიკოს სიურპრიზები არა და არ მთავრდებოდა. როცა მეგონა, ხმის ამოღების საშუალებას არ მომცემსთქო, ზუსტად მაშინ გაჩუმდა და მთელი ის დრო, რაც თედო ნაკაშიძის სახლში გავატარეთ, ხმა არ ამოულია.

– ბატონო თედო, მესმის, ძალიან რთულია თქვენთვის ამ თემაზე საუბარი, – ვამბობ, – მაგრამ უნდა გესმოდეთ, ამას თქვენი და თქვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის ვაკეთებთ. თუნდაც ლილასთვის, რომელსაც მხოლოდ თქვენი იმედი აქვს, – მოკლედ ქადაგად დავვარდი, – ამის გამო მაინც გადააბიჯეთ საკუთარ ტკივილს.

– რისი მოსმენა გინდათ, – იწყებს ყოველგვარი შესავლის გარეშე, – მერიც გეტყოდათ. იმ დღეს დილით გავედი სახლიდან, ძალიან ადრე. ლექციები საღამოს ექვსამდე მქონდა. მერე, ტრადიციულად, უნივერსიტეტში დავრჩი და საკუთარ ნაშრომებს ვუკირკიტებდი. რომელს? თუ წაგიკითხავთ მითხარით „დროის ფაქტორი ფოლკნერისა და ჯონისის ნაწარმოებებში“. არა, ხომ? არც მიკვირს. როგორც კი დამირეკეს, მერისთან გავიქცი, დავიბენი, საერთოდ ვერ მივხვდი რა უნდა გამეკეთებინა. თქვენ რას იზამდით? მე და ირაკლი ერთი მთლიანობა ვიყავით. ახლაც ასეა.

– მერიმ თქვა, რომ უნივერსიტეტი, ლექციები, თქვენთვის უძვირფასესი

იყო, როგორ შეძელით ასე ერთი ხელის მოსმით ყველაფერზე უარის თქმა?

– ის არ გითხრათ, რომ თავად უფრო მნიშვნელოვანი იყო? მერიზე თუ ვთქვი უარი, როგორ გგონიათ, უნივერსიტეტი დამაპრკოლებდა?

მაგრად მიჭერდა. მე უურნალისტი ვარ და სტატიების დაწერა მეხერხება, ასეა თუ ისე, მთელი გულით მინდოდა, ცხოვრებაში პირველად, ილიკოს თავისებურები ჩაერთო, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მუნჯის როლი ეთა-მაშა.

– თქვენი ძმის მეგობრებს, – ძლივს ვპედავ კითხვას, – სოსოს და კახას, რატომ აუკრძალეთ ლილასთან სიახლოვე?

– როგორც მე შევნიშნე, თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. არ ვიცი კონკრეტულად რაში, თუმცა მსგავსი შთაბეჭდილება დამრჩა. მოვალეობის მოხდის მიზნით აკეთებდნენ ყველაფერს და რამდენიმე წელში მაგასაც აღარ იზამდნენ. ლილა ჩემი ოჯახია, ჩემი ძმის შვილი, ჩემთვალწინ გაიზარდა.

– სოსოზე რამე თუ იცით?

– მოლოდ ის, რაც ყველამ. საკუთარ სახლში ნახეს, თავი ჩამოიხრჩო.

– თქვენს ძმაზე რას გვეტყვით?

– მიჭირს ამაზე საუბარი. ტკივილის გამო კი არა. ისე, განსაკუთრებული იყო. ცოლი რომ გარდაეცვალა უფრო გულჩახობილი გახდა. ვალები? რა ვალები, მსგავსი არაფერი გამიგია. სვამდა, ეს მართალია, თუმცა აზარტულ თამაშებზე არაფერი მსმენია. ხალხი ყველაფერს იტყვის. მთელი ხუთი წელი ყველას პირზე ეკერა ეს ამბავი, მერე როგორც ხდება, ერთიანად მიანებეს თავი სხვადასხვა თეორიებს. თქვენი გამკვირვებია, იმდენი ვერსია იყო, თვითმკვლელობისაც კი, მაგრამ მკვლელობა საიდან მოიტანეთ?

– გრძელი ამბავია, იმდენად უცნაური, არ მგონია, მოყოლად ლირდეს. – მხოლოდ ამის თქმას ვახერხებ.

როგორც მანამდე ვთქვი, ყველაზე ნაკლები თედოსთან საუბარმა მოგვცა, იქნებ იმიტომ, რომ ილიკო საქმიდან

გავიდა? აბა, რა ერქვა მის საქციელს? განზე გადგა, მთელი საქმე მე დამითმო. უკან განბილებული გამოვგრუნდი, ჩემი მეგობარი მაინც მხიარული ჩანდა. მზემ გამოანათა, როგორც იქნაო, აღნიშნა.

— დღეს სანაპიროზე წავიდეთ, ლუდი დავლიოთ, გამარჯვება აღვნიშნოთ.

— ასე მგონია, სულ დამცინი. — მართლა ძალიან ვპრაზდები.

— სულ ტყუილად, სუუულ. ან იქნებ არც, — არ ეშვება თავისებურებს, — არა, მართლა. დღეს კარგად გამოვთვრეთ და ხვალ საქმე დავასრულოთ.

— შენ რა, იცი მკვლელო ვინაა? თუკი საერთოდ მკვლელობა იყო და იმ გოგოს გამო არ ავიტკიეთ თავი.

— ჯერ არაფერი ვიცი. ლუდი მინდა, მაგაში ვარ მხოლოდ დარწმუნებული.

მატყუებდა. რა დიდი გამოცნობა უნდოდა. ძალიან დავილალე და უკვე სულერთი იყო. ერთადერთი რაღაც მინდოდა — სახლში დაბრუნება. ბატონი ვაჟასთვის რამე უაზრო, ინტრიგნული სტატიის ჩაბარება, ხელფასის შენარჩუნება და მშვიდი ცხოვრება. არ ყოფილა ეს ექშენი ჩემი საქმე. მარტო შინაგანად კი არა, ფიზიურადაც საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი. ოთხმოცი წლის გადამდგარი პოლკოვნიკივით ძვლებში მამტვრევდა. მართალი ყოფილა, მონატრება დროითი კი არა, სივრცითი ფენომენიაო. კაცმა რომ თქვას, „ოკრიბაში“ ჩამოვედი თუ არა, ეგ კი არა, რიკოთი რომ გადმოვიარეთ, მაშინვე მოვისაკლისე ჩემი ქალაქი. უკან მინდოდა დაბრუნება, მხოლოდ ამის სურვილიდა მქონდა. და რას ვაკეთებდი სანაცვლოდ? სანაპიროზე ვიდექი, ლუდს ვნრუპავდი, მდინარეში გადაკადებულ ანკესებს მივშტერებოდი. იმ დღეს მტკვარი უჩვეულოდ მშვიდი და სუფთა იყო. ჩემი შვევებულებაც ინურებოდა. მაგრად კი დავისვენე.

ლამდებოდა, როცა მელირსა და ილიკო ლუდის სმით დაიღალა. რამდენიმე მის მსგავს შეუუუნებულ ლოთისაც გამოელაპარაკა. მთელ რიგ საკითხებზე

მოისმინა იმათი აზრი და ბოლოს გემრი-ელი ჩახუტებით გამოემშვიდობა.

მეორე დილით ადრიანად წამოხტა. რაღაცით კმაყოფილი ჩანდა. გამოუძინებელი, თუმცა მაინც ბედნიერი სახე ჰქონდა. ვერავინ იტყოდა, წინა დღით ათი კათხა ლუდი ჩაიცალა მუცელშიო.

აბა, ტრაკი აწიე უსაქმურო, — მე მინოდებს უსაქმურს, — დღეს ბევრი საქმე გვექნება.

ლილა იმ დღეს ულამაზო მეჩვენა. გამოუძინებელი ჩანდა. მოუწესრიგებელი. ზედმეტი შეკითხვებით არც ამჯერად შეუწუხებია თავი.

— თავს როგორ გრძნობ? — ინტერესდება ილიკო, — იმის გამო არ გეკითხები, ცუდად რომ გამოიყურები, — აი, მესმის თავაზიანობა, — იმის კითხვა მინდოდა, ხარ თუ არა მზად დღევანდელი დღის-თვის?

— არ შეგიძლიათ ცოტა გასაგებად ილაპარაკოთ? — ხმა ებზარება ლილას.

ეგ ნამდვილად არ ანყენდა. გასაგებად საუბარი და სულ ოდნავი თავაზიანობა.

— მართალი ყოფილხარ. იცი, თავიდან ეჭვი მეპარებოდა. საერთოდ ასეთი საქმეები ჩემი სტილი არაა. უცნაური იყო, მხოლოდ ამიტომ დავინტერესდი. ეჭვი შენში მეპარებოდა, მართალი კი იმაში ყოფილხარ, რომ საქმე ნამდვილად მკვლელობასთან გვაქვს. ამას წყალი არ გაუვა.

— გინდათ თქვათ, რომ მკვლელი იპოვეთ?

— საქმე ასე მარტივად არაა. შეცდო-მაში ნუ შეგიყვანს ჩემი სიტყვები, არ იფიქრო, თითქოს მკვლელი მიმწყვდე-ული მყავდეს კუთხეში და რამდენიმე დღეში ყველაფერზე პასუხს აგებს.

— ჩვენი მხრიდან რა იქნება საჭირო?

ისე, ეგ მეც მაგრად მაინტერესებს. ლილაზე მეტი მეც არ ვიცი საქმეზე. შეიძლება, ვაჭარბებ, მაგრამ ბევრად მეტი მართლა არ ვიცი. ჩემი ჩანაწერები სისულელეა, მხოლოდ ფაქტები, ისიც უმნიშვნელო.

— მე მინდა, ასეთ რთულ დროს მარ-

ტო არ იყო. თედო თუ გვესტუმრება, დიდად დაგვაფასებს. მგონი, მანაც უნდა, იცოდეს რა ხდება სინამდვილეში. თუ უარს იტყვის, კი ბატონო, მისი ნებაა. ვერაფერს დავაძალებთ.

თედო ნაკაშიძემ პატივი დაგვდო და სამი საათის შემდეგ მობრძანდა. იქამდე სოციალურ ქსელებს ვუკირუიტებდი. ყალბი ანგარიში გავაუქმე. ალარ მინდოდა მეორედ ასეთ გაუგებრობაში გახვევა.

ლილას ბიძა ისევ ისეთი მოწესრიგებული, სუფთად ჩაცმული, მარცხენა ფეხით ოდნავ დაკოჭლებული წარსდგა ჩვენს წინაშე. მოვიდა თუ არა, გამოგვიცხადა, ზუსტად ვიცოდი კიდევ მომინევდა თქვენი ნახვაო.

— ახლა რას ფიქრობთ, ამ დღის შემდეგ ისევ შევხვდებით? — სწრაფად პასუხობს ილიკო.

— ვინ იცის. რა არ ხდება ამქვეყნად.  
— მე კი სრულიად დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს ველარასდროს ვნახავთ.  
— ამაზე სასაუბროდ თუ დამიბარეთ, წყლის ნაყვაზე უარესი გამოდის, საქმეების მეტი რა მაქვს.

— ამ სახლის გასაღები თქვენც გაქვთ, არა? — რაღაც დაკითხვის მსგავსს იწყებს.

— რა თქმა უნდა. ამაში რამე განსაკუთრებულს ხედავთ?

— არა, არა. შეიძლება თქვენი გასაღები ვნახო?

ამასაც ისეთივე ინტერესით აკვირდებოდა, როგორც ყველაფერს დანარჩენს. შემდეგ გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ფეხზე წამოდგა. თედოს ზურგს უკან დადგა და მხრებზე ხელები დააწყო. იმანაც, თითქოს ილიკოს საქციელს მიჩვეულმა, ერთხელ მიაბრუნა სანახევროდ თავი მერე მე შემომხედა:

— მაგარი მეგობარი გყავს, სულ ასეთია? მართლა მაინტერესებს.

— მე კი ის უფრო მაინტერესებს, საკუთარი ძმა რატომ მოკალით?

ჩემმა მგობარმა რაღაც საოცარი, განსაკუთრებული თამაში წამოიწყო.

ყოველგვარი მეტაფორის გარეშე, პირდაპირ პირი დამრჩა ლია. ლილა ისეთი გაფითრებული იყო, ისეთი დაბნეული, ველარ გავიგე რა უნდა მექნა. მხოლოდ თედო იყო გახევებული, მოქუფრული, სევდიანი იჯდა და ხმას არ იღებდა.

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ კითხვას: ახლავე უნდა მითხრათ, საკუთარი ძმა რატომ გაიმეტეთ ასეთი საშინელი სიკვდილისთვის?

ეს კიდევ არაფერი, მხოლოდ დასაწყისი ყოფილა. მთელი ამბები ჯერ კიდევ წინ გველოდა. ამ კითხვით, ილიკომ მხოლოდ საქმე დაძრა. გვეგონა, ყველაფერს მივხვდით, თედო დამაშავე იყო და ძმის მკვლელს საკადრისი პასუხი გაეცემოდა სასამართლო დარბაზში. ვცდებოდით. ყველაფერი წინ იყო.

გაკვირვებამ, ელდამ, აგონიამ, შიშმა, თუ ყველაფერმა ერთად როცა გადაიარა, ლილა უკვე ფეხზე იდგა, ოთახში წინ და უკან დააბიჯებდა მსუბუქი ნაბიჯით. ილიკო ფანჯარასთან აბოლებდა. მე — არ მახსოვეს. მხოლოდ თედო იჯდა გაუნძრევლად, მერე ერთი გულიანად გადაიხარხარა და მრისხანედ წამოიძახა:

— ასეთი სისულელე ჩემს ცხოვრებაში არ გამიგია. ცხვირმოუხოცავო ღლაპო, ახლავე გააჯევით აქედან.

— აბა, აბა. რა სიტყვებს იძახით, მარტო ჩვენ რო ვიყოთ არა უშავს. თქვენი ძმისშვილის თანდასწრებით მიუღებელია.

— მე მივდივარ. ახლა კი დარწმუნებული ვარ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, პოლიციის განყოფილებაში, ცილისნამებისთვის. ბათუმიდან ხართ, ხო? ზღვას ველარასდროს ნახავთ, დარწმუნებული იყავით.

— ვერსად ვერ წახვალთ, გასაღები ჩემს ჯიბეშია. ლილა კი, სანამ სიმართლეს არ გაიგებს, ზუსტად ვიცი, გასაღებს არ მოგცემთ.

მერე ტელეფონი გამომართვა და დარეკა.

— ალო, პოლიცია? დიახ, დიახ. საქმე მკვლელობასთან გვაქვს, მისამართს

გეტყვით. ახლავე მოხვალთ? ნუ იჩქარებთ, მკვლელობა ოცი წლის წინ მოხდა, ერთი საათი აქეთ იქნება თუ იქით, საქმეს მაინც ვეღარ შეცვლის. ზუსტად ერთ საათში იყავით.

— როგორ ბედავთ, — მუშტებშეკრული ლილა ილიკოს წინ იდგა, — რა სისულე-ლეებს როშავთ და ცილს სწამებთ ბიძაჩემს, ერთადერთ ადამიანს, ვინც ყველაფერი გაწირა ჩემ გამო.

— ახლავე ყველამ მოკეტეთ და სიმართლე მოისმინეთ, — აღმოხდა ილიკოს, მართლა განრისხებული ჩანდა, — ეს კაცი, ლილა, ბიძა კი არა — მამაშენია. შენ თუ გახსოვს მეგობარო, — ამჯერად მე მომმართავს, — რამდენიმე დღის წინ გითხარი, ადამიანი ხეს გავს-მეთქი. რა გგონია, ისე, ლამაზი სიტყვები იყო? ეგაა შენი პრობლემა, დეტალებს არ აკვირდები. არადა ყველაფერი, მთელი ცხოვრება დეტალებისგან შედგება. პირველივე დღეს, თედოს და ირაკლის სურათი ვნახე თუ არა, შევძლი მათი განსხვავება. იცი, დედამიწაზე ორი ერთმანეთის მსგავსი ხე არ არსებობს. შეუძლებელია იდენტური იყოს. სუუულ მცირე სხვაობა მაინც იქნება. ასევეა ადამიანების შემთხვევაშიც. მეცნიერულად დამტკიცებულია: არ არსებობს ყველაფრით მიმსგავსებული ორი ადამიანი, ტყუპებიც კი, ყველაზე საინტერესო ესაა. კარგად დააკვირდით ამ ბატონის მარცხენა თვალს, ოდნავი სიელამე შესამჩნევია. აქ შეიძლება შევმცდარიყვავი, ამიტომ ნაადრევი დასკვნების გამოტანა სისულელე იქნებოდა. უბრალოდ, ყველაფერი ასე დაიწყო. იქ, იმ ბინაში ერთი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს, შალვა მამასახლისი, გაგიგიათ? მართალია ბრმაა, თუმცა ყველაზე მეტს ხედავს. მისი ჩვენება ძალიან დაგვეხმარა.

— ანუ ასეთ სისულელეს ბრმა ადამიანის ჩვენებაზე დაყრდნობით ამბობთ? — ლილას მოთმინება აღარ ჰყოფნის.

აშკარაა, ილო დათმობას არ აპირებს:

— ლილა, ძვირფასო, ჩემი აზრები ერთმანეთთან ძალიან წვრილი ძაფებით

არის დაკავშირებული და თუ გაწყდება, მის აღდგენას ვეღარასდროს მოვახერხება. გამუმდი, თუ შეიძლება. რაც შეეხება შემდეგ ამბებს, ყველაფერი ასე მოხდა. 11 სექტემბერს ირაკლი ნაკაშიძე, მის ორ მეგობართან ერთად საქმეებზე საუბრობდა. შალვამ კარგად გაარჩია ფეხის ხმა. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ირაკლიმ მეგობრებს ვალებსა და პრობლემებზე საიდუმლო გაანდო, სოსო და კახა ბინას ტოვებენ. გამოიცანით: ორივემ უარი უთხრა მეგობარს დახმარებაზე. ამ ამბავს აქ დავტოვებ, ახლა უფრო მნიშვნელოვანზე გადავდივარ. როცა განქორნინების საქმე გავიგე, მერის, რომელიც ისევ ქმრის გვარზეა, საბუთის გადმოცემა ვთხოვე. ხელმოწერას დააკვირდით, ქალის მშვიდ და კაცის აკანკალებულ ხელს, უცნაურია, არა? როგორც ვიცი, ტყუპები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ: ირაკლი ხშირად სვამდა, თედო — არასდროს. ირაკლი ბევრს ენეოდა, თედოს ცხოვრებაში ერთი ლერიც არ მოუწევია. თედო მშვიდი კაცი იყო, ირაკლი — ნერვიული. მერიმ კითხვას თავი აარიდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, 11 სექტემბერის შემდეგ, განქორნინებამდე, მეუღლესთან სექსი არ ჰქონია. ახლა იმ ძეველ, შეჩერებულ ამბავს ვაგრძელებ. როცა სოსო და კახა ბინიდან გავიდნენ, ირაკლიმ თედოს დაურეკა, ისიც მალე გაჩნდა ძმასთან. მოწმემ კარგად გაიგონა ზედა სართულისკენ მიმავალი მსუბუქნი ნაბიჯის ხმა. აი, აქ კი ერთადერთი რაღაც ვერ გავარკვიე — მკვლელობის მეთოდი. სანამლავი ვერ იქნებოდა, ექსპერტიზა დაადგენდა, სხეული ხომ ბოლომდე დამწვარი არ იყო. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას შალვა მამასახლისი გაიგებდა. ერთი ვარიანტი რჩება. თოკით, ან რამე მსგავსი საგნით გაგუდა, რადგან სხეულის ზედა ნაწილი მთლიანად დამწვარი იყო. შემდეგ მშვიდად შეცვალა ტანსაცმელი და ბინას ცეცხლი წაუკიდა. ამის შემდეგ ადგილი დატოვა და სრულიად გასაგები გახდა მეუღლესთან გაყრის საბაბიც.

სინდისი კი მაინც აწუხებდა, როგორც ჩანს. ვერ გაბედა ძმის ცოლთან დაწოლა. სამაგიეროდ, ვალებს საშუალოდ გაექცა და კიდევ არაერთ პრობლემას. უნივერსიტეტიდანაც მალე წამოვიდა. იქ ყველაფერი დეპრესიას მიაწერეს, როგორც ჩვევიათ. წამოვიდოდა, აბა რას იზამდა, მას ხომ არ ჰქონდა იმსელა ცოდნა, ლექციები წაეკითხა ლიტერატურულ თეორიებზე. მთელი ოცი წელი შეცდომა არ დაგიშვიათ, ბატონო ირაკლი, თითქმის არ დაგიშვიათ. სანამ ერთმანეთს არ შევხვდით. თქვენ ალკოჰოლზე ხართ დამოკიდებული, ისევე როგორც მე. ამაში წამდვილად შემიძლია გაგიგოთ. როცა ჩვენი ამბავი შეგატყობინეს, თავი ხელში აიყვანეთ და არ დაგილევიათ. სასმელის და თამბაქოს სუნი ძვირადირებული სუნამობით გადაფარეთ, უფრო სწორად მცდელობა გქონდათ. აი, მანდ შეცდით. ადამიანს, რომელსაც ალკოჰოლის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, სიფხიზლეში სხეულს ვერ იმორჩილებს. ხვდებით, ხო? ახლაც მაგის გამო მალავთ ხელებს ჯიბეში. პირველ დღეს, როცა მორიგი სულელი გეგონეთ, თამამად, დაუფარავდ მოქმედებდით, ხელები საშინლად გიკანკალებთ, თუმცა არა უშავს, ციხეში გადაეჩვევით. ეგეც რომ არ იყოს, ისევ ბევრს ეწევით. სუნი კი დამალეთ, მაგრამ ჭალარა წვერმა გაგცათ. რაც არ უნდა ხარისხიან სიგარეტს ეწეოდეთ, წვერს, მით უმეტეს ჭალარას, მისი დაფარვა არ შეუძლია. სარკეში ჩაიხედეთ, ოლონდ ძალიან ახლოდან. დაინახავთ როგორაა გაყვითლებული. ყველაფერი მაინც მაშინ გაირკვა, ანუ მაშინ დავრწმუნდი, როცა სისხლში ალკოჰოლის კვალი არ აღმოჩნდა. კახამ ხომ გვითხრა, იმ დღესაც ნასვამი რომ იყავით. სოსოს თვითმევლელობის მიზეზი კი ვერ გამიგია. იქნებ არც ჰქონდეს ამ ამბავთან კავშირი. ისეთი გულუბრყვილო არ ვარ, დავიჯერო, თავს ვერ აპატია დახმარებაზე უარი რომ გითხრა და თვითონვე გამოიტანა განაჩენითქო. არა, აქ სხვა, ბევრად სერიოზული ამბავია, მაგრამ ამის დრო

არ მექნება, მალე უნდა დაგტოვოთ. ასე და ამგვარად, ლილა, ირაკლი ნაკაშიძემ, მამაშენმა, იმ დღიდან თედოს ცხოვრება მოირგო. თუმცა, რადგან ისე ვერ გააგრძელებდა, ის რეალობაც დაანგრია და შეზრდება ზრუნვა დაიწყო. საიდან ჰქონდა სახსრები ამ ყველაფრისთვის, წარმოდგენა არ მაქვს. ისე, რამდენიმე თეორია მაგ საკითხზეც ჩამომიყალიბდა. სურვილი არ მაქვს ახლა მაგაზეც ვილაპარაკო. როცა ეს კაცი ჩემმა მეგობარმა დაკითხა, განქორნინებაზეც ჩამოუგდო სიტყვა. იქ ერთ საინტერესო ამბავს წავაწყიდი. ქალს ყოველთვის სახელით მოიხსენიებდა. ერთხელაც კი არ უხსენებია სიტყვა ცოლი. აქ კი ყველაფერი დასრულდა. საქმე დაგიღეჭეთ და ახლა ის თქვენს ხელშია. პოლიცია მალე იქნება, სადაცაა ერთი საათი გავა. ის კახა რომ ლილას მოაშორეთ, მაგაზეც იგრძნობოდა მამის ინსტინქტი, ნამდვილად სწორად მოიქეცით. ერთი რაღაც მაინც გააკეთეთ სწორად. ახლა კი, ლილა, რაც შეიძლება ცივი წყალი დამალევინე.

— სისულელეა, სიგიური, — ღრიალებდა თედო, თუ ირაკლი ნაკაშიძე, — მსგავსი არასოდეს არაფერი გამიგია. ვერაფრით დაამტკიცებთ ამას, არანაირი სამხილი არ არსებობს. სამაგიეროდ, მე დავამტკიცებ, რომ ნამდვილი ნაბიჭვრები ხართ. ვილაც გიუ, ბრმა ბებერის მონაჩიმახის და უაზრო, აბსურდული დეტალების გარდა. მე ვამბობ, შენც და შენი მეგობარიც ცილისწამებისთვის ციხეში ამოლპებით. ლილა, გასაღები მომეცი, სასწრაფოდ უნდა მოვშორდე ამ საგიუთს. ახლავე თუ არ მომცემ გასაღებს, საშინელება მოხდება, აღარ შემიძლია ამ ბოდვის მოსმენა.

ლილა გაშტერებული იყურებოდა, მე კი ის უფრო მაკვირვებდა, საიდან შეძლო ასეთი უბრალო, ნანოდეტალებით მთელი საქმის შეკონინება ილიკო აბაშიძემ. არიან ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთი საქმის კეთება გამოსდით. ილიკო ის ადამიანია. რომ მიუშვა, ნათურას ვერ გამოცვლის, წყლის

გამაცხელებელს ელემეტებს ვერ შეუც-  
ვლის, გაწყვეტილ კაბელს ვერ გადაა-  
ბამს, სამაგიეროდ, ოცი წლის ნინანდელ  
მკლელობას გახსნის და თანაც როგორ.  
იმ წუთას ვიგრძენი, როგორ მიყვარდა,  
რამდენად ვაფასებდი და დამოკიდებუ-  
ლი ვიყავი ჩემი ბავშვობის მეგობარზე.  
როგორ არ მოვიქცეოდი ისე, როგორც  
კახა და სოსო. ამას ვერასდროს ვეტყო-  
დი, ესეც გადასარევად ვიცოდი, თუმცა  
ისეთებს ხვდება, არ მგონია, ეს გამომე-  
პარებინა.

— ლილა, ახლა ასე უნდა ვქნათ, —  
უუბნება, — მისმინე, თავი ხელში აიყვანე,  
მისმინე-მეთქი! ჩვენ აქ არაფერი გვესაქ-  
მება, შენ ისედაც ყველაფერი იცი. დამი-  
ჯერე, თუ თავიდან ბოლომდე მოისმენენ  
ყველაფერს, არავინ დაგვიჯერებს. შენ  
შეგიძლია, დაასახელო კერძო დეტექტი-  
ვი, აი მისი სავიზიტო ბარათი, მთელი  
საქმე ზეპირად იცის.

აი, სად დადიოდა თურმე მარტო ის  
დღეები. მე კი უაზროდ დავეხეტებოდი  
ქალაქში და ათას სისულელეს ვფიქრობ-  
დი.

— ამ ბიჭს კარგად ვიცნობ, ბოლომდე  
ვენდობი. ის დაგეხმარება, ყველაფერს  
ისე გააკეთებს როგორც საჭიროა. დანარ-  
ჩენი შეწეა. ჩვენ ახლა უნდა წავიდეთ.

— ეს თქვა და გასაღები ამოილო.  
ვრისკავდით, მაგრამ სხვა გზა არ გვქო-  
ნია. გასაღები საკეტს მოარგო, თუმცა  
კარი არ იღებოდა.

— სხვანაირია, — გაიღიმა აცრემლე-  
ბულმა ლილამ, ორჯერ თუ გადაატრია-

ლებთ გაიღება, სამზე — დაიკეტება.

კარი გავაღეთ თუ არა, სწრაფი ნაბი-  
ჯით წავედით, ლამის გავიქეცით. ზურგს  
უკან საკეტმა გაირაჩხუნა. პოლიცის მან-  
ქანების ხმა შორიახლოდან ისმოდა, მა-  
ლევე იქნებოდნენ ლილას სახლთან.

ბინის მეპატრონეს გასაღები ჩავაბა-  
რეთ და გულითადად გამოვემშვიდობეთ.  
იმას, ალბათ, ისევ ისეთი ნამუსგარეც-  
ხილები ვეგონეთ და მთელ უბანს მოს-  
დებდა ჩვენი ალვირახსნილობის შესახებ,  
თუმცა ჩამოსვლისას თუ მეკიდა, ახლა  
რა შეიცვლებოდა. ტაქსისთვის ფულიც  
გამოვახეთ და ნახევარ საათში სადგურ-  
ზე ვიყავით.

ორი საათის შემდეგ კი რიკოთის სა-  
სადილოში გემრიელად ვჭამდით, ილიკო  
ლუდთან ერთად, ამის აღნიშვნა აღარ-  
ცაა აუცილებელი. გარეთ კი ოქტომბრის  
ნაადრევი თოვლი იდო. თხელი ფიფქები  
ისევ ცვიოდა ციდან და გაყინულ მიწას  
ეხეთქებოდა.

მე კი ვფიქრობდი. ნელ-ნელა ვაწყობ-  
დი მოგონებებს. მახსენდებოდა ლილა  
და მთელი ის საქმე. ნეტა ისევ იქ ვი-  
ყო-მეთქი, გავიფიქრე. მერე გამახსენდა  
როგორ გამოვიქეცით და დამაინტერესა  
როგორ მოიქცა ლილა. მეც ილიკოსავით  
ვცადე, საფეოქლები დავიმუშავე, ხელიც  
მივიკაცუნე მაგრამ ვერაფრით გავიხსენე  
ჩვენს ზურგს უკან — ორჯერ გადატრი-  
ალდა საკეტი, თუ სამჯერ...



## ნინო ლილმელაშვილი

### სპილო ლალუტელას საშობაო ამბავი

გაიღვიძა თუ არა ლალუტელამ, პირველი, რაც ფანჯრიდან დაინახა თეთრი, ქათქათა თოვლი იყო.

— თოვლი მოვიდა, თოვლი მოვიდა! — სიხარულით ხტუნავდა სპილუკელა და უშველებელ ყურებს და ხორთუმს სასაცილოდ იქნევდა.

— რა ამბავია, ლალუტელა? — ოთახში ღიმილით შემოვიდა დედასპილო, — სანამ გეძინა, შენი საყვარელი ვაშლის ნამცხვარი გამოგიცხვე.

— დედა, დედიკო! — ჩაეხუტა ლალუტელა დედას, — აუცილებლად შევჭამ შენს გამომცხვარ ნამცხვარს, მაგრამ შეხედე, რამხელა თოვლი მოსულა. როგორც იქნა, ჩემს ოცნებას ავისრულებ!

ლალუტელა კარადასთან მივიდა და იქიდან სულ ახალი ციგურები გამოიღო. დედასპილო ღიმილით ადევნებდა თვალს.

— დედიკო, ხომ გამიშვებ ყინულის მოედანზე სასრიალოდ?

— რა თქმა უნდა! ჩემო პატარა ლალუტელა. — გაუღიმა დედასპილომ. — ოღონდ ჯერ ცხელი შოკოლადი და ნამცხვარი უნდა მიირთვათ.

ლალუტელამ ძალიან სწრაფად გადასანსლა ვაშლის ნამცხვარი და ცხელი შოკოლადიც სულ ყლუპ-ყლუპით გამოცალა, მერე კი თბილ ქურთუკში გამოეწყო, ჩანთა, რომელშიც ციგურე-

ბი ჩაუწყო დედამ, ზურგზე მოიგდო და ლამის სირბილით მივიდა ყინულის მოედნამდე.

— მოიცა, მოიცა სად მოდიხარ?! — შეაჩერა ბაჭია-პრანჭიამ, — ვერ ხედავ? აქ წესები წერია — ყინულის მოედანზე რომ შემოხვიდე, უნდა იყო ჩემსავით პატარა და გამხდარი.

— ან ჩემსავით ლამაზი! — თავის ფუმფულა კუდს თათით მოეფერა ციყვია-ბრიყვია.

— ან ჩემსავით მოხერხებული, ლამაზი, ეშმაკუნა და, რა ვიცი კიდევ რა... — თვალები მინაბა მელია-კუდაგრძელიამ.

— შენ კიდევ... შეხედე ერთი, მსუქანი და მოუქნელი ხარ. ან ეს ამხელა ცხვირი რა უბედურებაა.

— მართლაც! — დაეთანხმა ბაჭია-პრანჭია. — ყურებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

— ჩვენი ყინულის მოედანი ვერ გაგიძლებს! — აკისისდა ციყვია-ბრიყვიაც. — ასე რომ, ნახვამდის!

ლალუტელას ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი თქვა, ყელში თითქოს რაღაც გაეჩინორა და ასე, ყურებჩამოყრილი, წამოლასლასდა უკან.

— ასე მალე რატომ დაბრუნდი? — სათვალე მოიხსნა მამასპილომ და წიგნი გვერდით გადადო.

ლალუტელამ სულ სლუკუნ-სლუკუ-

ნით უამბო ყველაფერი.

მამასპილომ შუბლი შეიკრა, მაგრამ არაფერი უთქვაშს.

— მე მსუქანი ვარ და აღარასოდეს შევჭამ ნამცხვრებს! — ტირილით თქვა ლალუტელამ, ბუხართან მოკალათდა და გრძელი ცხვირი უფრო ძირს ჩამოუშვა.

დედასპილომ თავზე გადაუსვა ხელი.

— ჩემო ლამაზო ლალუტელა, შენ ხომ იცო, რომ ყველა სხვადასხვანაირები ვართ და შენ არ ხარ ვალდებული, სხვებს ჰგავდე ან სხვები გავდინენ შენ. მოდი, ერთად ვიფიქროთ და რამე გამოსავალი ვნახოთ. ხვალ ხომ შობაა, არ შეიძლება შობას მოწყენილი შევხვდეთ.

— მართალია! — დაფიქრდა მამასპილო. — მგონი ვიცი, რაც უნდა ვქნათ.

— რა? — უხალისოდ იკითხა ლალუტელამ.

— რა და ჩვენ თვითონ გავაკეთოთ დიდი და მყარი ყინულის მოედანი.

ლალუტელას წამით თვალები გაუბრნებინდა, მაგრამ მერე ისევ ჩამოყარა ყურები.

— მხოლოდ ჩვენთვის? ასე ხომ ძალიან მოსაწყენია.

— ლალუტელა მართალია, — საუბარში ჩაერთო დედასპილო. — მარტო ჩვენთვის კი არა, ყველასთვის, ვისაც სრიალი უყვარს.

ეს აზრი კი ნამდვილად მოეწონა ლალუტელას.

მამა სპილომ, მეგობრების დახმარებით, დიდი, ძალიან დიდი ყინულის მოედანი გააკეთა. ლალუტელამ თავისი ხელით ჩამოჰკიდა აბრა, სადაც ეწერა: „გეპატიუებით ყველას — დიდებსა და პატარებს, გამხდრებს და მსუქნებს, დაბლებს და მაღლებს... ყველას, ყველას ვისაც სრიალი უყვარს და მეგობრობა შეუძლია!“

მთელი ერთი საათი ელოდა ლალუტელა სტუმრებს ყინულის მოედანზე, მაგრამ არავინ მოსულა.

— ჩემთან თამაში არავის უნდა! — მოწყენილი ხმით თქვა ლალუტელამ. — სახლში წავიდეთ, მაინც აღარავინ მოვა.

— ცოტაც მოითმინე! — ხელი ჩასჭი-

და დედასპილომ. — აი, ნახე, მგონი, ვიღაც მოდის.

ლალუტელამ მხედველობა დაძაბა და ძლივს შეამჩნია — ყინულის მოედანზე კუ შემოვიდა. სათვალე გაისწორა და მიიხედ-მოიხედა.

— როგორც იქნა, მოვედი! — ჩაილაპარაკა თავისითვის. — ყინულის მოედანზე არასოდეს მიშვებდნენ, იმიტომ რომ ძალიან ნელი ვარ და სხვებს ხელს ვუშლი. შეიძლება აქ ვისრიალო?

— რა თქმა უნდა! — გახალისდა ლალუტელა. — ეს ყინულის მოედანი ყველასთვისაა.

ცოტა ხანში ზღარბი შემოემატათ.

— ჩემი ეკლების გამო, ვერსად ვსრიალებ, რადგან, თუ წავიქეცი, ყინულს ვაზიანებ.

— არაუშავს! — გაულიმა დედასპილომ და ძალიან ფუმფულა, ფერადი პლედი შემოახვია. — აი, ახლა თბილადაც იქნები და არც ყინულს დააზიანებ.

— ყველას უჟმური და მოსაწყენი ვგონივარ! — დააბრიალა დიდი თვალები ბუმ. — არადა, მეც მიყვარს თამაში და მხიარულება.

— ყველას ჰგონია, რომ ძილისგუდავარ და მთელი ზამთარი მძინავს. პრინციპში, ასეცაა... — გამოტყდა დათუნია, — მაგრამ ყინულზე სრიალი სახალისოა. ამისთვის კი ლირს გაღვიძება.

ყინულის მოედანი წელ-წელა ივსებოდა. მოდიოდა ყველა, ვისაც სრიალი უყვარდა, ვისაც ერთად თამაშის სურვილი ჰქონდა და ერთმანეთთან მეგობრობისთვის იყო მზად.

ლალუტელა ძალიან ბედნიერი იყო. დედასპილო ყველას ნამცხვრებით, გემრიელი ჩირებითა და ცხელი კაკაოთი უმასპინძლდებოდა.

მამასპილომ კი საიდანლაც უშველებელი ნაძვის ხე მოიტანა და მოედნის შუაგულში დადგა. ძალიან ლამაზი სანახავი იყო უამრავი ბრჭყვიალა სათამაშოთი განწყობილი და ფერადი ნათურებით განათებული ნაძვისხე

მაღე ყინულის მოედანს ბაჭია-პრანჭია, ციყვია-ბრიყვია და მელია-კუდაგრძელია მოადგნენ.

— შეიძლება ჩვენც ვისრიალოთ? —  
მორიდებით იკითხა ბაჭია-პრანჭიამ.

— ჩვენს ყინულის მოედანზე საშინე-  
ლი მოწყენილობა! — დამატა ციყვია-  
ბრიყვიამ და, შერცხვენილმა, ცხვირი  
კუდში ჩამალა.

— მართალია! — გაიპრანჭა მელია-  
კუდაგრძელია. — მე შემიძლია, ყინულ-  
ზე ცეკვა გასწავლოთ.

ლალუტელას უცებ გაახსენდა მა-  
თი საქციელი და, ის იყო, უარით უნდა  
გაესტუმრებინა სამივე, რომ საუბარში  
დედასპილო ჩაერია:

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ! აპრა-  
ზე ხომ წერია, რომ ეს ყინულის მოედა-  
ნი ყველასთვისაა, გამონაკლისების გა-  
რეშე. ასე არაა ლალუტელა? განა, შენ  
თვითონ არ დაწერე?

— დიახ, მასე დავწერე, მაგრამ... —  
ლალუტელას კიდევ რაღაცის თქმა  
სურდა, მაგრამ დედასპილომ კვლავ შე-  
აწყვეტინა.

— ყველა იმსახურებს მეორე შანსს.  
ასე არაა, ჩემო კეთილო ლალუტელა?  
დამიჯერე, ბევრად უფრო ბედნიერი  
იქნები, წყენისგან თუ გათავისუფლდე-

ბი და ყველას გულით შეიყვარებ.  
ბაჭია-პრანჭიას, ციყვია-ბრიყვიას  
და მელია-კუდაგრძელიას ძალიან, ძა-  
ლიან შერცხვათ და თავი ჩაღუნეს. ლა-  
ლუტელას შეეცოდა სამივე და სათითა-  
ოდ ჩაეხუტა მათ. ყინულზე სრიალის  
დროს კი აღმოჩნდა, რომ არც ისე კუ-  
დაბზიკები იყვნენ, როგორც ჩანდა და  
დამეგობრებაც კი მოახერხეს.

სალამოს დაღლილ ლალუტელას დე-  
დის კალთაში ედო თავი და ემოციებით  
აღსავსე იხსენებდა ყინულის მოედანზე  
გატარებულ წუთებს.

— რა კარგია, რომ ყველას გაბედნი-  
ერება შევძელით არაა?

— რა თქმა უნდა! — სავარძლიდან  
გამოეხმაურათ მამასპილო. — სხვაგვა-  
რად არც შეიძლება, ამაღამ ხომ შობაა.

ლამით უშველებელი ფანტელებით  
ბარდიდა და მაშინ, როცა ყველას, თა-  
ვიანთ თბილ საწოლებში მოკალათებუ-  
ლებს, ტკბილად ეძინათ, თოვლის პაპა  
ყინულის მოედანზე, ნაძვის ხის ქვეშ,  
ყველა მათგანისთვის საჩუქრებს და  
უამრავ ტკბილეულს აწყობდა.

## ტოკიტომო და ჰინგვინი ჰინო

იქ, სადაც ტოკიტომო ცხოვრობდა,  
ყოველთვის ზამთარი იყო. თოვლი მა-  
შინაც კი არ დნებოდა, როცა მზე გა-  
მოანათებდა. ტოკიტომო დედასთან  
და მამასთან, თბილ ქოხში ცხოვრობ-  
და, სადაც ყოველთვის გუზგუზებდა  
უზარმაზარი ღუმელი. მამა დილიდან  
სამუშაოდ გადიოდა და გვიან ბრუნდე-  
ბოდა, დედა კი ყოველთვის საოჯახო  
საქმეებით იყო გართული — ხან წყალს  
ეზიდებოდა, ხან ქოხს ალაგებდა, ხა-  
ნაც ღუმელში უგემრიელეს ღვეზელებს  
აცხობდა, საღამოობით კი პატარა ტო-  
კიტომოსთვის თბილ და ჭრელაჭრულა  
ნინდებს, ხელთათმანებს და ქუდებს  
ქსოვდა. ტოკიტომოს ძალიან უყვარდა  
დედიკოს მიერ მოქსოვილი ნივთები.  
ქუდიდან ყოველთვის მოუჩანდა ორი

გრძელი, მუქი შავი ნაწნავი, თვალები  
კი წვრილი და მუქი ყავისფერი ჰქონდა.  
ტოკიტომოს ძალიან უყვარდა თამაში.  
დილით, თვალებს გაახელდა თუ არა,  
საწოლიდან წამოხტებოდა, დედას ჩა-  
ეხუტებოდა, გემრიელად მიირთმევდა  
და გარეთ სათამაშოდ გარბოდა. თოვ-  
ლში ციგით სრიალებდა ან ყინულის  
ფიგურებს აკეთებდა. შუადღისით, რო-  
ცა მზე ოდნავ გაათბობდა იქაურობას,  
მაშინ ტოკიტომო მზეს ეფიცხებოდა,  
სიამოვნებდა სახეზე მზის თბილი სხი-  
ვები.

კვირაში ერთხელ დედა უფლებას აძ-  
ლევდა, მეზობელ სოფელში სათამაშოდ  
ნასულიყო. იქ ტოკიტომოს საყვარელი  
მეგობარი, პინგვინი პინო ცხოვრობდა.  
პინო ყველაზე მხიარული და სასაცილო

პინგვინი იყო პინგვინებს შორის. ტოკიტომოს ის ძალიან, ძალიან უყვარდა.

— რამდენიმე დღეში დიდთოვლობა დაიწყება! — თქვა ერთ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ.

ტოკიტომოს საშინლად არ უყვარდა დიდთოვლობა, რადგან ამ დროს სათამაშოდ გარეთ აღარავინ უშვებდა. ქოხში გამოკეტილი ელოდებოდა ხოლმე დიდთოვლობის გადავლას, რომ პინოსთან სათამაშოდ წასულიყო. დიდთოვლობა და ქარბუქი კი ყოველთვის სამი-ოთხი კვირა გრძელდებოდა. დედა ტოკიტომოს ნაჭრის პანაზუნა თოჯინებს უკერავდა, მაგრამ მათთან თამაში მოსაბეზრებელი იყო, რადგან არც სირბილი შეეძლოთ და არც სიცილი.

მთელი ღამე ფიქრობდა ტოკიტომო და არჩევულებრივი აზრი მოუვიდა თავში. მეორე დღეს დედას სთხოვა, პინოსთან სათამაშოდ გაეშვა, რადგან მერე დიდხანს მოუნევდა ქოხში მარტოს ჯდომა და დედაც დასთანხმდა. სინამდვილეში ტოკიტომოს სულ სხვა რამ ჰქონდა განზრახული — მან პინო ქოხში წამოიყვანა.

— დედა, ხომ შეიძლება პინო დღეს ჩვენთან დარჩეს. მალე დაღამდება უკვე, მარტოს ხომ არ გავუშვებთ?!

— რა თქმა უნდა, შეიძლება! — გაულიმა დედამ. — ოლონდ ხვალ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს უკან, რომ დიდთოვლობამ არ მოუსწოროს გზაში.

პინოს ძალიან მოეწონა ტოკიტომოს თბილი ოთახი და ღვეზელებიც გემრიელად მიირთვა. ტოკიტომო ბედნიერი იყო. დიდთოვლობის პერიოდში მარტომბა აღარ ემუქრებოდა.

მეორე დღეს, როცა დედა წყლის მოსატანად წავიდა, ტოკიტომომ პინო თავის ოთახში კარადაში დამალა.

— აქ იყავი, ჩემო ლაპაზო პინო. სულ ცოტა ხანი მოითმინე. მალე დიდთოვლობა დაიწყება და მერე ვეღარავინ წაგიყვანს შენს სოფელში. აქ, ჩემთან დარჩები და იმდენს ვითამაშებთ, რამდენიც მოგვინდება.

პინოს არაფერი უთქვამს. კარადაში მოკალათდა და თავი ჩაღუნა.

— პინო სად არის? — ჰერთა ტოკიტომოს ქოხში დაბრუნებულმა დედამ.

— წავიდა! — ვითომ ამოიოხრა ტოკიტომომ.

დიდთოვლობა იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე ელოდებოდნენ. მამამ ძლივს მოასწრო ქოხში დაბრუნება. გარეთ ქარბუქი მძვინვარებდა. თოვლი მოდიოდა და მოდიოდა. ქოხში კი საოცარი სითბო იდგა და შემწვარი ვაშლის სურნელი ტრიალებდა. პინოს ძალიან მობეზრდა კარადაში მარტო ყოფნა და სასაცილოდ გამობაჯბაჯდა.

— ეს რას ნიშნავს ტოკიტომო? — ნარბი შეიკრა დედამ.

— პინო აქ დარჩა, ჩემთან, იმისთვის რომ დიდთოვლობის დროს მოწყენილი არ ვიყო! — ამაყად უპასუხა ტოკიტომომ.

— ოხ, ტოკიტომო. ასე როგორ შეიძლება! მას ხომ თავისი სახლი მოენატრება, როგორ უნდა დაბრუნდეს უკან?

— არ მოენატრება! — დამაჯერებლად თქვა ტოკიტომომ. — მე მისი მეგობარი ვარ, მე ხომ ის მიყვარს! ჩვენს ქოხში თბილა, წასვლა რატომ უნდა უნდოდეს?

პინო მოწყენილი იდგა. მას ლაპაზი არ შეეძლო, მაგრამ უცნაურ სევდას გრძნობდა. გაახსენდა, დედაპინგვინი ძილის წინ ცხვირს ცხვირზე რომ მიადებდა ხოლმე და თვალები ცრემლებით გაევსო. მასაც ძალიან უყვარდა ტოკიტომოსთან თამაში, მაგრამ თავისი სახლიც ძალიან უყვარდა.

— შეხედე, პინო მოწყენილია. როგორ გვინდა, შენთან თამაშის ხასიათზე ახლა? — მეაცრად ჰერთა ტოკიტომოს დედამ.

— მოწყენილი არ არის! ხომ არ ხარ, პინო! მოდი, ვითამაშოთ! — ტოკიტომომ პინოს ხელი ჩასჭიდა, მაგრამ პინო არ განძრეულა.

ტოკიტომომ უკან დაიხია. პინო ფანჯარასთან ჩამოჯდა და სახლისკენ მიმავალ გზას მიაჩერდა.

— კი, მაგრამ!.. — ცრემლები მოადგა პატარა ტოკიტომოს. — მე ხომ ის ძალიან მიყვარს. მეგონა, აქ ყოფნა უხა-

როდა.

— მასაც უყვარხარ, ჩემო ტოკიტომო, მაგრამ არ შეიძლება, შენი გართობის გამო, ასე ქოხში გამოკეტო ეს უსაყვარლესი პინო. შენ ეს მისი სიყვარულის გამო კი არა, შენი სიამოვნების-თვის გააკეთე.

ტოკიტომოს ძალიან შერცხვა, პინგვინ პინოს ჩაეხუტა და ტირილი დაინყო.

— ნახე, როგორი დიდთოვლობაა, როგორ უნდა დავაბრუნო პინო სახლში? მე ხომ არ მინდა რომ მოწყენილი იყოს.

— ჩემი მარხილით წავიყვანოთ! — საუბარში ჩაერია მამა. — ნუ გეშინია, ჩემი

მარხილი სწრაფი და გამძლეა.

ტოკიტომომ იცოდა, მამა ძლიერი იყო და აუცილებლად დააპრუნებდა პინოს სახლში. ცრემლები მოიწმინდა და პინოს ჩანთაში ღვეზელები და შემწვარი ვაშლი ჩაუწყო.

მამამ თავისი მარხილი შეკაზმა, დედამ პინოს თბილი ქუდი დაახურა და სქელ, ფერად პლედში მაგრად შეახვია.

ტოკიტომომ ლოყები დაუკოცნა პინოს და შეპირდა, როგორც კი დიდთოვლობა გადაივლიდა აუცილებლად წავიდოდა მასთან სათამშოდ.

პინოს ფერადი პლედიდან ბედნიერი თვალები მოუჩანდა.

## ფისური ჰუსაოს ამბავი

მზემ ფანჯარაში შემოიჭყიტა და ფისურია პუსკომაც ზანტად გაახილა მწვანე თვალები. ნებიერად გაიზმორა... უყვარდა პუსკოს მზის თბილი სხივები. კარგად რომ მოფხიზლდა, ოთახს თვალი მოავლო. კეთილი და მოსიყვარულე ქალბატონი სამზარეულოში მიღი-მოდიოდა. კედელზე მიყუდებული სათვალიანი ბიჭუნა იატაკზე იჯდა და გატაცებით კითხულობდა წიგნს. მოხუც ბებიას, როგორც ყოველთვის, სავარძელში ეძინა. სულ ასე ემართებოდა — ჩართავდა ტელევიზორს, სათვალიან ბიჭს დაუძახებდა, სავარძელს ერთად მიაჩირებდნენ ტელევიზორის წინ, ჩაეშვებოდა ბებია სავარძელში და თითქოს სწორედ ამას ელოდებოდა, მაშინვე თვალებს დახუჭავდა და გემრიელ ფშვინვას ამოუშვებდა. პუსკოს ყველა უყვარდა და მასაც ყველა ანებივრებდა მოფერებითა და გემრიელი ნუგბარით. აი, ის წარბეჭმუხნილი კაციც კი, რომელიც ადრე გადიოდა სახლიდან და გვიან ბრუნდებოდა, ზოგიერთ დღეებში კი სახლშიც რჩებოდა, მიუხედავად შეჭმუხნილი და მკაცრი სახისა, ძალიანაც თბილად ლაპარაკობდა.

პუსკოს არ ახსოვს, როგორ მოხვდა

ამ სახლში. ბედნიერი კი იყო და სხვას რას დაეძებდა.

ახლაც, როგორც ყოველთვის, ჯერ სამზარეულოში გავიდა, კეთილ და საყვარელ ქალს ფეხებთან მიუცუცქდა.

— პუსკო, ჩემო ლამაზო ბიჭო!.. — გაულიმა ქალმა და ხელები ასწია. — ნახე, დასვრილი მაქვს და ვერ მოგეფერები. არ გენყინოს კარგი?

პუსკო ცოტა არ იყოს, განაწყენდა, კუდი აპრიხა და ბებიასთან მივიდა. ცოტა ხანს მის წინ იდგა, მერე კალთაშიც ჩაუსკუპდა, მაგრამ ბებია არც გატოკებულა, მოფერებაზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია.

პუსკო უხასიათოდ ჩამოხტა სავარძლიდან და ბიჭისაკენ წავიდა. სათვალიანი ბიჭი ყოველთვის ეთამაშებოდა, ახლა კი თავი ოდნავ ასწია, პუსკოს გაულიმა და უთხრა.

— პუსკო, პუსკო, პუსკუნია, ძალიან საინტერესო ადგილას ვარ, სულ ხუთი წუთი უნდა დამელოდო, კარგი? სულ რაღაც ხუთი წუთი და მერე თბილ რძე-საც დაგისხამ და ძალიან ბევრს ჩაგეხუტები.

ეს კი ძალიან ეწყინა პუსკოს. ხუთი წუთი? მეტი საქმე არ აქვს. წავა და

რძეს სხვაგანაც არ დაამადლიან, არც ჩახუტებას და არც თამაშს. პუსკომ კუდი მაღლა აპრიხა, სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა – ლამაზი იყო, ფაფუკი და თეთრი, მწვანე თვალებით და ზოლებიანი კუდით.

– ასეთი ლამაზი ვარ და ასე უყურადღებოდ მექცევიან. ვნახოთ, როგორ გაძლებენ უჩემოდ. – ამაყად გაიფიქრა და ჩუმად გავიდა აივანზე. იქიდან ქვემოთ ისკუპა და ქუჩაში აღმოჩნდა.

გარეთ მშვენიერი ამინდი იყო. მზეს მთელი სამყარო სასიამოვნოდ გაეთბო. ყველგან გაზაფხულის სურნელი იგრძნობოდა. პუსკო ბედნიერად მიაბიჯებდა ქუჩაში, ყველაფერს ინტერესით აკვირდებოდა. ისე გაერთო, რომ ვერც მიხვდა, სახლიდან საკმაოდ შორს რომ წავიდა.

რამდენიმე საათში შიმშილმა შეაწეა. გაახსენდა თბილი რძე და ტუჩები მოილოკა. ქუჩაში ხალხი ირეოდა, პუსკო ხან ერთს აედევნა, ხან მეორეს, მაგრამ მისთვის რძე არავის შეუთავაზებია. ზოგმა ფეხიც კი უთავაზა გვერდში. პუსკო გაოცდა და დალონდა. ძალიან შიოდა. ქუჩის მეორე მხარეს ბავშვები დაინახა და თვალები გაუბრნენდა, მათთან მივიდა და ერთ-ერთ მათგანს ფეხებზე კუდით მიეფერა.

– ვაა, ნახეთ, ეს კატა საიდან მოვიდა! – დაიძახა ბიჭმა. – დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

პუსკო უცებ დაიბნა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ყოველთვის ეგონა, რომ ყველა ბავშვი სათვალიანისნაირი იყო, ესენი კი ქვებს ესროდნენ, ჯოხების ქნევით მოსდევდნენ. კიდევ კარგი, პუსკომ იმარჯვა და თავი დააღწია, კედლის იქით აიტუზა და აკანკალებული ელოდებოდა მათ ნასვლას.

მშიერი, დაღლილი და შეშინებული პუსკო საცოდავი კნავილით გაუყვა ქუჩას. ნელ-ნელა ბნელდებოდა. მზეც სადღაც, ღრუბლების იქით ჩაიმალა და სითბო სიცივემ და სუსხმა შეცვალა. პუსკოს სახლი მოენატრა, სათვალიანი ბიჭიც; კეთილი ქალბატონიც, ბებიაც და სახე შექმუხნილი კაციც კი. იქვე, ხის ძილში მიწვა და თვალები ცრემლით აევსო. ქუჩაში ბნელოდა, პუსკო კი სახლიდან საკმაოდ შორს წამოსულიყო და უკან დასაბრუნებელი გზა აღარ ახსოვდა.

ასე დაღლილს და გათოშილს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ძილში თითქოს ვილაცამ ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. პუსკომ ნაცნობი სითბო იგრძნო, მაგრამ თვალის გახელის შეეშინდა, არ უნდოდა ყველაფერი გამქრალიყო.

– პუსკო, პუსკუნია!.. – ჩაესმა სათვალიანი ბიჭის ხმა. – როგორც იქნა, გიპოვეთ, ჩემო საყვარელო ფისუნია. ასე რატომ შეგვაშინე?

პუსკომ თვალები გაახილა. პირველი, რაც დაინახა ბიჭის ბედნიერი თვალები იყო. იქვე სახეშექმუხნილი კაცი იდგა და იღიმოდა: – ახლა კი სახლში წავიდეთ! – თქვა მან. – უკვე ღამეა.

პუსკოს გული აუფანცქალდა, ვაითუ გაბრაზდნენ და აქ დატოვონ. ღირსი კი იქნება! თავისი საქციელი გაახსენდა და ძალიან შერცხვა. ბიჭს კი ძლიერად ჰყავდა გულზე მიხუტებული და მის დატოვებას აშკარად არსად არ აპირებდა.

პუსკომ მადლიერი თვალებით შეხედა ბიჭს და თათი სახეზე მოუსვა.

მანქანაში თბილოდა.

– სახლში მივდივართ! – გაიფიქრა ბედნიერმა პუსკომ და ბიჭის მკლავებში ტკბილად ჩაეძინა.



## ნინო დარბაისელი სტრონი

ქართული პოეზიის პანორამა

ხელი – ჩახეთი

(წერილი მეორე)

### ნატა ვარაძე

ეს არ არის ჩემი პირველი წერილი ნატა ვარაძას შემოქმედების შესახებ. რიგით მგონი მესამეა და სულ მეჩვენება, რომ ბოლომდე ვერ ვთქვი ჩემი სათქმელი ამ ფრიად საინტერესო ავტორის შესახებ. რაღაც ასპექტი, რაღაც მთავარი სულ მოუხელთებელი მრჩება. აი, ახლაც ახლიდან შევუდექი საქმეს და დარწმუნებული არა ვარ, წარმატებით დავძლევ თუ არა ამოცანას.

ჯერ შევეცდები, როგორც იტყვიან, მოედანი გავითავისუფლო, ანუ წინასწარვე მოვიშორო ის მხარეები, პლასტები მისი პოეზიისა, რომელიც, ჩემი ფიქრით, არაფერს განსაკუთრებით საყურადღებოს არ გვიკირდება.

იგი წერს თავისუფალი ლექსით. მისი თავისუფალი ლექსი არ გამოირჩევა დიდად კომპოზიციისა თუ სხვა მხარეების ორიგინალობით, აღარ მახსოვს, რითმიანი ლექსი თუ განმიხილავს მისი ადრე. აქ მარტივად აღვნიშნავ,

რომ არც კონვენციური ლექსია მისი სტიქია, თავისი უამრავი ფორმითა და გამოსახვის საშუალებებით. არც სათქმელი გვეძლევა, ტექსტში ლიად გაცხადებული... რაღა დაგვრჩა? – თითქოს არაფერი, არა?

მაგრამ ნატა ვარაძას შემოქმედება ის შემთხვევაა, როცა არაფერი – ყველაფერია. დავაზუსტებ: ყველაფერი არაფრად მოეჩვენება შორიდან მხედველ მკითხველს, რომელსაც არა აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ფეხი დაისველოს მისი პოეზიის მითოპოეტურ მდინარეში, უძველეს წარმართულ ღვთაებათა თუ ქრისტიანულ წმინდანთა, ზოგადკულტურულ პლასტითა თუ ქართულ ნაკადთა, ფანტასმაგორიათა თუ რეალური ყოფის მოვლენათა ნაკადები რომ შერევია.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ აღნიშნავდა, რომ მეტაფორათა ქმნას განსა-

კუთრებული ნიჭი, ტალანტი სჭირდება. იგი თავის „რიტორიკაშიც“ უტრიალებს ამავე საკითხს და თუმცა მას შემდეგ ათასწლეულები გავიდა და მეტაფორისტის დარგში უაღრესად მნიშვნელოვანი უცხოური თუ ქართული გამოკვლევებით გამდიდრდა ჩვენი თეორიული ცოდნა, სხვადასხვაგარი საყურადღებო განმარტებანი თუ კლასიფიკირები იქნა შემოთავაზებული შეიძლება ითქვას, რომ მეტაფორა – დღემდე გამოკვანად რჩება.

პრინციპში, უნდა ითქვას, რომ და-სავლური და მის კვალად ქართული პო-ეზიაც ამასობაში სულ უფრო და უფრო ნაკლებმეტაფორული, ნარატიულ-დეს-კრიფტიული ხდება და ისიც შეიძლებო-და გვეფიქრა, რომ მეტაფორის პრობ-ლემა აქტუალობასაც კი ეთხოვება, მაგრამ.... მაგრამ ჩვენს წინაშე არსებობს ნატა ვარადას ფენომენი.

ეს არის პოეტი, რომელიც არა რა-იმესთან ოპტიმალურ სინთეზში, არა-მედ მხოლოდ და მხოლოდ მეტაფორუ-ლად ხედავს და მეტაფორულად მეტ-ყველებს. მეტაფორულ სახეთა შორის კავშირებიც კი მის პოეზიაში არა ლოგიკის, ან თუნდაც პოეტური ლოგი-კის მეშვეობით მყარდება, არამედ მის ლექსებში მეტაფორა მეტაფორას შობს, რამე ერთი ან რამდენიმე კადრი კი არა გვაქვს რამენაირად განანილებუ-ლი ლექსში, მისი ლექსის გაცნობისას მკითხველი ექცევა მეტაფორათა და წარმოსახვათა რაღაც, ერთიანი დინა-მიკური დინების ტყვეობაში.

ნატა ვარადა ჩვენი თანამედროვე-ობის ცნობილი პოეტია და მე გამი-ჭირდება, დავასახელო მეორე მისდარი ქართველი პოეტი ჩვენი სინამდვილი-დან, რომელიც ასე დაუდევრად ეპყრო-ბა საკუთარ ლექსს. თითქოს როგორც ავტორს, ერთადერთი საქმე აქვს – რა-მენაირად მოიხელოთს და საკუთარი არსებიდან წერილ-ტექსტიად გამოიტა-ნოს მითოპოეტურ-მეტაფორულ წარ-

მოსახვათა ნიაღვრები.

### როგორ?

რაღაცნაირად ჩასწვდეს საკუთარ ქვეცნობიერს, ჩასწვდეს ისე, რომ ცნო-ბიერ (მექანიკურ?) აქტად მხოლოდ ტექსტის ფურცელზე დაფიქსირებალა დაიტოვოს.

რამე საშუალებით ან უმისოდ ქვეც-ნობიერის აქტივაცია, ამის შედეგად დაფიქსირებული ტექსტი, როგორც მომავალი ლექსის მასალა არც სხვა ავ-ტორისთვის შეიძლება იყოს უცხო და უცნობი. მაგრამ ასეთ შემთხვევებში როგორც წესი, შემდგომ ეტაპებზე შე-მოქმედებითი მუშაობის მიმართულება ფორმასაც გულისხმობს. ქართულ თა-ნამედროვე პოეზიაში გვაქვს ტექსტები, რომელიც ცნობიერ-ქვეცნობიერ წაკად-თა სინთეზს წარმოადგენს და მოგვია-ნებით, იმედი მაქვს, მათზე საუბრის საშუალებაც მექნება, მაგრამ ვარადას შემთხვევაში ძნელია ამგვარ სინთეზზე საუბარი. მისი ქვეცნობიერი ცნობიერ მინარევებს ნაკლებად ჰგულბს და მკით-ხველს ისლა დარჩენია, ან მიჰყვეს მის დინებას ან გვერდზე გადადოს ეს ლექ-სები და რამე უფრო იოლითა და ლო-გიკურად გასაგებით დაკმაყოფილდეს.

ჰყავდა თუ არა ნატა ვარადას წი-ნამორბედები საკუთრივ ქართულ პო-ეზიაში?

ჩემი ფიქრით, ეს ორი ქალი-პოეტია – ლია სტურუა და ესმა ონიანი, ოლონდ თუ ორივე ეს პოეტი საკუთარ მეტა-ფორულ ხილვათა სხვადასხვაგვარს, მაგრამ მაინც რაციონალიზაციას ეს-წრაფვის. რაციონალიზაციის ფაზა ვა-რადასთან – მაქსიმალურად რედუცი-რებულია. ანუ მისი სახით ეპიგონობას-თან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უკვე ინდივიდუალურ გზასთან, მე ვიტყოდი, სარისკო, საცალფეხო ბილიკთან, სა-დაც თან ვერავის იახლებ.

რაკი თავისუფალი ლექსები გარდა მინიმალისტურისა, იშვიათად არის იმ ზომისა, რომ ფრაგმენტული ციტირება

წარმატებით გამოგვდიოდეს. ზემოთ-ქმულის საილუსტრაციოდ მისი ერთი მცირე მოცულობის ლექსი ავარჩიე:

### ფარვანა

ხოლო ბავშვები ლაპირინთებში  
როგორც ურჩხულებს,  
დასდევენ ჩრდილებს.  
მთვარის შუქს ვყნოსავ,  
ხელებაგნვდილი უცხო ზეცისკენ –  
აქ, მამაჩემის ავხორცი ძმები,  
წკირივით მკლავზე  
ჩამომკიდებენ  
ველური, ხელი ყაყაჩოების  
წვნიან აბგებს, გამხდარ ჯორივით,  
წინ გამიგდებენ...  
შაბიამნისფერ ქაბულის ქუჩებს  
ვედები ბურკის ბოლოს ბოლივით  
და შავად ვლებავ როცა  
გვერდს ვუვლი  
მახრამის თვალებს და უცხოელი  
მეომრის  
ზურგს ვუგზავნი ვნებას.

თუ წარმოსახვას არ უჩივით, მიჰ-  
ყვებით სახეობრივ დინებას ამ ლექსისა  
და ყველაფერს დაინახავთ, გაიგებთ,  
მაგრამ მოინდომებთ რაციონალიზაცი-  
ას თუ არა და – ჯერ წაიბორძიებთ  
და მერე იქნებ დაეცეთ კიდეც. არა-  
და, ვინც ნატა ვარადას შემოქმედებას  
თვალს ადევნებს, უთუოდ შენიშნული  
ექნება, რომ ლექსის საწყის იმპულსს,  
როგორც აქ, ზემოთა ტექსტში, ძირი-  
თადად საკუთარი თუ საზოგადო რეა-  
ლობიდან იღებს. ეს შეიძლება იყოს რა-  
იმე საგაზეო ინტერნეტ ინფორმაცია  
და ასე შემდეგ, ანუ ყველაფერი, რაც  
ყოველი მხრით, ყოველწლიურად, ნი-  
აღვრის უწყვეტ ნაკადად შემოდინდება  
ჩვენს ყოველდღიურ არსებაში

●

დღეს ჩვენში ეროტიკით, და პორ-  
ნოთიც კი, გატაცება არა მხოლოდ პო-  
ეზიასა და ლიტერატურას, ან ფართოდ  
აღებულ ხელოვნებას, საზოგადოებრივი

თუ პირადი ყოფის ლამის ყველა სფე-  
როს ისე მკვეთრად დაემჩინა, რომ მოგ-  
ვნონს თუ არა ეს ამბავი, აუცილებლად  
დროის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ამ მხრივ რაიმე მყარი კრიტერიუ-  
მების არარსებობის გამო, საერთო  
ჯამში ძალზე ამორფულ სურათს ვლე-  
ბულობთ, თუნდაც პირობითად ძნელი  
დასადგენი ხდება რაიმე საზღვრები.  
მინიმალისტური ეროტიკა ჩვენში ახა-  
ლი ხილი როდია, გავიხსენოთ თუნდაც  
დიანა ვაჩინაძის (შოთა იათაშვილის)  
ლექსების მთელი ციკლი, რომელიც  
კარგა ხნით ადრე იქმნებოდა და იმ-  
დრონდელი კულტურული კოტექსტის  
პირობებში არც ეპატაზურობა აკლდა.  
გავიდა წლები, ამას წინათ რაღაცაში  
დამჭირდა, ახლიდან წავიკითხე და ჰოი,  
საოცრებავ! წინ იგივე ტექსტი, მე –  
იგივე მკითხველი, თვალში მოსახვედრი  
კი შიგ ალარაფერია.... როგორც ჩანს,  
ამასობაში ჩემი, როგორც მკითხველის  
რეცეფციის თავისებურებაც სხვანაი-  
რი გახდა, ვთქვათ ასე – განვითარდა,  
სხვებისა არ იყოს.

ამხელა შესავლის მერე ვიკითხოთ,  
არის თუ არა რაიმეთი განსხვავებული,  
ახალი და საყურადღებო მინიმალის-  
ტური ეროტიკული ლექსი ნატა ვარადა-  
სი, რომელსაც ახლა გთავაზობთ?

### აქტი

მშვილდისარივით მოჭიმული  
შენი სხეული.

მე კი ობობა მოხატულ მუცლით –  
ვნადირობთ.

გასაღები – სათაურშია. საუბა-  
რია რაღაც აქტზე, რომელშიც მონა-  
ნილეობს მშვილდისარივით....ბოდიში  
„მშვილდისარი“ აქ ერთი სიტყვაა, და  
ეს არ არის გრამატიკული შეცდომა,  
კომპოზიტის მართლწერას რომ უკავ-  
შირდება. ეს – ასეთი მეტაფორაა და  
ნიშნავს არა ორი ინსტანციის ერთად,  
დაძაბულად ყოფნას მამაკაცში, არა-  
მედ ყოველმხრივ ერთ სექსუალურ

სურვილად შეკვრას, ქცევას.

მივდივარ რაციონალიზაციის გზით: ერთ, დაძაბულ სურვილად ქცეული პარტნიორი და მუცელი, მოხატული თუ მოუხატავი – ეს არა სხვა რამ, არა-მედ სქესობრივი აქტია.

ქართული პოეზიისთვის საუკუნეო-ბით ნიშნეული წესი ეროტიკის გამო-სატვისა – სიმბოლურ-ალეგორიულობა, მეტაფორულობა არაპირდაპირობა – „ჩვენება“ და არა – თქმა, – ასეთია ძირითადად ნატა ვარადას მანერა ეროტიკული თემის პოეტური ექსპლი-ციონისას, ამ ლექსის მიხედვითაც.

„ობობა მოხატულ მუცლით“ ამ სა-მი სიტყვის გათიშულად წარმოდგენი-თაც მიიღწევა მხატვრული ეფექტი – ალება-ინტერპრეტირების ვარიანტთა სიმრავლე. კერძოდ, ხდება სახის გა-სამმაგება:

1. მე – ობობა, რომელსაც მუცე-ლი აქვს მოხატული. მართლაც ამ მწე-რის ფოტოებს თუ დაგუგლავთ, მრა-ვალ ასეთ სახეობას ნახავთ.

2. მე – ვისაც მუცელზე ობობა მა-სატია „ტატუ“?

3. მე – მონადირე, რომელსაც ხელ-ში მიჭირავხარ შენ, როგორც „მშველი-სარი“ და რაღაც, იქნებ მონადირის-თვის ნიშნეული, წარმატების მომტანი ნიშანი მაქვს გამოსახული მუცელზეო.

მწერები ზოგადად და საკუთრივ, ობობა ანტიკური პოეზიიდან მოყოლებუ-ლი დღემდე, ცნობილი სექს-სიმბოლოა. მწერთა ეროტიკული მნიშვნელობის შე-სახებ არსებობს თქვენი მონა-მორჩილის ბეჭდურად გამოუქვეყნებელი, მაგრამ ინტერნეტით გავრცელებული მცირე წერილი „მწერი, როგორც ეროტიკული სიმბოლო“ (იძებნება გუგლით).

ობობა, როგორც ეროტიკული სიმ-ბოლო გაიაზრება ვნებით მთლიანად მოცვად, ასევე, აღმგზნებ შხამად.

ობობად იწოდება ერთ-ერთი ცნობი-ლი გარდამავალი სექსუალური პოზაც.

ვფიქრობ, ავტორი რეციპიენტს

უტოვებს არჩევანს – წარმოიდგინოს გადმოცემული სიტუაცია, საკითხში სა-კუთარი ჩახედულობის კვალობაზე.

ჩემი წერილი იმის აღნიშვნით დავიწ-ყე, რომ ნატა ვარადა მთლიანად აქტუ-ალიზებული ქვეცნობიერის მოხელთე-ბით არის დაკავებული, ახლა კი თავად მიმყავს მსჯელობა იმ მიმართულებით, რომ რაციონალურზე რაციონალურიც ყოფილა. ხომ არ ვაწყდებით აქ წინა-აღმდეგობას?

მე ვფიქრობ, რომ არა.

საქმე გვაქვს შემოქმედთან, რომე-ლიც ჩვენს სინამდვილეში ქმნის.

საერთოდ, ასეთ შემთხვევაში ტექ-სტის ანალიზისა და დასკვნებისაგან გონიერი ადამიანები თავსაც იკავებენ და ავტორის ქებითა და ოდენ კეთილი სურვილებით იფარგლებიან და მე ვიტ-ყოდი, გარკვეული გაგებით, სწორადაც იქცევიან.

ჩვენ ხომ ერთ, იმავე ლიტერატუ-რულ-კულტურულ, რაღაც ნარევში ვისარქებით, დროითი და ესთეტიკური დისტანცია არ გაგვაჩინია და დასკვნები საბოლოოდ, საკმაოდ შორსაც შეიძლე-ბა აღმოჩნდეს იმ რეალური სურათი-საგან, რომელსაც მომდევნო თაობათა მკითხველები დაინახავენ.

მინიმალისტური ლექსი, რომლის შესახებაც ვმსჯელობდი, ახალია ვა-რადასათვის. არ არის გამორიცხული, რომ იგი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ინტუიციით და რაღაც ახლის ქმნის სურვილითაა შეპყრობილი.

რაკი ამდენი ვისაუბრეთ ეროტიკა-ზე, დასასრულ, ბარემ იმასაც აღვნიშ-ნავ, რომ ეროტიზმით მთლიანად გამ-სჭვალულია ნატა ვარადას შემოქმედე-ბა, მაგრამ ეროტიზმი არის მისი, ასე ვთქვათ, „პოეტური საწვავი“, რომელიც ძალას კი აძლევს, მაგრამ ზედაპირზე არ ამოდის ხელშესახებად, არ ახასი-ათებს ფასადურობა, არ აღინერება სხვა ავტორთა იმ ტექსტებივით სადაც იგი – თემაა.

გთხოვთ ეს ნათქვამი გაიაზროთ, როგორც შედეგი მის დღევანდლამდელ პოეზიაზე დაკვირვებისა. რას იზამს ხვალ, მე არ ვიცი. დასასრულ, მინდა მისი ერთი ახალი ლექსი გაგაცნოთ. ლექსი, სადაც ვფიქრობ, ვლინდება ვარადასეული ხელწერა:

### **ალბინოზი მთავარანგელოზი ანივლებულ მზესუმზირებში**

მთელი ზაფხული ერთ ოთახში  
შემიგროვდა,  
შენ სადღა დაგტიო,  
ჩემი სხეულიდან რომ გამოეტიო.  
აქეთ ეს აგვისტოს დაგრძელებული  
სიცხე,  
მზის ჩრდილს დატოლებული,  
გემუდარება ხელში აყვანას... იქეთ...  
მე შემიძლია ყოველ სისხამზე  
თავიდან გავჩინდე  
ახლადამოწვერილ მზის სხივით,  
ახლადთვალახელილ ჩვილივით,  
ახლადმოგებულ ხბოსავით,  
ახლადმოწველილ რძესავით,  
დავესიზმრო ცინცხალ ღვთაებებს,  
(გ)აცხადება მოვთხოვო...  
ჩემ სხეულიდან გამოვიტყუო სული,  
ზეცისკენ ტაატით წავწიო...  
რომ მერე მიწის სპორებს ვუტეხო  
ჩემივე ხელით ჩემივე გულ-მკერდი...  
ეზოს კი, როგორც სექტემბრის  
სპლინი,  
ედება ხავსის მიეთ-მოეთი..  
მშობლები ძილში პირლიად მწოლნი,  
მერცხლის ბუდეში ბარტყებს –  
მოჰგვანან..

### **დათო ყანჩაშვილი**

#### **ანუ იორიპი**

ტოტალიტარული რეჟიმის მორყევი-სა და დაშლის შედეგად, საერთო სახელოვნებო კრიზისი, რომელიც მანამდეც ავლენდა ნიშნებს, უკვე აშკარა ფაქტად იქცა ყველა სფეროში. როგორც ასეთ სიტუაციებშია კანონზომიერი, შეიქმნა დეცენტრირებული, ეკლექტიკური გარემო, სადაც რაიმე მყარი ესთეტიკური ორიენტირები არათუ გამოკვეთილი არ იყო, არამედ, შეიძლება ითქვას, არც კი არსებობდა. თუმცა ძნელბედობის მიუხედავად, ქართული კულტურა თავისი მიმღეობრივი ხასიათის წყალობით, მზად იყო, შეეწოვა ირგვლივეთიდან ყველაფერი, რაც მის ორბიტაზე საიდანმე სპონტანურად მოხვდებოდა.

მე მაქვს ერთი მოკრძალებული თეორია, რომლის თანახმადაც, ზოგჯერ ხდება, რომ სწორედ ეს სპონტანური, უკონტროლო დინებანი, არამყარი აქცენტები, შეუზღუდავი მოქმედების შესაძლებლობა, უსტრატეგიობა, ასე ვთქვათ, „უპროექტობა“, და ა.შ. იქცევა იმ წინაპირობებად, რომელიც ახალ-ახალი, თითქოს არალოგიკური, მოულოდნელი კომბინაციების წყალობით ახალი შემოქმედებითი წარმატებების მომტანია. ოღონდ ... აქ არის ერთი „ოღონდ“ – თუ კულტურა არსით, ფესვებით ჯანსაღია.

და ამაში ჩვენი უახლესი ლიტერატურის განვითარების დინამიკამაც დამარწმუნა.



ჩვენი საუკუნის დასაწყისში თითქმის ერთდროულად გაჩენილ ლიტერატურულ გაერთიანებათა შორის, ჩემი ფიქრით, პოეზიის ხარისხით აშკარად გამოირჩეოდა 2005 წელს დაარსებული მასკულინური ორდენი „ვარდისფერი ავტობუსი“, რომელიც ხუთ ავტორს აერთიანებდა. ესენი იყვნენ სანდრო ლორთქიფანიძე, შოთა დილმელიშვილი,

ალექსა ჩილვინაძე, ლევან ცერცვაძე (ზაზა კოშკაძე) და დათო ყანჩაშვილი (იორიკი).

ორდენმა დაარსებიდან ორ წელი-ნადში საერთო კრებულიც გამოსცა, თავისივე სახელწოდებით (2007 გამომ-ცემლობა „სიესტა“). კრებული მკითხველმა საზოგადოებამ დადებითად მიიღო და ... ამ დამაგვირგვინებელი მოვლენის შემდეგ, გამოკვეთილი შემოქმედებითი პოტენციალის მატარებელი ეს ორდენი დაიშალა... მისმა წევრებმა ქართული საზოგადოების ლიტერატურულ-კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებში განაგრძეს დამოუკიდებელი საქმიანობა.

„ჩვენ ვართ იდუმალი პლეადა უკვდავი ხალხისა, ჩვენ ვართ ვარდისფერი აკტობუსის პოეტები, ავტობუსისა, რომელიც ვარდისფერ თავისუფლებაში მიდის“ მათი მანიფესტის დასაწყისში მონიშნული ეს საერთო გზა ვარდისფერი თავისუფლებისაკენ – ორდენისათვის 2008 წელს შეწყდა და წევრები კენტად, ფეხით გაუდგნენ საკუთარ სავალს. აქ უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ თითოეულმა წევრმა თავის არჩეულ სფეროში ხელშესახებ წარმატებას მიაღწია.



დათო ყანჩაშვილის – „იორიკის“ პოეზიის შინაგან წყობაზე ფიქრისას ყველაზე მარჯვედ მეჩვენება ინგლისურ ლიტერატურისა და მიღებული ერთი მიდგომა, რომელიც პოეტურ ქმნილებაში ეგრეთ წოდებულ „ლექსის მე“-ს გამოყოფს, როგორც შინაგან ღერძს და ამ ცენტრის ირგვლივ აგებს მთელს პოეტურ სტრუქტურას. ამ ღერძის ირგვლივ შეიძლება უპირველესად განლაგდნენ ოპოზიციური ინსტანციები: ჩვენ, შენ, თქვენ, ის, ისინი.

მე – როგორც ლექსის შინაგანი ღერძი – შეიძლება არა მხოლოდ ოპოზიციურ, არამედ დიალოგურ მიმართებაშიც იყოს ამ ინსტანციებთან, მაგრამ

შეიძლება მიემართებოდეს საკუთარ თავს (მე-მე), როგორც „მას“ – მოდიალოგე მხარეს, შესაძლებელია, თავად ინსტანციათა შორის იყოს ცვალებადი, კომპლიკაციური კავშირები და მაინც, ყველა შემთხვევაში, საქმე გვექნება ლირიკასთან და არა დღეს აგრერიგად მოდურად ქცეულ ნარატივთან. აქ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც მკრთალი ნარატიული ჩარჩოს, ტექსტიდან კონტექსტში გატანილი თუნდაც მკრთალი ნარატიული მონახაზის... სულ მარტივად – რაღაც ამბის გარეშე – წარმოუდგენელია ლირიკული ნაწარმოების არსებობა.

ეს რომ ნამდვილად ასეა და არა სხვაგვარად, დათო ყანჩაშვილის პოეზიის მაგალითზეც ჩანს. ვიდრე აქ გამოთქმული აზრის ილუსტრირებას შევუდგებოდე მისი ლექსებიდან მოხმობილი მაგალითებით, აუცილებლად მიმაჩნია თქმა იმისა, რომ ზემოთ ნახსენები ეს მე-შინაგანი ღერძი რაღაც-ნაირად წარმართავს ჩვენს აზროვნებას სხვა, თითქოს ანალოგიური ერთდერძოვანი მოდელებისაკენ, მაგალითად, ჩნდება კითხვა, ხომ არ არის ეს იგივე ეგოცენტრული მოდელი, რომელიც გალაკტიონის ლირიკაში დასტურდება?

მე ვფიქრობ, ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. გალაკტიონის ლირიკაში ეს ორივე ღერძი – მოცემულია, არსებობს და ერთმანეთს ემთხვევა. შეიძლებოდა, გვეთქვა, რომ ერთ ღერძადა შენივთებული და „არტისტულ ყვავილებში“ გაერთიანებულ ლექსებსა და მის სხვა საუკეთესო ქმნილებებში იგი სწორედაც რომ, ცენტრია გალაკტიონისეული, პოეტურად აღქმულ-გააზრებული და ექსპლიცირებული ყოფიერებისა.

იორიკისთვის კი, როგორც ახალი თაობის პოეტისთვის, მე – უკვე არა ყოფიერების, არამედ დესტრუქცირებადი ყოფის ცენტრადაა წარმოდგენილი. ეს პრინციპული და თანაც მკვეთრად

განსხვავებული სიახლე იყო, რომელიც იორიკსა და ორდენში გაერთიანებულ სხვას მის თანამეკალმეებს ახალ პოეზიაში მოჰქმნდათ.

ნათქვამი რომ უფრო მკაფიოდ გამოვკვეთო, უნდა ვთქვა, რომ იორიკის ლირიკის დერძოვანი მოდელი – არაე-გოცენტრულია.

არის რამდენიმე ლექსი დათო ყანჩაშვილის შემოქმედებაში, რომელიც უკვე თანამედროვე ქართული პოეზიის სახის შექმნაში უცილობლად მონაწილეობს. ეს ლექსის შემოქმედებაში „ლექსიკონი“, „მატრიომები“ და „ბავშვი“. დღეს უკვე თამამად შეიძლება ამისი თქმა, რადგანაც უკვე საკმაო დროითი დისტანცია გვაშორებს იმ კულტურული კონტექსტისაგან, ჩვენი საუკუნის დასაწყისში რომ იყო შექმნილი და შესაბამისად, უკვე მოვლენათა პროგნოზირება კი არა, ისტორიისკენ გადანაცვლებული ფაქტების ინტერპრეტირება გამოგვდის.

როგორ შეიძლება ზოგადად დახასიათდეს დათო ყანჩაშვილის ხელწერა? აქ უპირველესად ალბათ აღვნიშნავდი თავისუფალი რიტმისა და ინტონაციის გადმოცემის ალბათ თანდაყოლილ რაღაც უნარს, მივამატებდი, ცოტა არ იყოს, გამალიზიანებულ აკურატულობას ლექსის ტექსტურასთან მიმართებაში. ზომიერზე ზომიერ მეტაფორულობას, უფრო ზუსტად მეტაფორულ აქცენტებს აქა-იქ – ლექსში და რაც მთავარია, ფორმის გამომგონებლობას, ფორმით თამაშს.

მისი მეტყველება თითქმის მთლიანად დაცლილია ექსპრესიული ლექსიკისაგან, პოეტიზმებზე ხომ ლაპარაკიც არ ლირს, ძირითადად საკომუნიკაციო ლექსიკური მარაგით არის შემოფარგლული. მას, როგორც ავტორს, იზიდავს გრამატიკული ტროპები, მოულოდნელი ბრუნები, მნიშვნელობებით თამაშები; თითქოს მნიშვნელობაგახუნებულ სიტყვებში ჩამალული გამომ-

სახველობითი პოტენციალის აღმოჩენა... მოკლედ, როგორც იტყვიან, მასთან მკითხველი არ მოიწყენს.



დღეს იქნებ იმდენაც ალარც გვიპვირდეს თუნდაც ხაზარული ლექსიკონისა და სხვა ლექსიკონთა გაცნობის შემდეგ მისი „ლექსიკონის“ ფორმა“, მაგრამ მაშინ ეს ნამდვილად საგულისხმო სიახლე იყო.

რას წარმოადგენს ყანჩაშვილის „ლექსიკონი“? – არსობრივად, ეს არის ძირითადად სოციალური, ყოფითი გარემოსა და ასე ვთქვათ, უკვე ყოფაზე მორგებულ საგანთა და მოვლენათა ხელახალი წაკითხვა-აღმოჩენა „ლექსის მეს“ სუბიექტურ პრიზმაში გატარების გზით. ვნახოთ დასაწყისი ამ ლექსიკონისა:

შ ე 6 — ჩემს ტელეფონში პირველ ნომრად შეყვანილი.

დ ე დ ა — ის, ვინც, მეშინია, რომ არ დამიბერდეს.

გ ზ ა — ის, რაც მთელი ცხოვრება თითქოს ფეხქვეშ მაქვს და მაინც ვეძებ.

ყ ა ვ ა — დილის სინონიმია.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი — მატარებელი, რომელზეც მაგვიანდება და უნდა მივუსწრო.

ს ა მ ს ა ხ უ რ ი — ქვიშის საათი, რომლის ჩამოცლასაც ყოველდღე ვიწყებ.

მ ე გ ო ბ ა რ ი — ადამიანი, რომელიც მეუბნება, რომ მარტო არა ვარ.

დ ე დ ა მ ი ნ ა — (1) ბურთი, რომლითაც ყველა ვთამაშობთ; (2) ბურთი, რომელიც თამაშობს ჩვენით.

ს ა რ კ ე — ვისაც ვუყურებ ყოველ დილით და არასდროს ველაპარაკები.

მ ა მ ა — ის, ვინც ჩენზე დიდი იქნება ყოველთვის.

ს ა ხ ლ ი — ადგილი, სადაც (1) როდესაც ვარ, მინდა გაქცევა (2) როდესაც არ ვარ, მინდა

დავბრუნდე.

ხ ა ლ ხ ი — ვინც ყოველთვის  
ერთად მოგროვილი წარმომიგიდგე-  
ნია და სინამდვილეში

ცალცალკე ცხოვრობენ.

გ უ ლ ი — ის, რაც მანუხებს  
ბავშვობიდან.

მ ო თ მ ი ნ ე ბ ა — როცა უზრდელი  
ბავშვი ნერვებს მიშლის, მშობელი კი  
იქვე დგას და თავს ვიკავებ.

თ ო ვ ლ ი ს პ ა პ ა — უკვდავი  
თოვლის კაცი, რომელიც

ბავშვობაში ღმერთი მეგონა.

აი, ამგვარადა მართლაც ყოვლად  
ყოველდღიური საგნები და მოვლენები,  
„ნათარგმნი“ კიდევ უფრო „ყოველდღი-  
ურ“ — ყოფით ენაზე.

ვნახოთ „მატრიოშკები“. ზოგადად  
უნდა აღინიშნოს, რომ მატრიოშკათა  
თეორია, რამე მოდელის მატრიოშ-  
კული აგებულება და ა.შ. არა მხოლოდ  
ლიტერატურასა და მედიცინაში, პოლი-  
ტიკაში და სხვა სფეროებშიც — ფარ-  
თოდ გამოიყენება. დათო ყანჩაშვილმა  
კი პოეტური მატრიოშკა შემოგვთავაზა  
და ეს ჩვენი თანამედროვე პოეზიის-  
თვის სიახლე იყო. ეს ლექსი არის ექ-  
სპლიცირება იმისა, თუ სინამდვილეში  
როგორ იტევენ, მოიცავენ არსებანი  
ერთმანეთს და ცხოვრებაში რა მცირეა  
მანძილი ქაოსსა და წესრიგს შორის,  
როგორ თავსდებიან ერთმანეთში თაო-  
ბები, ადამიანები და ემოციები.

**მატრიოშკები**

ჩემში შენ,  
შენში ბავშვი,  
ბავშვი მარტივი სამყარო.  
მარტივ სამყაროში

უშნოდ დახატული სახლები.

სახლებში ადამიანები,  
ადამიანებში

გრძნობები და ემოციები,  
ემოციებში და გრძნობებში

სხვა ადამიანები.

სხვა ადამიანებში

ერთმანეთი და ბავშვები.

ბავშვებში დიდები,  
დიდებში მოხუცები,  
მოხუცებში მკვდრები,  
მკვდრებში

მოხუცები,  
მოხუცებში დიდები,  
დიდებში ბავშვები.

ბავშვებში მარტივი სამყარო  
და უშნოდ დახატული სახლები.

მე და შენ რთულ სამყაროში,  
რთული შეგრძნებებით.

ბავშვიც რთულ სამყაროში,  
რომელიც ჯერ ემარტივება,  
რომელიც მეც მემარტივებოდა,  
შენც, დიდებსაც,  
მოხუცებსაც,  
მკვდრებსაც,  
სანამ გადიდდებოდნენ,  
დაბერდებოდნენ,  
მოკვდებოდნენ.

მატრიოშკები —  
ერთმანეთში ჩალაგებული  
მატრიოშკები.

გაუთავებლად, უსასრულოდ  
ჩალაგებული.

რაც უფრო მალე გახსნი,  
მით უფრო მეტი იქნება,  
რაც უფრო ნელა,  
მით უფრო მეტი დაგრჩება

გასახსნელი,  
უკანასკნელს ვერ მოესწრები.

ვერც ისე გადიდდები,  
რომ პირველი მატრიოშკა იყო,  
და ვერც ისე დაპატარავდები,  
რომ უკანასკნელი.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა  
ზომის იქნები

და სხვა ზომებს ვერ მოერგები.  
მოდი, ჩავლაგდეთ ერთმანეთში.

ძალიან ავირიეთ  
და ველარ ვხვდები, ახლა რა ზომის  
ვარ.

გარშემო უშნოდ დახატული  
სახლები

და რთული სამყაროა —

მატრიოშვების სამყარო.

დათო ყანჩაშვილი 2010 წელს გამოცემული ერთადერთი პოეტური კრებულის ავტორია. თუმცა მისი ლექსები აქა იქ უცხოურენოვან ანთოლოგიებშიც შეტანილია. დღეს, როცა წიგნის გამოცემის საქმე ასეა გაიოლებული, ცამეტწლიანი ინტერვალი მაინც მეტისმეტი მგონია.

დასასრულ, მინდა ერთი ჩემი გამორჩეულად საყვარელი ლექსის ფრაგმენტი გაგაცნოთ. ვფიქრობ. ამ ფრაგმენტი თავმოყრილია დათო ყანჩაშვილის ხელწერის ყველა ის თავისებურება, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი და რისი დანახვაც ნებისმიერ მკითხველს ჩემი მეგზურობის გარეშეც, შეუიარაღებელი თვალითაც შეუძლია.

როცა ადამიანს უშვებ

ცხოვრებიდან,

მარტო არ მიდის.

თან იმდენი რამე მიაქვს, რაც შენია, ნახევარიც კი არ რჩები.

როცა ადამიანს უშვებ

ცხოვრებიდან,

შენც მიდიხარ.

იმ ადგილსაც კი არ ტოვებთ, სადაც იდექით,

ინაწილებთ, ისიც თან მიგაქვთ...

აქ სხვები ვეღარ დადგებიან.

ვინაიდან ეს ადგილი

არ იყო სახლი,

არც ქუჩა და, მითუმეტეს, არ იყო

სადმე...

ეს ადგილი ის საერთო სუნი იყო,

რომელიც გქონდათ

საცხოვრებლად ერთმანეთში რომ

გადახვედით

და ცალ-ცალკე არსებობაც

შეწყვიტეთ ბოლოს...

როცა ადამიანს უშვებ

ცხოვრებიდან,

უნდა ჩაალაგო ჩემოდანში

სიყვარული, ტკივილი და მარტოობა და საცხოვრებლად საკუთარ თავს დაუბრუნდე.

ვფიქრობ, ამ ფრაგმენტიდანაც გამოჩნდა, რომ თავის თაობაში თავისუფალი ლექსის მრავალფეროვნებით გამორჩეულ ამ ავტორს თავრეფრენიანი ლექსის გარდამავალი სახეობაც იზიდავს და ხელეწიფება. მეტაფორის ქმნადობის ერთ პატარა ნიმუშსაც მინდა მივაჰყრო მკითხველის ყურადღება. ეს არის თითქმის არაფრისგან სტრუქტურირებული სახე.

ერთიც და მორჩა!

რამდენჯერ გვითქვამს ცხოვრებაში, მგონი გადაიღო კოკისპირულმა წვიმა-მო, ხომ ტრივიალური გამონათქვამია, არა?

ესეც – კარგი ყოფითი, ტრივიალური გამოცდილებაა, რომ უერთმანეთოდ სულ თვალცრემლიანი შეყვარებულები საერთო ოჯახის შექმნის მერე საზრუნავში რომ ებმებიან, გრძნობებისთვის იმდენად „ალარ სცალიათ“ – ემოციური დაძაბულობა მათ შორის მცირდება.

აი, სიყვარულზე გაცვეთილი, ყოველდღიური კი არა და ყოველწამიერი მოხმარების სიტყვა ხომ – არა და ალარ არსებობს.

მოკლედ, ალექსულია ეს სამი ტრივიალური მომენტი, უცებ მათ გზაჯვარედინზე ერთი ნაპერნკალი და – ახალი მეტაფორული სახე, მინიმალისტური ლექსი იბადება.

### ოჯახი

გადაიღო კოკისპირულმა

სიყვარულმა.

დათო ყანჩაშვილს აქვს არა მხოლოდ მინიმალისტური ლექსი-მეტაფორები, არამედ ვრცელი ლექსებიც.

სხვაფრივ კი როგორც უკვე აქ ალვნიშნე, მეტაფორათა სიმრავლე ნაკლებად ახასიათებს.

## პაადურ ბალარჯიშვილი

„ბაადურ ბალარჯიშვილი თელავე-ლი კაცია, ერეკლეს ციხის გალავნის ერთი ჟანგიანი ლოდი. ამავე დროს ის არის ნაღდი ძველი თბილისელი ყარა-ჩოხელი-მოქალაქე და სრულიად სა-ქართველოს პოეტი“ – წერდა ვახუშტი კოტეტიშვილი ოცი წლის წინ თავის შე-სავალ წერილში, კრეპულისათვის „სევ-დის ბალი“ (2003).

ძნელია, ამგვარი მონასმებით ზუსტად შემონერო პოეტის პროფილი, მაგრამ ვახუშტი ხომ ამისი ოსტატი იყო!

ვინმეს ლამაზ ნათქამად მოეჩვენება ეს ყოველივე და მართალიც იქნება. ლაზათიანობა აქ თითქოს პირველ პლაზეა. დე-კოდირებისას კი სამ არსებით მხარეს დავინახავთ ბაადურ ბალარჯიშვილის პოეტური შემოქმედებისა.

შევეცდები, უფრო ნათლად ავხსნა, რას ვგულისხმობ: თელაველობის აღნიშვნა მხოლოდ სივრცული, გეოგრაფიული ლოკალის დაზუსტებას როდი ემსახურება აქ. ერეკლეს ციხის ჟანგიანი ლოდობა – ნიშნავს პატრიოტული იდეალებისადმი მემკვიდრეობით ერთგულებას; პოეტურ თვითორეპრეზენტირებას ქართულ ღირებულებათა დამცავ, გარეგნულად ცვალებად, მაგრამ შინაგანად მყარ, უცვლელ არსებად.

ბაადურ ბალარჯიშვილისთვის უცხოა ის, რასაც, მაგალითად, დღეს აგრერიგად მოდურ, პამლეტურ და-ეჭვებას, ორჭოფობას ვუწოდებდით და რომელიც ასე აქტუალურია თანამედროვე პოეზიაში.

შედარებით ადრეულ ლექსებში მისი ლირიკული მე წარმოგვიდგება არა შინაგანად დაშლილ-დაპირისპირებულ რაიმე ერთიანობად, არამედ სწორედ ქვად, მკვრივ და შეკრულ არსებად, რომელსაც მშობლიური გარემოსადმი, სამშობლოსადმი ო -პოზიციური კი არა, კომპოზიციური მიმართება აქვს.

მის ორგანულ ნაწილად მოიაზრებს საკუთარ არსებას.

მოკლედ, ვინც ბაადურ ბალარჯიშვილის ლექსებს ჯერ არ გაცნობია და არ შეუყვარებია ისინი, მზად უნდა იყოს პატრიოტულ ლირიკასთან და არა მხოლოდ მასთან შესახვედრად.

დასაწყისითვე მინდა აღვნიშნო, რომ დღესდღეობით პატრიოტული თემატიკის ლირიკამ ხანგრძლივი, მძიმე კრიზისის ფაზა უკვე გადაიტანა, ჰქონდა პერიოდებიც, ჩვენს არც თუ შორეულ წარსულში, როცა სრულიად დუმდა. ძველი ნარატივი ყავლგასული გამოდგა, ახალი – დეზორიენტირებული, ღირებულებათა ტოტალური აღრევის გამო. ამ ბოლო დროს პატრიოტული თემა ცალკე თუ სხვა თემებთან კომბინაციაში უფრო და უფრო აქტუალდება, სავარაუდოდ, მისი განმაპირობებელი ერთი ფაქტორი – საზოგადოებრივი დაკვეთაც ამგვარია. მარტივად რომ ვთქვათ, დადგა დრო და არალიტერატურული გავლენების წყალობით რედუცირებული და ლამის ტაბუირებული სიტყვა – „სამშობლო“ კვლავ გაგვასენდა, თავისი აღსანიშნიანად.

თან რაც უფრო საინტერესოა, ავტორები, რომელიც დღეს სამშობლოს თემაზე საყურადღებო წარმომებებს ქმნიან არა წინამორბედი თაობისა, არამედ თანამედროვენი არიან. (მაგალითად, კატო ჯავახიშვილის ვრცელი ლექსი „საქართველო ვარ“, თემოჭახნაგიას ციკლი „გნომთა გნიასი“ და სხვათა ბოლოდროონდელი ლექსები).

როცა ლიტერატურულ პროცესში ასეთი სიახლე შესამჩნევი ხდება, პოეზიის მოყვარული და შეცნობის მსურველი მკითხველის თვალი აუცილებლად უბრუნდება და ახლიდან, ახალ კონტექსტში, ახლებურად კითხულობს ან პოეტურ მემკვიდრეობად ქცეულ ტექსტებს.

ასეთ ვითარებაში, ბაადურ ბალარჯიშვილის პატრიოტული ლირიკა ერთ-

ერთი ახლო და საყურადღებო პარა-  
დიგმაა. ვნახოთ ნიმუში:

### „პატარა ბაზილიკა“

რა სასწაულით შემორჩი ნაშალს –  
გვერდზე გველივით გეწვა მეწყერი.  
რა ეშველება ამ გორას ქაჩალს,  
ან რაღა ტყეა, ეს ტყე მეჩხერი.  
და გეფარება ისევ წყვდიადი  
და ისევ აქრობს მზერას სიშორე.  
მაინც შენ გინევს თვალთა ნიათი –  
და ლანდი შენი ვერ მოვიშორე...  
მიაქვს სიგიურ ქარაშოტს აშარს –  
შიშველი მუშტის კლდეებზე ლეწვა:  
რა სასწაულით შემორჩი ნაშალს,  
გვერდზე გველივით მეწყერი გეწვა.

ამ თავისთავად ლამაზად მოხა-  
ზულ ლირიკულ პეზიაშში, დესკრიფცია  
თვითმიზნული როდია. პატარა ბაზი-  
ლიკა – ეს არის არსება – ქრისტიანუ-  
ლი რწმენით ნიშანდებული, რომელიც  
რაღაც სასწაულის წყალობით დიდ  
მეწყერსა და ქარიშხლებს გადარჩენია.  
ძნელი გამოსაცნობია რომ ეს პატარა  
ბაზილიკა – საქართველოს სიმბოლოა?

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო გი-  
ორგი ლეონიძის შვილიშვილის გიორ-  
გი ლექვთარაძის მოგონება, პაპაჩემა  
თქვა, „ოლე“ – პატრიორული ლირიკის  
ნიმუშიაო და მართლაც, პატრიოტული  
კონტაციებით გაჯერებულ „ოლეში“  
– სულ საქართველოს ექოები ისმის,  
(მაგრამ ამაზე სხვა დროს).

გიორგი ლეონიძის სახელი იქნებ  
მხოლოდ ამიტომ არ გამხსენებია ბა-  
დურ ბალარჯიშვილზე საუბრისას.

მისი პოეტური ხელწერა, ადრეულ  
სტადიაზე, ჩემი ფიქრით, გენეტიკუ-  
რად, ძირითადად, სწორედ გიორგი ლე-  
ონიძისას უნდა მიემართებოდეს, რო-  
გორც ყველაზე მკაფიო წყაროს, თუმ-  
ცა მასში აღმოსავლეთ საქართველოს  
პოეტური გამოცდილების სხვა ნაშრე-  
ვებიც საცნაურია.

მე უკვე მივიღე ერთი საყვედური  
იმის გამო, რომ ქართულ პოეზიას ერ-

თიან მოცემულობად კი არ წარვუდგენ  
მკითხველს წერილების ამ ციკლში,  
არამედ კუთხეებად ვანაწილებ. ამას  
თავისი ახსნა აქვს და საკითხს რომ არ  
მოვწყდეთ, საუბარს ამაზე აღარ გა-  
ვაგრძელებ.

მოკლედ ვიტყვი, თაიგული ერთია,  
მასში კი მრავალი ყვავილია, მთისა თუ  
ბარისა და მრავალია სურნელიც. ასე-  
ვე ქართული პოეზია – ერთია, მაგრამ  
მრავალსახეობრივი და ამ სახეობრიო-  
ბას პირადად ჩემთვის გარკვეულწი-  
ლად თუნდაც იმ დიალექტთან ურთი-  
ერთობაც განაპირობებს, რომელიც ამა  
თუ იმ კუთხეს მიეკუთვნება.

ადრე აღვნიშნე, რომ დასავლეთმა  
საქართველომ, მეცხრამეტე საუკუნი-  
დან მოყოლებული, აკავის მერე გენიო-  
სი გალაკტიონი და ცისფერყანწელები  
მისცა ქართულ პოეზიას – მათ შემ-  
დგომ დღემდე მთელი სიმდიდრე და  
მრავალფეროვნება შესძინა მას. ისიც  
კი შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავ-  
ლეთმა, რომელიც ამ მხრივ საუკუნეთა  
მანძილზე ლიდერობდა, დასავლეთს სა-  
კუთარი პოზიცია დაუთმო. გასული სა-  
უკუნიდან დღემდე, მაგალითად, ჩვენს  
პოეზიაში შეინიშნება მეგრული, ასევე  
აჭარული ნაკადის მკვეთრი გაძლიე-  
რება სხვა მხარეებთან შედარებით. არ  
აღვნიშნო ეს ფაქტი იმის შიშით, რომ  
შეიძლება კუთხურობა დამწამონ?!

რაც შეეხება გალაკტიონთან, რო-  
გორც რუსთველის მერე ქართული პო-  
ეზის ყველაზე დიდ ნიშნულთან ბა-  
ადურ ბალარჯიშვილის მიმართებას,  
ძალზე ძნელია, ასე ახლოს, წინამორ-  
ბედად გენიოსი გყავდეს, შენ კი რამე-  
ნაირად მისი გავლენის ქვეშ არ მოექ-  
ცე. ეს დაემართა ყველას, ვინც სცადა,  
გალაკტიონს დაპირისპირებოდა. რო-  
გორც კი, დროთა განმავლობაში, და-  
პირისპირების ძალა გამოეცლათ, მათ  
შემოქმედებაში გალაკტიონის გავლენა-  
მაც იჩინა თავი და მე ვიტყოდი, რომ  
ეს – კანონზომიერია.

ბალარჯიშვილთან – გალაკტიონი თითქმის არ ისმინება. ძალიან უნდა მოინდომო, რომ მისი კვალი დააფიქსირო. როგორც ჩანს, იგი არ მიეკუთვნებოდა იმ ახალგაზრდა ავტორთა წყებას, რომელსაც გალაკტიონის დაძლევა გალაკტიონისავე იარაღით – შემოქმედებით ამოცანად ჰქონდა დასახული. უბრალოდ, იმთავითვე თავის გზა-სავალს გაუყვა, გაუყვა – გოგლა ლეონიძის კვალდაკვალ. (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის ეს მკაფიოდ ჩანს მისი უკვე გამოქვეყნებული იმ ადრეული ლექსებიდან, მე რომ წაკითხული მაქვს).

●

ბაადურ ბალარჯიშვილის პოეტური ლექსიკა – ეს არის სალიტერატურო ქართული ზომიერად შეზავებული კახური დიალექტთან, შედარებით გვიანალმოსავლურად შეფერილი ძველქალაქური მეტყველება, როგორც ქვემოთ მოყვანილ ლექსში.

მაგალითად, ზემოთ მოხმობილ ლექსში ნახსენები „ნიათი“ – აღმოსავლურ დიალექტებშიც და ქალაქურ მეტყველებაშიც ნიშნავს ძალას, არაქათს, თუმცა თანამედროვე ქართველი მკითხველი ულექსიკონოდ მიხვდება ამას?

ბაადურ ბალარჯიშვილის შედარებით გვიანდელი ხელნერისათვის ნიშნეულია ირონიულ-პაროდიული თამაშები („ელიტარული ქრონიკა“) ორიგინალური რითმების გამოყენება ირონიულ-პაროდიული ეფექტის შესაქმნელად ეს – უკვე მოდერნისტული ამბებია და თუ რომელიმე კონტექსტს უნდა შევუხამოთ მისი პოეზია, უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ იგი მაინც პოეტი-მოდენისტია.

შენ იცი, რომ არ ვარ გაუზრდელი  
ტიპი,  
გამიცხელდა ხელში სანთებელა  
„ზიპო“,  
მაგრამ ისე ბრუნავს წუთისოფლის  
ჩარხი,

დამახვია თავპრუ – მატრაბაზი  
ვიყო!  
„კვრინჩხანი“

რაკი აქ ნიმუშად ბაადურ ბალარჯიშვილის ის ლექსი მოვიხმე, რომელიც რიტმულად გალაკტიონით არის მარკირებული („მთაგორების ზემო, / განდგომილთა ახლო, / არ გაშენებ, ჩემო, / მშვენიერო სახლო), ბარემ ვიტყვი, რომ როგორც ჩვენი პოეტი კონვენციონალისტების დიდ უმრავლესობას, ადრინდელსა და თანამედროვე პოეზიაშიც, ბაადურ ბალარჯიშვილის ლექსების ძირითადი კორპუსი ტრადიციადქცეული ათმარცვლედისა (5/5) და თოთხმეტმარცვლედის, (5/4/5) ანუ ლოგაედური საზომის ვარიაციებზე აქვს აგებული. ამ საერთო ფონზე უფრო მკაფიოდ იკვეთება, მანამდე დაუმუშავებელი ან ნაკლებდამუშავებული რიტმიკის ლექსები, რომელიც უცილობელი სიახლის გრძნობას აღძრავს მკითხველში და რომელიც, ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას თუ გავადევნებთ თვალს, შედარებით გვიან, მაგრამ ინტენსიურად მკვიდრდება მის ლექსებში.

ასეთ დასკვნამდე დარწმუნებით რომ მიხვიდე, საჭიროა, მეტი მასალა გქონდეს ხელთ ამა თუ იმ ავტორისა, ამდენად ჩამეთვალოს უფრო ვარაუდად, ვიდრე დასკვნად, რომ თუკი დასაწყისში მისთვის ამოსავალი გიორგი ლეონიძე იყო, გვიანი პერიოდის ლექსებში იგი ვახტანგ ჯავახაძის მიწერ მონიშნულ სივრცეში იკვალავს გზას („პირიქით“), მისი ლექსის ფორმა მეტად და მეტად თამაშური ხდება. კონტექსტი ფართოვდება, ღრმავდება, ლექსიკას ევროპეიზაციის აშკარა კვალი ემჩნება, შემოდის არა მხოლოდ ანტიკური ანტოპონიმები, არამედ პოეტური ბალადები.

ჩემი ფიქრით, რიტმიკის მხრივ ბაადურ ბალარჯიშვილის ლექსებში ერთი თავისებურება შეინიშნება: იგი იღებს ან კარგად ნაცნობ, ტრადიციულ სა-

ზომს, ან ზეპირმეტყველებითად უკვე „მოქლიბულ“ მზა ფრაზა ბლოკს, რომელსაც რიტმული თავისუბურება მოჰყვება, თავისუფლად უწყობს მას დანარჩენ ტაეპებს და ამგვარი რიტმული გათამაშებით ქმნის პოლიმეტრიას.

არ არის აუცილებელი, ეს მზა ფრაზა-ბლოკი თუ ტაეპი ლექსის პირველივე სტრიქონად დასვას. როგორც წესი, პოეტურ ტექსტში სადმე შიგნით აქვს ადგილი მიჩენილი და ამ ძირითად ფრაზასთან მიმართებაში გადახრის, ენტროპიის წყალობით მიიღევა მისი ლექსების პოლიმეტრია. საერთოდ, უნდა გარკვევით ითქვას, რომ პოლიმეტრის ამგვარად გამართვა დიდად ფაქტი, უზუსტეს პოეტურ სმენას მოითხოვს და ქართულ პოეზიაში ამის ოსტატი თუ ბაადურ ბალარჯიშვილი და კიდევ რამდენიმე მისი თანამედროვეა, ალიარებული დიდოსტატი – მურმანლებანიძეა. ვნახოთ ერთი ნიმუში:

დავდიოდი თბილისში დარჩენილი  
ქალაქელი,  
ირგვლივ მწვანე მთა-გორები  
გადახმა და გაიყვლითა,  
საქმე არაფერი მქონდა, არც  
მინდოდა არაფერი,  
ყველამ გაიაგარაკა, ყველა სადღაც  
გაიკრითა.  
მივდიოდი მოთენთილი, ნახევარზე  
მთვლემარე,  
კვირა იდგა, ვით კატის გაზმორება  
ზანტი,...  
(ზაფხული თბილისში)

აქ რიტმული საყრდენი ტაეპი, ძირითადი რიტმული ქარგა – ვარიაციებისთვის არის რუსთველური მაღალი შაირი (4/4/4/4)

„ყველამ გაიაგარაკა, ყველა სადღაც  
გაიკრითა.“

(შეად. კარვის კალთა ჩახლართული  
ჩავჭერ ჩავაკარაბაკე“)

ჩაიაგარაკა – ჩავაკარაბაკე – როგორც ლექსიკური ერთეულები, რომელნიც უდერადობრივადაც ოთხმარ-

ცვლიანობითაც და ალიტერაციულობითაც – ანალოგური მოდელირების ნიმუშია, უფრო ზუსტად, ანალოგური მოდელირების მოდერნისტულად ადაპტირებულ პრინციპს ავლენს.

ქართული კონვენციური რიტმი საუკუნეთა მანძილზე იმდენად დამუშავებულია, რომ მხატვრული ზემოქმედების ძალა შესუსტებული აქვს. გალაკტიონმა ხომ თავისი უზარმაზარი შემოქმედებით, თითქმის აღარც დაუტოვა სიახლისკენ ორიენტირებულ პოეტკონვენციონალისტებს რაიმე რიტმული სიახლის შემოტანისა და დამკვიდრების საშუალება. ამგვარ ვითარებაში ერთფეროვნული რიტმული დინებიდან გამოსაღწევ ლამის ერთადერთ გზად – პოლიმეტრია რჩება. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით პოლიმეტრია კონვენციური ლექსის არსებობის ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად შეიძლება მივიჩინოთ. ამ ვითარების გათვალისწინებით, ბაადურ ბალარჯიშვილის პოლიმეტრული ცდები კიდევ მეტ ღირებულებას იძენს.



ბაადურ ბალარჯიშვილს აქვს ორი-ოდე ლექსი, სადაც თავისუფალი ლექსის ილუზია იქმნება, სინამდვილეში კი მაინც კონვენციის ფარგლებში მოქმედი ლოგაედების კომბინაციას წარმოადგენს. თუ მაინც ვერლიბრად უნდა მივიჩინოთ ეს ლექსები, უნდა დავუშვათ პირობა, რომ ეს იქნება ყველაზე არათავისუფალი, გარდამავალი სახე ვერლიბრისა. ამ მხრივ იგი დიდ ორიგინალობას არ ავლენს, საფიქრებელია, რომ საერთო ინერციას უფრო მიჰყება:

თბილისის ზღვაზე კაცი დაიხრიო.  
გაფითრებული ინვა კაცი კატერის  
ცხვირზე.  
მაშველი ჯგუფი დუმდა ისე,  
როგორც დუმან ხეები, როდესაც  
ჭრიან რომელიმე ხეს.  
აქ – რიტმული ქარგა – ტრადიცი-

ული ათმარცვლედია (5/5).

●  
უდროოდ გარდაცვლილ პოეტს, ლაშა გვახარიას აქვს ერთი ასეთი ლექსი:  
პოეტი მანც ერთი ლექსია,  
ობლის ცრემლივით ცამდე მართალი  
.... პოეტი ზოგჯერ ერთი პნეარია,  
ყაყაჩოსავით ცხელი სტრიქონი.

ქართულ პოეტურ სივრცეში ერთი ასეთი ფრთიანი გამონათქვამია გავრცელებული:

„მე ლამაზი უკვე ვიყავ, ახლა  
მშვენიერი ვარ“

მრავალმა არც იცის, რომ ეს არის ბაადურ ბალარჯიშვილის ლექსის ერთი, საწყისი სტრიქონი, ლექსის პირველი, რკალური რეფრენით შეკრული ნაწილი კი მთლიანად ასეთია:

მე ლამაზი უკვე ვიყავ, ახლა  
მშვენიერი ვარ –  
დავთვრები და გავძრიყვდები,  
სიყვარულზე ვმლერივარ –  
არც ალუბლის კუნწულა ვარ, არც  
ნარციცის ღერი ვარ –  
უბედური არ ვარ, მაგრამ აღარც  
ბედნიერი ვარ,  
მე ლამაზი უკვე ვიყავ, ახლა  
მშვენიერი ვარ...

წერილის დასაწყისში ვთქვი, რომ ვახუშტი კოტეტიშვილმა ბაადურ ბალარჯიშვილი სრულიად საქართველოს პოეტიად მოიხსენია. საქართველო პატარა ქვეყანაა და თუმცა ეპითეტი „სრულიად“ – ჩემთვის, მუდამ სევდანარევი ირონიულობასაც ავლენს, უნდა ვთქვა, რომ შეფასების ეს სიტყვები უფრო სამომავლო პროგნოზის სფეროს მიეკუთვნება. მე ამის მჯერა.

## უკლინ სირაძე

ცსქატოლოგიური შემთხვევის მოლოდინში

(ზურაბ კიკნაძის წიგნებზე ფიქრისას)

ზურაბ კიკნაძე – ძველი და ახალი თაობის ერთგვარი ხიდი საქართველოში, იმ ქვეყანაში, სადაც ამ ორ თაობას შორის უფსკრულის თავზარდამცემი ხახა გაწოლილა... და როცა წინასწარმეტყველის იდუმალი გზის შესახებ მის დასაზღვრას კითხულობ, თითქოს შენი შინაგანი სიფრიზლე ახალ ფაზაში გადადის, და ხვდები, რომ მასში ის ნაწილობრივ თავისთავზე საუბრობს:

– „<...> მის თვალწინ, ხელისგულზეა ისტორიული პროცესი დასაპამიდან დასასრულამდე, ანიდან პოემდე“. (ზ. კიკნაძე „ბიბლიური წინასწარმეტყველნი“, გვ. 12).

ამ იდუმალ გზაში ხომ ბიბლიური ეს-ქატოლოგის მოცემულობაა, და მხოლოდ მასში ამოიკითხავს ზურაბ კიკნაძე ადამიანის საზრისის მნიშვნელობას:

– რატომ მოდის ის დედამიწაზე? რა მისია აქვს მას აქ? ან, რა ამოძრავებს მას, როგორც შემოქმედის გვირგვინს?

მან, ვინც ცხოვრებისგან განდგომილმა და მაინც საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენელ-მეგობრებით „განებივრებულმა“, თავისთავში ჩაძირულმა, გამოიკვლია და შეისწავლა სხვადასხვა კულტურა, თუ რელიგია, და აღმოაჩინა: „ყველა ძველი რელიგია და ცივილიზაცია, მათ შორის ელინური სამყარო, ისტორიის მსვლელობას გაიაზრებს, როგორც სიცოცხლისა და ბუნების წლიური ციკლის შესატყვის წრებრუნვას“ (ზ. კიკნაძე „ბიბლიური

წინასწარმეტყველნი“, გვ. 11).

ამ სხვადასხვა რელიგიათა შორის მხოლოდ ქრისტიანობა, ძველი და ახალი აღთქმის ღმერთი ანიჭებს ადამიანს რჩეულობის გვირგვინს, აჯილდოებს თავისუფალი ნებით [რომლის ქვაკუთხედი – სინანული მეტანომიაა], რითაც ადამიანს ძალუძს ღმერთის მსგავსი გახდეს, რადგან ის, იმთავითვე ჩაფიქრებულია და შექმნილია მის ხატად, რითაც ადამიანის გზის, სულიერი ნაბიჯების განსრულებას მიეცა საზრისი. ღმრთისგან ქმნილი სამყარო და ღმერთი ელოდება ადამიანის განლმრთობას, ადამიანის თავისუფალი ნების აღსრულებას, რადგან დრო არსად არის ისე წარმოდგენილი, როგორც ეს ბიბლიაშია – ის მისი „მდუმარე პერსონაჟია“, რადგან ბიბლიაში სამყარო აღქმულია დროის თვალთახედვით და ამის თვალსაჩინოებისთვის ის, როგორც დიდოსტატი მხატვარი, ერთი ფერის გამოსაკვეთად ფონად მეორე ფერს ირჩევს და ქრისტიანობის საზრისის ხაზგასასმელად ის ელინისტური სამყაროს დახასიათებას მიჰყოფს ხელს:

– „ელინური განჭვრეტით ისტორიას არა აქვს მიზანი. ის არ მთავრდება, ის წრეზე ბრუნავს <...>“ (ზ. კიკნაძე, „ბიბლიური წინასწარმეტყველნი“).

ან, რაღაც თვალსაზრისით მისთვის ასე ახლობელი ბერძნული სამყაროს შესახებ ისევ დაწერს: – „სამყარო დასაბამიერიდან უკვე დასრულებულ ამბებს

შეიცავს, ანუ მასში არ არის ისტორია“ (ზ. კიკნაძე, „ბიბლიური წინასწარმეტყველი“).

და უკვე მთავარ სათქმელზე გადადის, რომლის თანახმად მხოლოდ ბიბლია, მისი ესქატოლოგია საუპრობს ისტორიის დასასრულზე, რომელიც სოფლის ამაოებასა და ბოროტებას დაძლევს, სულიერ სამყაროდ გარდასახავს და შეიქმნება ახალი ცა და ახალი მიწა („შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას“ (ეს. 65:17)).

სულიერი წვის „ნაფეხურებს“ აღბეჭდავს.

და რაც ყველაზე არსებითია, როგორც ყველა მდინარე ბუნებაში თავის-თავად, თავის სიცოცხლის საწყისს – სასრულს ოკეანის უსასრულო წყლებში ჰპოვებს, ისიც ნებისმიერ საგანს: – ეს იქნება მსოფლიო, თუ ქართული მითოლოგის გმირის თავგადასავალი, ისტორიის გამორჩეული სუბიექტის პორტრეტი, თუ ამა თუ იმ ხელოვნების ნაწარმოების საზრისის ახსნა... ის



და სამოთხიდან გამოდევნებული ადამი ახალი ადამის გზას გაუყვება თავის მოდგმასთან ერთად და ყველა აქამდე დასმულ კითხვაზე კი არ უპასუხებს, არამედ ამ ახალ განზომილებას განვირებს, მასში ილივლივებს, ანუ თავად იქცევა ამ ახალი განზომილების, ახალი სამყაროს ნაწილად და მეორედ დაბადების საიდუმლოს მატარებლად.

### **ბიბლიაში მოქმედი „მდუმარე პერსონაჟი“ – დრო**

ზურაბ კიკნაძესთან მიმართებაში ყოველი საკითხი, თუ საგნის მოცემულობა ისეთ ახალ განზომილებაში გადადის, რომელიც პროფესის განდეგილობისა და ასკეტიზმის ხანგრძლივი

განუსხვავებლად ყველა ამ საგანთა შესახებ საზრისს ბიბლიის ახალი და ძველი ალთქმის წიგნებში ჰპოვებს, მაგრამ ეს არ არის კაბინეტში მოღვაწე „ყოვლისმცოდნე“ მწიგნობარის განსჯითი დასკვნის შედეგი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის მათ ბიბლიური წიგნებიდან კი არ ხედავს, კი არ იაზრებს, არამედ ჭვრეტს მათ, რადგან ის ამ სიბრძნეშია დავანებული, მასში მყოფობს მისი ცხოველმყოფელი სული, რადგან ის ბიბლიაში მოქმედი „მდუმარე პერსონაჟის“ – დროის თვალთახედვით იძლევა თითქმის ყველა კომენტარს.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში ის ამბობს, რომ წუთისოფელი უნდა დასრულებულიყო ბოროტების მთლიანი ამოძირკვით. როცა

შესაძლებელი გახდებოდა თქმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, რათა ესქატოლოგიური უამის – ახალი ცისა და ახალი მიწის დადგომის უამი შეგვეგრძნო და განგვეცადა. და ის, რაც არ ესადაგება სახარებისეულ ტექსტს, მისთვის აღიქმება, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ჩავარდნა, ან შესაძლოა გადაწერის დროს ჩამატებული ტექსტი. არადა, ეს სტრიქონები რუსთაველის მყითხველს ასე უზომოდ უყვარს: – „განსრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“ და ის თავის მოსაზრებას ასე განმარტავს: – „ის სკანდალური (სახარებისეული სკანდალონ „საცთური“) ჩავარდნაა პოემის გაგებაში“.

და ბოლოს გამაონებელია თავისი სიღრმით ის, რასაც დაწერს: „იგი (რუსთაველი – შენიშვ. უ.ს.) უკანასკნელი უამის ცნობიერებით ქმნის პოემას. ამიტომაც არ არის მასში ნახსენები ისტორიული ქრისტიანობის რეალიები, ეს ის ცნობიერებაა, რომელსაც ქრისტე ადასტურებს სამარიელ დედაკაცთან საუბარში“ (იოანე 4:20 – 4:23).

და ასევე, როცა დავით გურამიშვილის „დავითიანს“ კითხულობს, ის მას ისევ და ისევ ბიბლიის თვალსაწირიდან განმარტავს და მასზე დართულ კომენტარს, როგორც ყოველთვის ბიბლიური ნელსურნელება ახლავს:

– „სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის ნაღველი შედედებულია ედამიდან განდევნილი ადამის ნაღველთან. საკაცობრიო ნაღველი აძლიერებს სამშობლოს ნაღველს, განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს მას“ (ზ. კიკნაძე, „ცეცხლი და ბურუსი“), ხოლო როცა უკვე ვაუა-ფშაველას ფენომენზე საუბრობს, ის ამბობს, რომ მისი საუკეთესო გმირები მოწოდებული არიან „განავრცონ“ ტრადიციული „მე“, დაბადონ საკუთარ ცნობიერებაში სინანული (მეტანომია); გაარღვიონ ჩაკეტილი საზოგადოების შეგნება, რომელიც წარმართობის კა-

ტეგორიებით არის კონსტრუირებული პოეტის მიერ. ისინი გადალახავენ საზღვრებს და გადიან უსაზღვროებაში“. (ზ. კიკნაძე „ცეცხლი და ბურუსი“).

ცხადია ამ უსაზღვროებაში ისევ და ისევ ბიბლიური, ესქატოლოგიური უამის – ახალი ცისა და ახალი მიწის მოლოდინი გამოსჭვივის.

### ხიდად ქცეული კაცი

და მაინც, რატომ იქცა ის ამ ორი, ასე განსხვავებული თაობის ხიდად? მა-ერთად? რატომ უნანავებს მისი დიადი სული ამ ორი, ძველი და ახალი თაობის, ასე მშფოთვარე მიუღებლობას?

რადგან მან თანამედროვეთა კრიზისს, გაორებას, ულმერთობას, სიცარიელეს – ფუყე წყარო მოუქებნა, შთაგონება, რომელიც თანამედროვეთა აზრით ადამიანს სათამაშო ინსტრუმენტად აქცევს ღვთაებრივი გონის ხელში, ადამიანს უკარგავს პიროვნულ საწყისს და რაც მთავარია, ნებელობას. ზურაბ კიკნაძის სიბრძნის მეოხებით ეს კრიზისი ილუზიად იქცა, იმ სიზმრისეულ მოჩვენებად, რასაც ბუდიზმი მაიად სახელდებულ არა მარტო წუთისოფელს, არამედ მასში მყოფ ყველა არსებას, ვინც გათავისუფლების, ხსნის სუნთქვით არ იღვნის ამაოებად, წარმავლობად და ილუზიად მიიჩნევს. არადა ამის საპირნონედ ის ამბობს:

– „შთაგონება ღვთაებრივია, ძლევა-მოსილია, მაგრამ ღვთის ძლიერება არ თრგუნავს ადამიანურ საწყისს, და არ ხდის მას პასიურ ინსტრუმენტად, ან საყირად თავის ხელში <...> მის ადა-მიანურ მეტყველებას გადაჰყვება მისი ადამიანური, პიროვნული თვისებები, სოციალური წარმოშობა, საქმიანობა, ღვთისშემეცნების დონე და თვალსაწიერი, გამოხატვის უნარი, რომლის წყალობითაც მისი ნაქადაგარი ხშირად ჭეშმარიტი პოეზიით სუნთქავს“ (ზ. კიკნაძე „ბიბლიური წინასწარმეტყველ-

ნი“, გვ. 8) – ან, როცა:

– „<...> სულის კაცად გარდაქმნილი ადამიანი რჩება ადამიანად, არ ქრება მისი ყოფითი ცნობიერება, მისი სისუსტე... ადამიანი ამ განსაცდელის წინაშე თავის ინდივიდუალობას ინარჩუნებს, არა მხოლოდ ზოგად-ადამიანურს, არამედ პიროვნულსაც მისი უნიკალური თავისებურებებით <...>“. (ზ. კიკნაძე „ბიბლიური წინასწარმეტყველნი“).

ასე თავისთავად, ბუნებრივად მოხდა XIX საუკუნეში გაჩენილი უფსკრულის – თანამედროვე ადამიანის გონების ერთგვარი დაავადების „განკურნება“; სიტყვა კურნება აქ ითქმის ღვთაებრივი მნიშვნელობით. არა დაძლევა, არამედ იმ ინტერპრეტაციით ამოვსება, რომელმაც ეს თავზარდამცემი უფსკრული, შეკისმომგვრელი აზრები კი არ დაძლია, არამედ როგორც უსახო მოჩვენება, გააქრო – განაქარვა. რატომ მოხდა ეს? ჰუბრისით დასნეულებულმა ადამიანმა ღმერთს მიანერა ის, რაც თავად სატანური ბუნებისთვისაა ნიშნეული – ადამიანის ინსტრუმენტად, უსახო საგნად ქცევა. არადა ღვთაებრივის უდიადესი ნიშანი – თავისუფალი არჩევანი თავისთავში მოიაზრებს და გულისხმობს პიროვნების მუდმივ სულიერ განვითარებას, ცვალებადობას, ფერისცვალებას, მის უმთავრესს თვისება-უფლებას – იყოს თავისუფალი თავის პიროვნულ ცხოვრებაში.

მაგრამ როგორი სახითათოა დღეს საუბარი. მით უფრო მკაცრი ტონით საუბარი. თვით ყველასთვის მისაღები, უეჭველ, ჭეშმარიტებად მიჩნეული აზრის განცხადებაც კი ერთგვარ უხერხულობას ქმნის და ეს იმ ეპოქაში, როცა არათუ საშუალო ნიჭის, არამედ თვით ჭეშმარიტ მწერალსაც კი, როგორიცაა აკუტაგავა შეუძლია თქვას:

– „მე არა მაქვს სინდისი, მე მაქვს მხოლოდ ნერვები“ და თვითმკვლელობით დაასრულოს თავისი ცხოვრება.

ერთი აღმოსავლელი ბრძენი ამბობს:

– „სულიერი შიმშილი მთელ სამყაროს ტანჯავს“, მის სულიერ სიმაღლეს ამის თქმის უფლება ნამდვილად აქვს და ჩვენ ცხოვლად ვგრძნობთ ამ ტანჯავს, რომელსაც ათიათასი სახე აქვს, ათიათასი ნიღაბი და ამით კიდევ უფრო მეტად უბნევს გზა-კვალს ადამიანს.

განცდა იმ ერთგვარი დიადი ნიჭთა-განისა, რასაც ღვთაებრივის ახლომყოფიბის შიში ჰქვია, ვერ განიცდება ის დიადი, მოულოდნელი სიხარულიანი თრთოლვა, რასაც ესაია განგვიცხადებს:

– „უფალმა დედის მუცლიდან მომინოდა მე, ჩემი დედის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი“ (ეს. 49:1).

ან, როცა:

– „ამოსი იგონებს, (ღვთის მოწოდება, შეტყობინება) ლომის ბრდვინვის სადარია“ (ზ. კიკნაძე „ბიბლიური წინასწარმეტყველნი“).

ეს აზრი დღევანდელი სამყაროს-თვის მიუწვდომელია, უცხოა, მიუღებელია და დღეს, თანამედროვე ადამიანი არათუ თავს არიდებს ჩაუწვდომელი სიბრძნის საიდუმლოებაზე საუბარს, მას დაკარგული აქვს სამყაროს შეცნობის გზის იდუმალების ის განცდაც, რაზედაც ასე ხშირად საუბრობდა ზურაბ კიკნაძე და ყველგან ხაზს უსვამდა, რომ „არსებობის მოდუსი დროა“:

– „დასაწყისი „ნულოვანი საფეხურია“, რომელიც მარადისობის ხატს ატარებს, მისი სიმბოლური ნიშანია ბიბლიის ავტორის ხილვა-განცდაში არსებობს ისეთი საწყისი, რომლის ფესვი უდრობობაშია. (ხაზგას. — უ.ს.)

ამ აზრით არის სამყარო ღვთის მიერ არარადან შექმნილი. არარაში კი არც დრო მოიაზრება და არც სივრცე, მაშასადამე, სამყარო შეიქმნა არა დროსა და სივრცეში, არამედ დროსთან და სივრცესთან ერთად, მათ ერთიანობაში, მაგრამ პრიორიტეტი მაინც დროს ეკუთვნის“. (ზ. კიკნაძე, „ბიბლიური წინასწარმეტყველნი“, გვ. 166), მაგრამ,

როცა ამას ზურაბ კიკნაძე, ეს ხიდად ქცეული კაცი, ძველ და ახალ თაობათა შორის „წარმოთქვამს“, თითქოს ეს მიუღებლობა დაიძლევა, თითქოს ის ეპოქის „წუხილს“, „ტკივილს“ კითხვათა წყებას, როგორც შავ დაფაზე ცარცით დაწერილ ტექსტს სველი ღრუბლით შლის, – და იქ ისევ ამპარტავნებისგან განკურნებული კაცობრიობა მისი პირით ღვთის წინაშე მოკრძალებით წარმოთქვამს:

– „უფლის არჩევანი, გადაწყვეტი-

ლება საიდუმლოებრივია; მიზეზები არ ვიცით; მიუწვდომელია ჩვენი ყოფითი გონებისათვის; ყველაფერი წინასწარ, შეიძლება ითქვას, მარადისობაში, უწინარეს საუკუნეთა გადაწყვეტილია“.

ზურაბ კიკნაძის წებისმიერი საუბარი, თუ ნააზრევი, და არა აქვს მნიშვნელობა თუ რომელ საგანს მიემართება, გულისხმობს ადამიანს თავისი უმთავრესი უფლებით – იყოს თავისუფალი თავის არჩევანში.

## სემიონ ვინოკური



„ადონაი ელოვაინო ადონაი ეხად!“

1996 წელს საბოლოოდ გადავწყვიტე ტელევიზიიდან წამოსვლა, რადგან თავი სრულად ამოვწურე.

ბოლო სამუშაო დღე იყო.

ტიპს ვიღებდით, რომელიც სასტუმრო „დან პანორამაში“ შეფშზარეულად მუშაობდა. ჩაწერის დროს უცებ მეზობელი ოთახიდან რაღაცნაირი ზმული მომქმა. მზარეულმა საუბარი შეწყვიტა, კედლისკენ მიბრუნდა და დაიყვირა: „კარგი რა, მამა, შენთან არ მოსულან, ვერ გადაგიღებენ!“

დავინტერესდი, რა სათქმელი ჰქონდა მამამისს, ასე რომ უნდოდა ჩაწერა.

მზარეულმა – მოხუცდა და ძალიან უნდა, თავის ცხოვრებაზე ვინმეს მოუყვესო. მერე ადამიანურად მთხოვა: – ცოდოა! მოდი რა, წნევამ რომ არ აუნიოს, ვითომ ჩაწერთ, უბრალოდ მოუსმინეთო.

– ჩემი სამუშაო დღე დასრულდა! – მტკიცედ მოგვიჭრა ოპერატორმა.

აი, სულ ეკიდა, რას ვაპირებდით და ვინ უნდა გადაგვეღო. სამაგიეროდ, ზუსტად იცოდა, რომ მისი სამუშაო დღე შვიდი საათით განისაზღვრებოდა და ამ დროს წუთსაც არ გადააჭარბებდა.

ნანახმა რაღაცნაირად გული მატ-

კინა. ამოვიღე ჩემი მაიმუნური კამერა და მზარეულს ვუთხარი: მე არსად მეჩერება და მამათქვენთან მიმიყვანეთ-მეთქი.

ნახევრადბნელ ოთახში შევედით.

სარწეველა სკამზე მჯდარმა მოხუცმა ყურადღებით შემათვალიერა. შვილმა ჩემი თავი გააცნო – ყველაზე ცნობილი რეჟისორია და, დაჯდომაც ვერ მოვასწარი, მოხუცმა ისე უცბათ დაიწყო:

– როგორც კი ომი დამთავრდა... – და უცებ ეჭვით შეხედა ჩემს კამერას. – ეს ხომ ნამდვილად იღებს?

– იღებს კიდეც და ამ ჩანაწერსაც უამრავი ადამიანი ნახავს. შენ ამბავი მომიყევი, ბაბუ-მეთქი.

– მოკლედ, ომის დამთავრებისთანავე პოლონეთში სასწრაფოდ დავიწყეთ დაობლებული ბავშვების ძებნა. ასე ჩვენმა კიბუცურმა მოძრაობამ გადაწყვიტა, რათა სხვა რელიგიურ მოძრაობებს არ დაესწოოთ და ბავშვებისთვის ტვინი არ აერიათ. კრაკოვთან ახლოს, ერთ მონასტერში მივედით და წინამდლვარს ავუხსენი: ასე და ასეა, ისრაელიდან ჩამოვედი, ვეძებ ობოლ ებრაელ ბავშვებს, რათა ისტორიულ სამშობლოში დავაპრუნოთ-მეთქი.

მეუბნება: ჯერ დაჯექით, ჩაის დაგა-  
ლევინებთო.

ვზივარ, ვსვამ ბალახეულ ჩაის, ის კი  
მიყვება:

— კი, ნამდვილად გვყავს ებრაელი  
ბავშვები, ამ ფაქტს როგორ დავმა-  
ლავ. ასეთ ბავშვებს მონასტრები ვი-  
ფარებდით, თუმცა ეს ძალიან საშიში  
იყო, რადგანაც მეზობელი მონასტრის  
ნინამძღვარი ამის გამო ჩამოახრჩვეს. გულ-  
წრფელად ვიტყვი — მეც მეშინოდა, მაგ-  
რამ, მეორე მხრივ, უარი როგორ მეთ-  
ქვა, როცა შუალამისას ჩუმად მოდიოდ-  
ნენ ებრაელი ოჯახები, აკაკუნებდნენ.  
კარს ვუღებდით, შემოჰყავდათ სქელ  
შალში გახვეული პატარა, სიფრიფანა  
ბავშვი, ფეხზე რომ ძლივს იდგა, მშობ-  
ლები კი ცრემლიანი თვალებით მეუბ-  
ნებოდნენ: დაიტოვეთ, თუ შეიძლება,  
ჩვენ ხვალ წაგვიყვანებო... მერე ვუყუ-  
რებდი, დედა, აკანკალებული ხელებით  
როგორ უჩენდა პატარას სახეს, სწრაფი  
მოძრაობით როგორ უწევდა თმას და  
ჰქოცნიდა, ჰქოცნიდა და იგრძნობოდა,  
რომ სამუდამიდ ემშვიდობებოდა თავის  
შვილს. ვიცოდი, რომ ისინი ვერასოდეს  
შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც  
მშობლები მოუსავლეთში მიჰყავდათ  
და ბავშვები როგორ არ შემეფარებინა? მეც ვიტოვებდი. ღამის მანძილზე ხუთ-  
ექვსჯერ ხდებოდა ასეთი რამ. ჩემი მო-  
ნასტრის პასტორებმა იცოდნენ ამის  
შესახებ, მაგრამ საიდუმლო ბოლომდე  
შემინახეს. ახლა კი თქვენ ჩამოხვედით  
ამ ბავშვების ნასაყვანად.

მე დიდი მადლობა ვუთხარი სიკე-  
თისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი ბავშვე-  
ბი შეიფარა და სიკვდილს გადააჩინა.  
თან დავმატე, რომ დროა, ბავშვები  
ისტორიულ სამშობლოში წაგვიყვანო-  
მეთქი. სიტყვა არ დამემთავრებინა,  
რომ ნინამძღოლი უცებ მეკითხება:

— კი, მაგრამ, როგორ უნდა გაარ-  
ჩიოთ თქვენი ბავშვები სხვა ბავშვების-  
გან?

— როგორ თუ როგორ, ჩანაწერები

ხომ დაგრჩათ?

— არავითარი ჩანაწერი არ დაგვრჩე-  
ნია, არც არაფერი ჩაგვინერია. ვინმეს  
რომ ენახა?

— მე მაგათ გარეშე აქედან არ წა-  
ვალ!

— თქვენ რა, ძალით წაიყვანით?

— რატომ, ძალით?! აქ მომიყვანეთ  
და ბავშვებს ყველაფერს ავუხსნი.

— მათ ხომ არაფერი ახსოვთ და მა-  
ინც რა უნდა აუხსნათ?

— ის, რომ მონასტერში კი იზრდე-  
ბოდნენ, მაგრამ ისინი ჩვენი შვილები  
არიან.

— მათ ჩვენც დიდი ხანია, ჩვენს შვი-  
ლებად ვთვლით.

— მაგრამ ეს ბავშვები ხომ ნამდვი-  
ლად ჩვენი შვილები არიან?

— დაამტკიცეთ!

— დავამტკიცებთ კიდეც! ჩვენს შვი-  
ლებს პატარა განმასხვავებელი რამ  
აქვთ, — მშვიდად განვმარტე და უცებ  
ნინამძღოლი ფეხზე წამოიჭრა:

— ესენი ჩვენი ბავშვები არიან! —  
წარმოთქვა ცივად. — ძალადობის უფ-  
ლებას არ მოგცემთ და არავითარ შე-  
მოწმებას არ ჩაგატარებინებთ!

მეც წამოვდექი და ვგრძნობ, ჩემთან  
ერთად მთელი ჩემი მრავალტანჯული  
ერიც ფეხზე დადგა.

— ნამიყვანეთ ბავშვებთან! — მშრა-  
ლად ვთქვი.

— ნავიდეთ! — დამთანხმდა, — მაგრამ  
იმედი არ გქოდეთ, რომ თქვენს ბავ-  
შვებს უჩემოდ იპოვით.

უზარმაზარ საძინებელში შემიყვა-  
ნეს. ვუყურებ — გარშემო ბევრზე ბევრი  
ბავშვია და მათ შორის ქერებიც არიან,  
შავტუხებიც და ნითურებიც. თან გვი-  
ანია და დაძინებას აპირებენ. ვხედავ,  
რომ ყველა ბავშვი დაბანილი, მოვლი-  
ლი და გამოკვებილია. ყველაფერზე  
ეტყობათ, რომ მონასტერში სიყვარუ-  
ლით ექცევიან. ხოდა, ვდგავარ მათ წი-  
ნაშე. ამ დროს წინამძღოლი მეკითხება:

— აბა, როგორ გამოარჩევთ თქვენს

### ბავშვებს?

პასუხი არ მაქვს. მეტყველების უნარი წამერთვა. არ ვიცი, როგორ!

— თუ თავად ბავშვი მოინდომებს წამოსკლას, კი, ბატონო, ვერ დავუშლი, მაგრამ, დამიჯერეთ, ამათ საკუთარი წარსული არ ახსოვთ და ჩვენ გვთვლიან მშობლებად. ამიტომ შეეშვით, ნუ გააწვალებთ, თავი დაანებეთ! — კვლავ მშვიდად მიხსნის.

უცებ ახლოს შავქოჩირიანმა ბიჭმა ჩაგვიარა. დრო ვიხელთე და იძიშურად ვკითხე: როგორ ხარ-მეტქი. ბავშვი მომიბრუნდა და პოლონურად მიპასუხა:

— გამარჯობა! ირჟი მქვია. თქვენი ენა კი არ მესმის.

- ყველას პოლონური სახელი აქვს!
- მესმის წინამძღვრის ხმა. — ისინი მხოლოდ პოლონურად საუბრობენ და გიმეორებთ, თავი დაანებეთ, ეს ქვეყანაა მათი სახლი.

ძალიან გავმწარდი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ვერაფერს გავაწყობდი. ჩვენი ბავშვები რომც ამომეცნო, დამთანხმდებოდნენ კი იქაურობის დატოვებაზე? მოუნდებოდათ ჩემთან ერთად უცხო ქვეყანაში წამოსკლა?

ანუ, გამოდის, ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის. მე კი აქედან ხელცარიელი უნდა წავიდე-მეტქი, — ვფიქრობ გამწარებული.

ამასობაში ყველანი დასაძინებლად დაწვინებ.

მეც შემოვბრუნდი და ვიფიქრე, რაც არის, არის — მოვშორდები აქაურობას-მეტქი და უცებ ერთმა აზრმა გამირბინა.

წინამძღვრლს დავეკითხე, შეიძლება, ბავშვებს რაღაც ვუთხრა-მეტქი და კიო, დამეთანხმა, მიმართეთო.

მაშინ მთელი ძალით ჩავისუნთქე და ისე, რომ ყველას გაეგო, ხმამაღლა დავიძახე:

„შმა, ისრაელ! ადონაი ელოპეიონი ადონაი ეხად!“ („ისმინე, ისრაელო! უფალი ჩვენი არს უფალი ერთი!“)

დღემდე მთელ ტანში ურუანტელი მივლის, ის წუთები რომ მახსენდება! (პაუზა)

მახსოვს, როგორი უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა!..

ამას ჰქვია სამარისებული სიჩუმე..

და უცებ ფანჯარასთან ორმა პატარამ წამოსწია თავი, კართან კიდევ ორი წამოჯდა, გასასვლელთან — ერთი! წამოინივნენ და მიყურებენ ამ უცნაურ სიჩუმეში... თვალს არ მაცილებენ, ისე მიყურებენ...

სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს დამავინყდება მათი გაოცებული, ფართოდ გახელილი თვალები!

მოულოდნელად საწოლიდან ჩამოცურდნენ და გამოიქცნენ ჩემკენ! აი, ასე, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე — ყველა ერთად გამოიქცა!

ახლაც ყურში მესმის — იატაკზე შიშველი ფეხების ტყაპატყუბით მორბოდნენ ჩემკენ!

მერე ყველა მეხვეოდა და მეხუტებოდა.

მეც ვეხვეოდი ამ პატარებს და არ მრცხვენოდა, რომ ყველას დასანახად ცრემლი მდიოდა! თან ვეფერებოდი, თან ვეუბნებოდი:

— ჩემო შვილებო, მე თქვენი მამა ვარ, ჩამოვედი, რომ სახლში წაგიყვანოთ!

მოხუცმა თქვა ეს და დადუმდა.

ვხედავდი, ახლაც როგორ უკანკალებდა ნიკაპი... მერე თითქოს თავის-თვის ჩაილაპარაკა:

— არ არსებობდა ებრაული სახლი, სადაც ეს ლოცვა არ ისმოდა. დილა-სალამოს სულ ვიმეორებდით: „ისმინე, ისრაელო! უფალი ჩვენი არს უფალი ერთი!“ ეს ლოცვა ყველას გულში ცოცხლობდა...

და ისევ დადუმდა.

გადალება არ შემიჩერებია.

აშკარად დავინახე, რომ სათქმელი ბოლომდე არ ჰქონდა დასრულებული.

მართლაც, ცოტა ხანში მესმის:

– მოვიხედე. თვალით წინამძღვარი მოვდებნე, თურმე ჩემს უკან იდგა. ეტყობოდა, მასზეც ემოქმედა იქ დატრიალებულ ამბავს. ბავშვებმაც ნელ-ნელა მისკენ დაინტეს ყურება. ვდგავართ ასე... პატარებმა ხელი ფრთხილად გამიშვეს და ხან მას შეხედავენ, ხან ჩემკენ გამოიხედავენ. რამდენიმე წუთს მაინც გაგრძელდა ეს ყველაფერი... მერე წინამძღვრისკენ გაიწიეს...

მე გავტუმდი.

მივხვდი, რომ ახლა ჩემი სიტყვის დრო არ იყო. მათ თავად უნდა გადაეწყვიტათ წასვლა-დარჩენის ამბავი.

და უცებ წინამძღვარმა, რომელიც ქვითინს გაჭირვებით იკავებდა, ძლივს წარმოოთქა:

– ჩემო ძვირფასო ბავშვებო, ბედნიერი ვარ, რომ თქვენს მშობლიურ სახლში ბრუნდებით! მოვა დრო და ნახავთ, რომ ყველა ბარიერი გაქრება. არ იარსებებს არც რელიგია, არც ნაციონალიზმი, არც საზღვარი, ანუ ყველაფერი ის, რაც ადამიანებს ერთმანეთს აშორებს. დარჩება მხოლოდ სიყვარული...

ეს თქვა და მოეხვია ბავშვებს. თან იღიმოდა, იღიმოდა...

– სიყვარული თავადაა მთავარი რელიგია და, როცა მოყვასი ისევე შეგიყვარდებათ, როგორც საკუთარი თავი, მხოლოდ ასეთი სიყვარული გადაგვარჩენს და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიხვდებით მთავარს. სულ გახსოვდეთ, რომ ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ, ერთი დიდი ოჯახი და ამას თუ არ დაივიწყებთ, ბედნიერები იქნებით.

ენაჩავარდნილი ვუსმენდით წინამძღვარს. აი, ასე – გაშეშებულები ვიდე-ქით და ვუსმენდით.

– მე თქვენთან აუცილებლად ჩამოვალ, გპირდებით. მანამდე კი მარტო იმას გთხოვთ, რომ იქ, თქვენს სამშობლოში ნუ დაგვივიწყებთ!

ამ სიტყვების შემდეგ უცებ შეპრუნდა და წავიდა, ზღურბლზე წაიფორხი-

ლა და კინალამ დაეცა.

ასე წამოვიყვანე ისრაელში ჩვენი ბავშვები – თორმეტი ბიჭი!

კიბუციმ თორმეტივე გაზარდა და გზაზე დააყენა.

მე ამ ბავშვებით ძალზე ვამაყობ!

მათგან სამი 1973 წელს, ისრაელ-არაბეთის ომში დაგველუპა; იოსი ტანკში დაიწვა; არიემ და ჰაიმმა ასევე შესწირეს თავი ქვეყანას.

ამის შემდეგ მოხუცი კაი ხანს დადუმდა. მივხვდი, რომ გადალება დასრულდა.

მათი სახლიდან გვიან წამოვედი. მასპინძელმა მზარულმა ისეთი ვახშამი მოვიმზადა, ცხოვრებაში რომ არ მენახა.

ოჯახს დავპირდი, რომ მასალას დავამონტაჟებდი და ისე მივუტანდი.

რამდენიმე დღე ტელევიზიონიდან წამოსვლის განამანიას მოვუნდი, მხოლოდ კვირის თავზე მოვიცალე მასალის დასამონტაჟებლად და აღმოვაჩინე, რომ ფირი ცარიელი იყო!

გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა! კასეტა ხან ასე გადავახვიე, ხან ისე, მაგრამ სრულ სიცარიელეს წავანყდი. ნაცნობ ოპერატორებსაც ვაჩვენე, ეგება რამეს ისე ვერ ვაკეთებ-მეთქი, მაგრამ ამაოდ! დიდი ალბათობით, „ჩანერაზე“ თითის დაჭერა დაგავიწყდაო, მითხოვეს. ზოგმა თქვა: კასეტამ გაჭედაო, ზოგმა – ამ ფირმის კასეტა კაპიკად არ ვარგაო.

მოკლედ, ბოლოს ისე გამოვიდა, რომ არაფერიც არ გადამიღია.

ძალა მოვიკრიფე და მოხუცის შვილს დავურეკე. ყველაფერი გულწრფელად მოვუყევი.

ჩემდა გასაკვირად, მან აქეთ დამამშვიდა: – თქვენი ისეთი მადლიერი ვარ, რომ დარჩით და მამაჩემი ჩანერეთ; უფრო სწორად, მამას რომ მოუსმინეთ. სამწუხაროდ, მოხუცი ცუდადაა, საავადმყოფოში გადავიყვანე, როგორც ჩანს, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია,

მაგრამ, ტკივილის მიუხედავად, შინა-განად მშვიდადაა და ბავშვივით იღი-მისო.

ბევრი წელი გავიდა ამ ამბიდან.

სიმართლე გითხრათ, ამ ხნის მანძილზე უამრავი მსგავსი ისტორია მოვისმინე – თუ როგორ გაახსენა ლოცვამ ბავშვს თავისი სახლი; მეტსაც ვიტყვი: სხვა ადამიანების მიერ ნაამბობ ისტორიებში დეტალებიც კი ისე ზედმიწევნით ემთხვეოდა მოხუცის ნაამბობს, რომ, სულო ცოდვილო, ისიც კი ვიფიქრე, მოხუცმა სხვისი ისტორია ხომ არ მომიყვა-მეთქი.

მაგრამ მთელი ამ ამბიდან ყველაზე უფრო დამამახსოვრდა მონასტრის წინამძღვარი – ეს იდეალისტი, ფანტასტი და უტოპისტი ტიპი და მისი სიტყვები, მაგრამ რაღა დროს „სიყვარული მთავარი რელიგია“ და რაის „ყველანი ერთი დიდი ოჯახი ვართ“?! სად სცალია კაცობრიობას ამისათვის?!

მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფრაზები მაინც თან დამყვებოდა და სულ ამაზე ვფიქრობდი, სანამ ცხოვრებამ თავად არ მიმახვედრა ამ სიტყვების ჭეშმარიტებას და სანამ ჭეშმარიტ მასნავლებელს არ შევხვდი.

**რუსულიდან თარგმნა  
თამარ ოქრუაშვილმა**



## ალექსანდრე ებანოიძე

ალექსანდრე ებანოიძე – წეველ ებანოიძეთა შთამომავალი, ვითარებისა და გარემოების გამო, რუსულენოვან მწერლად ჩამოყალიბდა. წლების მანძილზე რედაქტორობდა უურნალ „დრუჟბა ნაროდოვს“. განსაკუთრებული ნარმატება ხვდა წილად მის რომანს „ქორნინება იმერულად“, რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა და თოთხმეტ ენაზე ითარგმნა. რუსულად შვიდჯერაა გამოცემული. ამ რომანის მიხედვით გადაღებულია სამი ფილმი (საქართველოში – ორსერიანი სატელევიზიო და მოკლემეტრაუიანები – ბრატისლავასა და პაქოში). რომანის სიუჟეტის მიხედვით შექმნილია თეატრალური პიესა, რადიოდადგმა, ასევე მიუზიკლი სახელწოდებით „შეირთე ნუცა“ (კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე). ქართულად თარგმნილია ალექსანდრე ებანოიძის მეორე რომანიც – „ან შენდობილი“. რაც შეეხება მემუარებს – „ცხოვრების კვალი“, უმთავრესი ადგილი იქაც საქართველოს უჭირავს. სწორედ ამ წიგნის ერთი მონაკვეთი გვინდა გავაცნოთ ჩვენი უურნალის მკითხველს.

### სოფლის მშვიდეორი სასაფლაო

(წიგნიდან „ცხოვრების კვალი“)

მაყვლის ბორცვსა და მარწყვის მნიშვნელობის შემთხვევაში ხელის მარწყვნების საუკუნოვანი ხეების ჩრდილში, სოფლის სასაფლაო მიყუჟულიყო. მწვანე წალკოტი იმდენად ლამაზად ჩანდა, სასაფლაო კი არა, სამოთხე გეგონებოდათ, ედემის ბალს რომ ვეძანით. სამი მხრიდან სათუთად მოვილილი, ბარაქიანი ვენახი ერტყმოდა გარს.

სასაფლაოსკენ მიმავალი გზა, მარწყვის მდელოსთან, აღმართში, აქოშინებულ, ატალახებულ შარას გამოეყოფოდა და მწვანეში ჩაფლულ უკანას-

კნელი სამყოფელისკენ დინჯად, ცოტათი სევდიანადაც კი მიემართებოდა. მისი ორივე ნაპირი გაუბედავი სამყურით შემოსილიყო. მარჯვნიდან გზას მაღალი ყორე მიჯნავდა, ბარაქიანი ვენახის მიწაყრილს რომ ამაგრებდა; მარცხნიდან კი – სუროსა და აბრეშუმას ყლორტებშემოხვეული, მამაპაპურად დაწნული მაღალი ღობე. ასე ორმხრივ შემოსაზღვრული გზა სასაფლაოსკენ მიემართებოდა და მის არეში მოკრძალებით გვიშვებდა.

შუაში, შესამჩნევად შემაღლებულ ბორცვზე ეკლესია იდგა, რომელიც ზომითა და ფორმით სასაფლაოს ზუსტად შეეფერება. წაბლის ფიცრისაგან შეკრული, შროშის კრამიტით გადახურული ეკლესია თავიდან ცისფრად იყო შეღებილი (ამ ფერს მხატვრები აკვამარინს უწოდებენ). დროთა განმავლობაში კედლები გახუნებოდა, კრამიტი კი გამუქებოდა. კედლებს მხოლოდ გადმოწეული სახურავისა და საწვიმარი მილების ქვეშ შერჩა ხასხასა სილურჯე. და მოხდა საოცრება – მოძრავი ჩრდილებითა და მზის მთრთოლვარე ბილიკებით შემოსილი ეკლესია რომანტიკულ ტევრში ჩაკარგულ ზმანებას და აემსგავსა. მხოლოდ ღრუბლიანში, ჩრდილისა და ლივლივისაგან რომ თავისუფლდებოდა, მაშინ იძნდა სიმყარეს. მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ მის აღმოსავლეთ კედელს მინაში სანახევროდ ჩაფლული ვეება ქვევრი მიჰკევროდა – მოსიყვარულე მამის კალთაში ჩამხმილი, წანალ-ბორიალით დაღლილი უძღები შვილი. ქვევრში შაბიამანს აზავებდნენ ვენახების შესანამლად და ფერდები ფირუზისფერი ჩამონაღვენ-თებით ჰქონდა მოთხვრილი.

უღრანი ჩრდილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, გეგონებოდა, მზის სხივებით გამსჭვალულ ტბაში ცურავ, ანდა გუმბათჩამონგრეულ უზარმაზარ ტაძარში დაიარები. ფოთლებს შორის თვალისმომჭრელი სხივები აღწევდა, ერთურთს კვეთდა და ქრებოდა. შუქ-ჩრდილის ამ თამაშს ფრინველთა გადაძახილი აღუერადებდა და მათ ხმებში აშკარად სიხარული და გაოცება ისმოდა. ხეების ვარჯები ერთმანეთს ისე მჭიდროდ გადახლართვოდა, ბებერ ვერხს ცაცხვის ყვავილი სცვიოდა, არყის ხე მწიფე რკოებს ყრიდა, თელას რტოებში კი მიმოზას ყვავილი ღვიოდა, ვით ფარშევანგის კუდზე ოქროსფრად მიხატული თვალი.

განზე ორი მაღალი კიპარისი მედი-

დურობდა, ორი ფიჭვიც განცალკევებით გლოვობდა. ერთი ჩვენებური იყო – ხეპრე, შემხმარი გირჩით დახუნძლული; აი, მეორე კი ლიბანური კედარი გახლდათ. მისი მძლავრი ტანიდან ხუთი ღონიერი ტოტი ამობრდილიყო, რის გამოც ხე უშველებელ ჭაღს წააგავდა. კედარს მომგუდავად სურნელოვანი, მწარე ფისი სდიოდა, ზოგან სისხლივით შემხმარ-შედედებულიყო, ხოლო მის ტოტებს, ხეს ხუთტოტა შანდლის იერს რომ ანიჭებდნენ, მისაკივით წვრილი ჩინური ვარდი შემოხვეოდა.

მაგრამ ჩვენს სასაფლაოზე შორცული ვარდები და კედარი ისე არ მაოცებდა, როგორც მშობლიური მუხა და ცაცხვი. მსგავსი სიმძლავრის ხეები იშვიათობა! რაც კი მათ გარშემო იზრდებოდა, სულ ქვეტყე გეგონებოდათ. ფილემონი და ბავკისი! ბერძნული მითი ღვთაებრივ ხეებად ქცეული მარადი ცოლ-ქმრისა. ელინებს როლები არ შეშლიათ: მუხა და ცაცხვი! საკვირველი ის იყო, თუ როგორ მოხვდნენ ფილემონი და ბავკისი იმერული სოფლის სასაფლაოზე. მათი უხვი ჩრდილი ყველას ჰყოფნიდა – იმ წლებში მზის გულზე არავის ასაფლავებდნენ.

სასაფლაოს მის საუკეთესო ხანაში მოვესწარი. მაშინ შედარებით ახალი და ამიტომ არც ისე დიდი იყო. მწვანე გორაკზე მუქ ჩრდილში ორმოციოდე სამარის ქვა შეფენილიყო, სამი პირქუში აკლდამა აღმართულიყო და რკინის მილებისაგან შედუღაბებულ, ზედაპირულად შევერცხლილ ხუთიოდე ჯვარს ეპარებოდა უანგი, ერთ-ერთს ნაზად შემოხლართვოდა ხვიარა მცენარე.

სამარის ქვათა უმრავლესობაზე, ჯვრის გარდა, ვერძები და თევზები იყო ამოტვიფრული; ზოგიერთს უცნაური მრგვალი ბურცობები ამკობდა, წყაქვეშა ნავის საჭვრეტელთა მზგავსი ღიობებით, რომლებშიც ჩახედვისა მეშინოდა. აქა-იქ ბავშვის საფლავები იყო მიმოფანტული, მათი ქვები ჰატა-

რა სკივრებს წააგავდა და ხავსით ისე იყო დაფარული, – რელიეფს თითქმის ერწყმოდა. დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები არსად ჩანდა.

ამ ბაღნარის სიმწვანეში ჩიტები დაფრინავდნენ, მიწაზე კი პატარა აგურისფერი ხოჭოები საქმიანობდნენ, ზურგზე ჯვარი და წყვილი თვალი რომ ჰქონდათ შავად გამოსახული. თავს იმით ვირთობდი, რომ მათ წკეპლას ან ბალასის ღერს უშვერდი; ზედ ძვრებოდნენ, ბოლომდე რომ აღწევდნენ, იბნეოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ბოლოს და ბოლოს კი მაინც უხალისოდ მაცოცდებოდნენ თითებზე. მაშინვე ჩამოვიბერტყყავდი ხოლმე, თუმცა მათი არ მეშინდა.

ლაბაზ სასაფლაოზე საშიში არაფერი იყო. მხოლოდ ერთი სამარე მაკრთობდა და მაღლვებდა. ეკლესიდან სუთიოდე ნაბიჯში არაჩვეულებრივი საფლავის ქვა იდო, ზომით ყველა დანარჩენს ბევრად რომ აღემატებოდა. მოლურჯო, გლუვი, ყოველგვარი რელიეფის გარეშე, გვერდებზე ნატიფად ჩამოთლილი: მხრებში განიერი, ფეხებისკენ ვიწროვდებოდა და ცალ მხარეს თვალშისაცემად გადახრილიყო.

ჩემი წარმოდგენით, ეს ქვა ვერაგულად მოკლულ დევგმირს ეფარა: საწყალს არაერთხელ უცდია წამოდგომა მტრებზე შურის საძიებლად, მაგრამ ქვა ვერ დაუძრავს, მხოლოდ რის ვაივაგლახით ცალ მხარეს გადაუხრია.

ამ სამარის ქვაზე არასოდეს ჩამოვმჯდარვარ. რამდენადაც მახსოვს, მასზე არავინ არ ჯდებოდა. ნეტავ ვის ეფარა? ვინ ესვენა მის ქვეშ? ფილებზე არა მხოლოდ თარიღები, არც სახელები ეწერა. Silentium<sup>1</sup>.

დევგმირის ქვისაგან მოშორებით ლიბანური კედარი თავის ჩრდილს ულამაზეს და უსათუთეს საფლავს ფენდა. ფოლადის ბადით შემორაგული პატარა

ეზო პირთამდე სავსე იყო ჰორტენზიებით. შემოლობილის სიღრმეში, მარჯვენა კუთხეში, მოცისფრო-ისფერ ყვავილებს შორის ქათქათად მოჩანდა მარმარილოს სვეტი, შიგ ჩასმული ოვალური ფოტოსურათით; მუნჯური კინოს ნატო ვაჩნაძის დროინდელ ვარსკვლავთა მსგავსი, გრძელთმაჩამოშლილი მზეთუნახავის სახე ყვავილებიდან ხან გამოჩნდებოდა, ხანაც ისევ მიიმალებოდა.

ქარი არხევდა ყვავილებს, მშვენიერი ქალის სახეს რომ შემოხვეოდნენ, მაგრამ თვით ეს მშვენება ჩვენს მყუდრო სასაფლაოზე ნეტავ ეპოქის რა ქარმა გადმოისროლა? ან ვინ უვლიდა ჰორტენზიებით სავსე სევდიან ეზოს, რომლის ჭიშკარიც მუდამ ბოქლომით იყო ჩარაზული?

### ჩუნი ეკლესის ისტორია

ჩვენს მხარეში მრავალი ძველი ეკლესია. გადალმა, ზემო წევაში, XII საუკუნის ტაძარი დგას. მისი მორთულობა ძალზე სადაა, მოხატულობა კი – უშნო და უხეირო, რადგან კულტურული დაცემის პერიოდს დაემთხვა, მაგრამ კედლების მევრივი წყობა ძველისძველი კალატოზებისადმი პატივისცემას აღძრავს.

ორიოდე კილომეტრის მოშორებით, ძირულის პირას, ხევში ჩამალული IX საუკუნის ბაზილიკა დგას. ის არც ერთხელ არ გადაკეთებულა, მაგრამ თავისი ავთენტურობით კი არაა ფასეული, არამედ XIV საუკუნის ფრესკებით: უბისის მოხატულობას სპეციალისტები ყველგან იცნობენ.

ჩვენს ეკლესიაზე მსგავსს ვერაფერს ვიტყვი. ის მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ფიცრებისაგან ნაჩეარევად შეკრეს და ლურჯად შეღებეს, კანკელი

1. Silentium (ლათ. დუმილი)

ქუთაისის სახელოსნოდან ურმებით ამოიტანეს. ერთადერთი ძველი ნივთი ეკლესიაში ბიბლია გახლდათ: უსაშველოდ მძიმე, კუთხებში ვერცხლით აჭედილი, ყადასაც ვერცხლის ჯვარი უმშვენებდა, სქელ, გამუქებულ ფურცლებს ლია მდოგვისფერი გადაპერავდა. წიგნი საკურთხეველზე ესვენა და მას ხანდახან მოწინებით ვფურცლავდით. ბიბლია ხუცურით იყო დაწერილი, რომელსაც სოფელში მხოლოდ კოლია კალანდაძე – ძველი სემინარისტი და მწიგნობარი კითხულობდა. ჩვენთვის ეს წიგნი ისეთსავე მიუწვდომელ და შემაშფოთებლად უცხო ნივთად რჩებოდა, როგორც მის გარშემო მიმოფანტული შანდლები, ლამპრები, კანდლები, გაცვეთილი ოლარი და თითბრის ჯვრები.

უბისის ფრესკების შემდეგ ჩვენი ეკლესიის მოხატულობაზე ლაპარაკი უხერხულიც კია, თუმცა ქუთაისის სახელოსნოს მხატვარი ერთობ ხელმარჯვე ფერმწერი გამოდგა. მან კანკელი ნათლობის ოთხი ხატით დაამშვენა. აღსავლის კარზე მახარობელთა სახეები და მათ თავზე საიდუმლო სერობა კი სხვა ოსტატის ულიმღამო ნამუშევარი ჩანდა.

აღსავლის კარის მარცხნივ ღვთის-მშობელი და წმინდა ნინო იყო გამოსახული, მარჯვნივ – უფალი ხელში სამეფო სფეროთი და მის გვერდით – ფარ-აბჯრიანი წმინდა გიორგი. ქუთაისელ ოსტატს ხატმწერის ნაცვლად ფერმწერი შემთხვევით როდი ვუწოდე: მას მეტისმეტად იტაცებდა ქსოვილის ფაქტურა და სამოსის ნაკეცები, წმინდა გიორგის აბჯარსა და ფარზე სინათლის ბლიკები, განსაკუთრებით კი ქალთა – ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს – სახის მშვენება. ჩემთვის ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩა ოთხივე სახის, განსაკუთრებით, ნინოსა და გიორგის მსგავსება: ეს ორნი სულმთლად ტყუპებსა ჰეგავდნენ. როგორც ჩანს, ოსტატი პორტრეტული დეტალებით თავს არ

იწუხებდა: ერთ სახებას მიაგნო – ამაღლებულსა და სპეტაკს, მის გამოსახვაში ხელი გაინაფა და თითქმის უცვლელად მოსავდა აპრეშუმით თუ ხავერდით, ხანაც წვერ-ულვაშს მიუხატავდა. მოციქულთა სწორ ნინოს ზედა ტუჩთან სულ ოდნავი ღინდლიც კი მიახატა, რითაც წმინდანისათვის გადამეტებული მგრძნობელობა შესძინა.

ჩვენი ეკლესია იმთავითვე არ ტოვებდა სიმყარისა და დროგამძლეობის შთაბეჭდილებას, მისი შენარჩუნება დაუღალავი მოვლა-პატრონობით თუ შეიძლებოდა, მაგრამ იმ წლებში ვინ უპატრონებდა, ორიოდე ბეხრევი მოხუცის გარდა. ნგრევა სახურავიდან დაეწყო: კრამიტი ჯერ დაიბზარა, შემდეგ კი ჩამოიშალა. საკურთხევლის მოპირდაპირე კედელზე, ნაპრალებიდან, წვიმამ და თოვლ-ჭყაპმა ჩამოუონა.

ეკლესიის ეს მხარე ჩემში, ცნობის-მოყვარეობის ნაცვლად, ძრწოლას იწვევდა. ვცდილობდი, იქით არც გამეხედა მას მერე, რაც ოთხი წლის ასაკში მამიდის კალთას ჩამოკონწიალებულმა პირველად დავინახე დამპალ კედელზე რკინის ჟანგიანი გვირგვინები, ზედ ჩამოკონკილი ჭრელ-ჭრულა ნაფლეთებითა და ნახევრადგახრწნილი შავი ლენტებით, რომლებსაც ნიავი ზანტად არხევდა, შეშინებულმა მაშინვე უკან დავიხიე. კაუჭებზე ჩამოკიდებული დაჟანგული გვირგვინები და ობმოდებული კედელი საზარელი სანახავი იყო. ასე მეგონა, ამ კედელზე შავი ჭირი, კეთრი და შუა საუკუნეების ყველა უბედურება და დოზანა ბუდობდა. დამპალ კედელზე რკინის გვირგვინების დაფხრენილ ძონძებს თითქოს სასაფლაოს სისინა სიო კი არა, სიკვდილის სუნთქვა არხევდა. ეს გვირგვინები ისეთსავე სრულ წინააღმდეგობას ქმნიდა ცისფერ და ძონისფერ კანკელთან, როგორც ყურისწამლები კაკოფონია – ლამაზ, მწყოპრ გალობასთან. მხოლოდ ღმერთმა უწყის, ჩვენს ეკლესიაში, ამ

რკინის გვირგვინების სახით, უცხო, სამგლოვიარო ატრიბუტიკა საიდან მოგვევლინა. არაა გამორიცხული, რომ იგი რაღაცნაირად ნერვის მიზეზადაც კი იქცა, ყოველ შემთხვევაში, ნერვა ვერ შეაჩერა.

ასე თუ ისე, ეკლესიამ აშენებიდან საუკუნის შესრულებამდეც კი ვერ მიატანა და 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოინგრა. უკანასკნელ წლებში თავაშვებულმა ახალგაზრდობამ კიდეც შეუწყო ხელი მის დამხობას, თითქოს აგონია შეუმოკლაო. პიბლია და ხატები კოლია კალანდაძეს ჩაუტანეს, კედლების ნარჩენები კი შეშად გამოიყენეს. დაბურულ ხეებს შორის ცხელ ზაფხულში მონანავე ცისფერი ზმანება გაქრა; მის ადგილას მხოლოდ დაბალი საძირკველი და ქვის ხავსმოდებული სტოვა დარჩა.

სწორედ ამ დროს ჩვენი ეკლესიის ხანმოკლე და სევდიან ისტორიაში ახალი სიუჟეტი ისახება, რომელსაც ზემო იმერეთის ლამაზი სოფლიდან ჩრდილოეთის მეგაპოლისებში და ევროპის დედაქალაქებში გადავყავართ.

სიყრმიდან მახსოვს ჩვენს სოფელში სახელი ამირანი. ეს ვაჟკაცური და მჟღერი სახელი ქართულ აღქმაში ფოლკლორული ასოციაციებითაა გამდიდრებული: ამირანი ქართული მითოსის გმირია, პრომეთეს წინამორბედი. ბულატ ოჟუჯავაშ ნატიფი სმენით ამ სახელის კეთილუღერადობა მოიხელთა და თავისი საუკეთესო რომანის „დილეტანტთა მოგზაურობა“ მთხრობელს სწორედ ამირანი დაარქვა. „თავად ამირან ამილახვრის ჩანაწერებიდან“, – ვკითხულობთ ამ რომანტიკული სასიყვარულო ამბის ზღურბლზე.

ჩვენი ამირანი გვარად ნიორაძე იყო. თავადი არ ყოფილა, თუმცა გარეგნობითა და თავდაჯერით ამ წოდებას სრულებით შეეფერებოდა – სწორედ ასე წარმომიდგენია ეს ადამიანი. უც-

ნაურია, მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთმანეთს ერთხელაც რომ არ შევხვედრივართ, თუმცა ორივე წარმოშობით პატარა სოფლიდან ვიყავით, რომელსაც ხშირად ვსტუმრობდით. ეს მხოლოდ ასაკობრივი სხვაობით თუ აიხსნება: იმ დროს, როცა მე სახატავ რვეულში ფაშისტებთან ომს ვხატავდი და ბიჭური გატაცებით ტყვიამფრქვევის კაკანითა და ყუმბარების ბათქაბუთქით ვახმოვანებდი, ამირანი ფრონტზე იბრძოდა: ჯერ ვოლგამდე დაიხია, შემდეგ კი საპირისპირო მიმართულებით დაიძრა.

ომის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, მშვიდობიანი ცხოვრების მივინყებული სიამებით ხარბად ტკბებოდა, ლამის ზედმეტიც კი მოუვიდა, თუმცა დროულად მიეგო გონს, დადინჯდა, ცოლი შეირთო და შვილიც ბევრი შეეძინა, თანაც სულ გოგონები – თუ არ ვცდები, ექვსი. მიუხედავად ამისა, მეგობართაგან არც ერთს სიმთვრალეშიც კი არ უკადრებია ამირანისთვის, ბრაკის მწარმოებელი ხარო – ისეთი გოგონები გამოდგნენ. რაც შეეძება ქალებს, ისინი საგანგებო აზრისანი არიან იმ მამაკაცებზე, ვისაც გამორჩეულად გოგონები უჩნდებათ; ამ საკითხზე დიდი კომპეტენტურობით მსჯელობს ჰემინგუეის „ქონა თუ არქონის“ პერსონაჟის, ცალხელა კონტრაბანდისტ პარი მორგანის სატრფო.

ჩვენი ამირანი არც თავადი გახლდათ, არც კონტრაბანდისტი. დაღვინებული და ძლიერი კაცი იყო, ოთხი წელი „სტუდებეკერის“ საჭესთან გაატარა, ამიტომ პროფესიის ძებნაში ღობე-ყორეს არ მოსდებია და მთელი ცხოვრება საქალაქთშორისო ავტობუსის მძღოლად იმუშავა. სხვადასხვა მარშრუტი მოსინჯა და ბოლოს „თბილისი-ბათუმი“ ამირანია. იმ ავტოსტრადის ნაწილი, რომელზედაც ავტობუსი დაჲყავდა, ჩვენი მთის ძირას მდინარე ძირულას მიუყვებოდა და ავლა-ჩამოვლისას

ამირანი მუდამ უსიგნალებდა მშობლიურ მთებს, ადამიანებს, წყაროებსა და ვენახებს. ავტოპარკში მეგობრებს ავტობუსის სიგნალი გააძლიერებინა და ისეთ ფორმატისიმომდე ააყვანინა, რასაც დირიჟორები საგანგებო შემთხვევებში ორკესტრის „სპილენძის ჯგუფისაგან“ ითხოვენ (მახსოვს, ევგენი სვეტლანოვი ალტაცებულ კოცნებს როგორ უგზავნიდა თავის ტრომბონებსა და საყვირებს „ლონგრინის“ „მუსიკალური ანტრაქტის“ შემდეგ). ამირანიც უდავოდ დაიმსახურებდა მაქსტროს წამახალისებელ უესტი. გზად ბათუმიდან თბილისისაკენ მისი საყვირის ხმა მაშინ უღერდა, როდესაც ლაპლაპა „იკარუსი“ აგურის ქარხნის ზემოთ, მოსახვევიდან გამოჩნდებოდა; მეორედ ნახიდვარის კლდის პირისპირ, მოსახვევებში ხმიანობდა.

ორკესტრის საყვირებს რატომდაც „სპილენძისა“ ეწოდებათ, თუმცა ფორტისიმოს წამებში ისინი ვერცხლის წკრიალს გამოსცემენ. ამირანის საყვირი მთელ სოფელს ესმოდა, მხოლოდ მთის მწვერვალამდე ვერ ადიოდა ხმა. ამ ხმაზე ბევრი იხედებოდა შარაგზისკენ, ზოგი ხელსაც კი უქნევდა, თუმცა ესმოდათ, რომ ამირანი მათ ვერ ხედავდა.

გმადლობ, ამირან, ჩვენს ბიჭურ სულებს უნებურად თავისუფლებისა და გამბედაობის უღერადობა რომ ასწავლე!..

და აი, ამ შთაბეჭდილებებიდან ოცდათი წლის შემდეგ, ოთხმოციანი წლების დასასრულს, ლენინგრადის პროსპექტზე მდებარე ჩემს მოსკოვის ბინაში ტელეფონმა დარეკა და მამაკაცის დაბალი ხმა ჩამესმა: „გამარჯობა! ამირან ნიორაძე ვარ“.

სამწუხაროდ, ერთმანეთს ვერც მაშინ შევხდით.

ჩემი თანასოფლელების მოსკოვში გამოჩენა იმ დროისათვის იშვიათობა აღარ იყო. მათ შორის იყვნენ სულმთლად ახლობლები, მაგალითად, რო-

გორც მალხაზი – ჩემი გარე ბიძაშვილი: მას პირადად ვაკითხავდი გარეუბან მიტიშჩიში, ზემდეგს ორ ბოთლ არავს ვაძლევდი და ისიც „სტროიბატის“ რიგითს ორი დღით შინ მატანდა. იყვნენ უცნობებიც, ისეთები, როგორიც სიმპათიური ჭაბუკი აჩიკო იყო (როდესაც ცოლი დაინტერესდა, როგორ გენათესავებაო, ყოველგვარი იუმორის გარეშე ვუპასუხე: მგონი, ოდესლაც ელენე მამიდამ ძირულის ხიდზე მისი ბიძა დამანახამეთქი). თანასოფლელთა უმრავლესობა სამედიცინო საჭიროების გამო ჩამოდიოდა და მათთვის დახმარების გაწევას ვახერხებდი: იმსანად მწერლებს საკუთარი პოლიკლინიკა და საავადმყოფო გვქონდა, სადაც ნათესაობის დასამტკიცებლად გენეტიკურ ანალიზს არ ითხოვდნენ. ყველაზე მოურიდებელნი საყიდლებზე ან, როგორც ახლა იტყვიან, შოპინგზე ჩამოდიოდნენ.

ამირანის შემთხვევა სრულიად გამორჩეული აღმოჩნდა.

როგორც ტელეფონით მიამბო, მისი მრავალრიცხოვანი ქალიშვილებიდან ორს ნიჭი აღმოაჩნდა: ერთი მღეროდა, მეორე ცეკვავდა. თვითონვე იგრძნო, მეტისმეტად შინაურული დახასიათება რომ გამოუვიდა და შეასწორა: ერთი მომლერალია, მეორე – ბალერინაო. თბილისში გოგონებს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენიათ, მაგრამ მამას სურდა, ისინი მოსკოველი სპეციალისტებისათვის ეჩვენებინა... მისი ზარის მიზანიც ეს იყო: ხომ არ მყავს ვინმე დიდ თეატრში, გოგონებისათვის ჩვენება და მოსმენა რომ მოეწყო.

ამ კითხვამ კუთხეში მიმამწყვდია: თეატრალურ სფეროში ნაცნობები არ მყავდა, ამირანის მხრიდან მაინცდამა-ინც დიდ თეატრზე დამიზნება კი გადამეტებულ სითამამედ მეჩვენა. ამირანს ვურჩიე, საქართველოს წარმოამდგენლობისათვის მიემართა, სადაც კულტურის დარგში მრჩევლის თანამდებობა იმსანად რუსიკ ხანთაძეს, ჩემი

მეგობრის, ბორის ანდრონიკაშვილის მეუღლეს ეკავა, ჩემთავად კი დავპირდი, რომ წინდანინ დავურეკავდი საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს, ნოდარ მეძმარიაშვილს, უკიდურესად სანდო პიროვნებას.

შესაძლოა, ამირანს ჩემი პასუხი ფორმალური ეჩვენა, — ასე თუ ისე, წარმომადგენლობაში არც კი გამოჩენილა. დები ნიორაძების, მომღერლისა და ბალერინას შესახებ მომდევნო ცნობამ კი ჩემამდე სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოაღწია, სადაც ორივე უკვე „მარინისკის თეატრის“ სოლისტები იყვნენ. აი, საოცარება!

ბალერინას ირმა ერქვა, მისი პოპულარობა დღითიდლე იზრდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ უცხოეთში გასტოლებზე გაემგზავრა და მსოფლიო ვარსკვლავიც გახდა. ამიერიდან ევროპის დედაქალაქებში უფრო ხშირად გამოდიოდა, ვიდრე პეტერბურგში. საქმეში ჩახედულმა ხალხმა ამიხსნა, რომ საფრანგეთში ირმას ეთაყვანებოდნენ, რადგან გრანდ-ოპერის ერთ სახელმ-ვან სოლისტს, ომისშემდგომი პარიზის ვარსკვლავს ამსგავსებდნენ. ბალეტის მოყვარულნი თავისებურ კასტას შეადგენენ; ლიეპას ანტიკური უესტისა თუ პლისეცკაიას ბოშური მიხრა-მოხრი-სათვის რას არ გაიღებენ. ფრანგებმა ირმა ნიორაძე ასე ძლიერ რისთვის შეიყვარეს, ეს მხოლოდ მათ უწყიან, ერთი კია: ამ თავიანთი სიყვარულით ბალეტის სხვა მოყვარულები გაძარცვეს.

მახსოვს, თვალში როგორ მეცა სმოლენსკის ბუღვარისა და ახალი არბატის კვეთაზე, ხუთვარსკვლავიან „პლაზას“ ფასადზე გაჭიმული უშველებელი ბანერი — ქაქეათა, თეთრ ფონზე დიდი წითელი ასოებით ენერა: „Блистательная Ирма Ниорадзе в Москве!“ — „პრნეინ-ვალე ირმა ნიორაძე მოსკოვშია!“ ვარდების თაიგულით უნდა მივაკითხო-მეთქი კულისებში, გავიფიქრე, ის კი არ მიფიქრია, რომ უნდა მექარა: მოსკო-

ვური გასტროლები ხანმოკლე აღმოჩნდა — მსოფლიოს თეატრები ირმას ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ...

სამშობლოს ტრაგედიამ ვარსკვლავი შინ დაბრუნა. წყეულ ოთხმოცდათაოანებში ამირან ნიორაძემ საქართველოს თავსდატებილი ჭირ-ვარამი ვერ აიტანა და გარდაიცვალა.

ქვეყანაში ისეთი არეულობა ტრიალებდა, რომ საქვეყნოდ ცნობილ დებს მამის მშობლიურ სოფელში გადასვენება ძალზე გაუჭირდათ.

იმ დროისათვის სასაფლაო წარმოუდგენლად შეიცვალა, თითქოს მიწიდან ამოზრდილი უნგიანი გისოსებით დაიფარა, ხეების ჩრდილიდან გამოვიდა და ფერდობებს ხარბად ჩამოუყვა. ძველი ეკლესიის კვალი — ქვის სტოვა დაიმსხვრა და წაიშალა. ამ ყველაფერთან ერთად, ჩვენი ბერმუხაც წაიქცა. არ ვიცი, გოლიათური ვარჯი თოვლმა დაუმძიმა თუ ფესვები დაეღალა და მიწას ვეღარ მოეჭიდა — ასე თუ ისე, დიდთოვლობის მიწურულს დაემხო და დიდხანს ელოდა, ვიდრე სოფლელები დახერხავდნენ. ვეება ტანი საწნახელისთვის იყო ზედგამოჭრილი, მაგრამ საწნახელებს ხისაგან რახანია აღარ აკეთებენ.

ფირუზისფერი ეკლესიის გარშემო გაშენებული ედემის ბაღნარი ჩვეულებრივ სოფლის სასაფლაოდ გადაიქცა. მაგრამ ამირან ნიორაძემ მშობლიურ მიწაში განსვენება ისურვა და ოჯახმაც ეს სურვილი შეუსრულა.

ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ დანგრეული ეკლესიის ადგილას ირმა ნიორაძემ ქვის ახალი საყდარი ააშენა. არსებითად, ხარჯები იტვირთა, სამუშაო კი მთელმა თემმა შეასრულა. ჩემმა თანასოფლელებმა გულმოდგინებითა და მგზნებარე შრომით სულიდან ცოდვები ჩამოირეცხეს, სინდისის ქეჯნა დაიამეს. ჯერ კიდევ თვალწინ ედგათ ძველი, ნალვლიანი და ლამაზი ეკლესია, ბევრს ახსოვდა მწვანე ტევრებში მისი


ფირუზისფერი სახება.

ჩემი ბავშვობის მეგობარმა ანზორ-მა, „სინანულის“ მშენებლობის ხელ-მძღვანელობა წებაყოფლობით რომ ითავა, იმ სირთულეების შესახებ მიამ-ბო, რომლის დაძლევაც თვითნასწავლ კალატოზებს მოუნიათ; როგორ ეძებ-დნენ კედლებისათვის გამოსადეგ ბლო-კებს, როგორ ეზიდებოდნენ, თლიდნენ და კედლებს გულდაგულ როგორ აწ-ყობდნენ. ასე თქვა, ზოგიერთი რთული საკითხის გადაჭრისას პასუხს ლამით, ძილში, ლამის სასწაულმოქმედ წმინ-დანთა კარნახით ვაგნებდიო. „საცაა, მართლა ვიწამო ღმერთი“, – უხერხუ-ლი ლიმილით მითხრა ანზორმა, ეკლე-სიის მძიმე კარს რომ მიღებდა. კარს

მიღმა ჩემი ბავშვობის იისფერ-ზურ-მუხტისფერი ლამაზი კანკელი არ დამ-ხვდა, არც ჭალარა მახარობლების სა-ხეები, მეხსიერებაში რომ ჩამბეჭდვო-და, არც ვერცხლში ჩასმულ კუთხეები-ანი ჯვრით შემკული მძიმე ბიბლია.

მაგრამ აგერ, უკვე თხუთმეტი წე-ლიწადია, ეკლესია დგას – მკვრივი, ჩასკვნილი, რკინის ჯვრით დაგვირ-გვინებული და ახალგზარდა მამაო იქ ყოველ კვირა წირავს: ცოტათი მორი-დებით აქნევს ქორკანდელს, თითქოს ავსულებს აფრთხობდეს და ყოველგვა-რი სიავისაგან იცავდეს თანასოფლე-ლებს ამირან ნიორაძისა, ვისი საყვირის წკრიალა ვერცხლი დღესაც ახსოვს ძი-რულის ხეობას.

რუსულიდან თარგმნა  
**თამარ კოტრიკაძემ**  
ავტორისეული რედაქციით



## ტობაიას ვულფი

ტობაიას ჯონათან ანსელმ ვულფი (19 ივნისი, 1945 წ. ბირმინგემი, ალაბამა) – ამერიკელი პროზაიკოსი, მემუარისტი. გამოქვეყნებული აქვს ნოველების ოთხი კრებული და ორი რომანი. მისმა რომანმა – „ყაზარმების ქურდი“ (1984) აიღო პერ/ფოლკნერის ჯილდო. 2015 წლის სექტემბერში, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ვულფი „ხელოვნების ეროვნული მედლით“ დააჯილდოვა.

მისი, როგორც პედაგოგის კარიერა სირაკუზის უნივერსიტეტში დაიწყო (1982–1997) და 1997 წლიდან სტენფორდის უნივერსიტეტში ასწავლის. არის ჰუმანიტარიისა და მეცნიერებათა სკოლის, ვორდ ვ. და პრისილა ბ. ვუდზის პროფესორი.

### დაეთანხმე

ჭურჭელს რეცხავდნენ. ცოლი რეცხავდა, ქმარი ამშრალებდა. წინა დამით კაცმა დარცხა. უმეტეს მამაკაცთაგან განსხვავებით, იცოდა, რომ სახლის საქმეს ნამდვილად ხალისით აკეთებდა. რამდენიმე თვის წინ ცოლის მეგობრის საუბარს მოჰკრა ყური, რომელიც ქალს ულოცავდა, თუ როგორი მზრუნველი ქმარი ჰყავდა და კაცმა გაიფიქრა – „ვცდილობ, ასეთი ვიყო“-ო. ჭურჭლის რეცხვაში ხელის წამველებაც ერთგვარი საშუალება იყო, იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი მზრუნველი გახდათ.

სხვადასხვა თემაზე საუბრობდნენ და როგორლაც თეთრ და შავკანიანთა ქორწინების საკითხიც წამოიჭრა. კაცმა თქვა, რომ, ყველაფრის გათვალისწინე-

ბით, ეს ცუდი აზრი იყო.

– რატომ? – ჰკითხა ქალმა.

ზოგჯერ მისი ცოლი ასეთ გამომეტყველებას იღებდა: წარბებს შეკრავდა, დაბლითა ტუჩს იკვნეტდა და ქვემოთ რაღაცას დააშტერდებოდა ხოლმე. კაცმა, როგორც კი ასეთს დაინახავდა, იცოდა, რომ ხმა არ უნდა ამოელო, თუმცა ასე არასოდეს იქცეოდა. ჩვეულებისამებრ, იძულებული ხდებოდა, ენა არ გაეჩერებინა. ქალს ახლა სწორედ ასეთი გამოხედვა ჰქონდა.

– რატომ? – ისევ ჰკითხა ქალმა. ხელი ფიალაში ჩაეყო, არ რეცხავდა, უბრალოდ ონკანის ზემოთ ეჭირა და ასე იდგა.

– მისმინე... – თქვა კაცმა. – სკოლაში შავკანიანებთან ერთად ვსწავლობ-

დი, მათთან ერთად მიმუშავია კიდეც და ერთმანეთს ყოველთვისაც მშვენივრად ვეწყობოდით. არც შენი პროგრესული აზროვნება მჭირდება და არც ის მინდა იგულისხმო, რომ რასისტი ვარ.

— არაფერსაც არ ვგულისხმო! — მიუგო ქალმა და ისევ ფიალის რეცხვა განაგრძო. ხელში ისე ატრიალებდა, თითქოს ფორმას აძლევდა. — უბრალოდ, ვერ ვხედავ, რაა იმაში ცუდი, როცა თეთრი და შავკანიანი წყვილი ქორწინდება, სულ ეს არის.

— ჩვენგან განსხვავებით, მათ ერთნაირი კულტურა არ გააჩნიათ. ხანდახან ყური უგდე, საკუთარი ენაც კი აქვთ. ჩემთვის ეს მისაღებია, მათი საუბრის მოსმენა მომწონს.

ასეც იყო. რამდენიმე მიზეზის გამო, ეს კაცს განწყობას უმაღლებდა.

— მაგრამ სხვაა. მათი და ჩვენი კულტურის მქონე ადამიანებს ერთმანეთის მართლა არ ესმით.

— ისევე, როგორც ჩემი გესმის? — ჰკითხა ცოლმა.

— დიახ. ისევე, როგორც მე მესმის შენი.

— მაგრამ, თუ ერთმანეთი უყვართ? — თქვა ქალმა. ახლა გაცილებით სწრაფად რეცხავდა, კაცს არც უყურებდა.

„ვაპ, ბიჭო!“ — გაიფიქრა კაცმა და თქვა: — ჩემს სიტყვას ნუ ენდობი. სტატისტიკა ნახე. ასეთი ქორწინების უმეტესობა გაყრით მთავრდება.

— სტატისტიკა! — ქალი თეფშებს გასაოცარი სისწრაფით ჭურჭლის საწურზე ალაგებდა, მხოლოდ ტილოსლა უსვამდა. ბევრი მათგანი ცხიმიანი იყო და ჩანგლების წვერებს საჭმლის ნარჩენი შერჩენოდა.

— კეთილი! — თქვა ქალმა. უცხოელებზე რაღას იტყვა? მგონი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ქორწინებაზეც იგივე აზრი გაგაჩნია.

— დიახ! — თქვა კაცმა. ნამდვილად ასე მიმაჩნია. როგორ გინდა, იმ ვიღაცას გაუგო, რომელსაც სრულიად გან-

სხვავებული წარმომავლობა აქვს?

— განსხვავებული!.. — თქვა მისმა ცოლმა. — ჩვენსავით ერთნაირი არა.

— დიახ, განსხვავებული! — ქალის მისი ნათქვამის ბრიყვულად, თვალთმაქცურად გამეორებით გაბრაზებულმა, სიტყვა უცებ მოუჭრა.

— ესენი ჭუჭყიანია! — თქვა კაცმა და ვერცხლის ყველა დანა-ჩანგალი ისევ ნიუარაში ჩაუძახა.

წყალს ჭუჭყისგან რუხი ფერი დაედო. კუშტად პირშეკრული ქალი ნიუარას მიშტერებოდა, მერე ხელები შიგ ჩაყო.

— ოპ! — წამოიყვირა ქალმა და უკან გახტა. მარჯვენა ხელი ამოყო და მაღლა დაიჭირა. ცერა თითოდან სისხლი სდიოდა.

— ენ, არ გაინძრე! — თქვა კაცმა. — აქ გაჩერდი.

ზემოთ, აბაზანაში აირბინა, სამედიცინო აფთიაქის ყუთში სპირტის, ბამბის ტამპონისა და სახვევის ჩხრეკას შეუდგა. როცა ქვევით ჩავიდა, თვალდახუჭული ქალი მაცივარს მიყრდნობილი დახვდა, ხელი ისევ მაღლა ეჭირა. კაცმა ქალის ხელს ხელი მოჰკიდა და ცერზე ტამპონი დაადო. სისხლდენა შეწყდა. თითზე ხელი მოუჭირა, ჭრილობა რომ ენახა, რამდენად ღრმად იყო და შედედებული სისხლის მხოლოდ ერთი, მოცახცახე და კრიალა წვეთი, იატაკზე დაეცა.

ქალი კაცს ცერის ზემოდან დამნაშავედ შესცეკეროდა.

— ღრმად არ არის, — თქვა კაცმა. — ხვალ აღარც კი გეხსომება.

იმედოვნებდა, რომ ასეთი სისწრაფით დახმარების აღმოჩენა, ქალს მისადმი მაღლიერებით აღავსებდა. ქალზე უაგაროდ ზრუნავდა, რაიმე სამაგიეროს გადახდაზე არც უფიქრია, თუმცა ახლა გულში გაივლო, რომ ქალის მხრიდან სასიამოვნო უესტი იქნებოდა, თუ იგი იმ საუბარს ისევ არ წამოიწყებდა, რადგან ამით კაცი გადაღლილი

გახლდათ.

— აქ მე მივხედავ, — თქვა კაცმა. — შენ წადი და დაისვენე. — კარგი, — თქვა ქალმა. — მე გავამ-შრალებ.

კაცი დანა-ჩანგლის რეცხვას ისევ შეუდგა, ჩანგლებს განსაკუთრებული ყურადღებით რეცხავდა.

— ასე რომ, — თქვა ქალმა. — ჩემზე არ იქორწინებდი, შავკანიანი რომ ვყოფილიყავი?!

— ღვთის გულისათვის, ენ! — კარგი, ასე არ თქვი? — არა, ასე არ მითქვამს. ეს შეკითხვა ძალიან სასაცილოა. შავკანიანი რომ ყოფილიყავი, ალბათ, ერთმანეთს არც შევხვდებოდით. შენ შენი სამეგობრო წრე გეყოლებოდა, მე — ჩემი. ერთადერთი შავკანიანი გოგო, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი, დებატების კლუბში ჩემი პარტნიორი იყო და მაშინ უკვე მე და შენ ერთად დავდიოდით.

— თუმცა, რომ შევხვედროდით და შავკანიანი ვყოფილიყავი?

— მაშინ შენ, ალბათ, შავკანიან ბიჭ-თან ივლიდი.

კაცმა საწმენდი აეროზოლი აიღო და ვერცხლეულს მიასხურა. ქაფქაფა წყალმა დანა-ჩანგალს ლურჯი ფერი მისცა, შემდეგ ისევ ვერცხლისფერი დაუბრუნა.

— მოდი, ვთქვათ, რომ არ ვიყავი, — თქვა ქალმა. — დავუშვათ, რომ შავკანიანი და უბინო ვარ და შევხვდით და ერთმანეთი შევგიყვარდა.

კაცმა ქალს ზევიდან გადმოხედა. ქალი მისჩერებოდა და თვალები უბრნინავდა.

— მისმინე, — კეთილგანნყობილი ხმით თქვა კაცმა. — ეს სიბრიყვეა. შავკანიანი რომ ყოფილიყავი, ის არ იქნებოდი, ვინც ხარ.

როგორც კი ეს თქვა, მიხვდა, რომ აბსოლუტური სიმართლე იყო. საკამათო სრულებით არაფერი იყო იმაში, რომ ქალი ასეთი არ იქნებოდა, შავკა-

ნიანი რომ ყოფილიყო. ამიტომ ისევ გაიმეორა:

— შავკანიანი რომ ყოფილიყავი, შენ არ იქნებოდი. — ვიცი, — თქვა ქალმა, — მაგრამ მოდი, უბრალოდ ვთქვათ.

კაცმა ღრმად ამოიოხრა. მართალია, კამათში გაიმარჯვა, მაგრამ ისევ ჩიხში მოექცა.

— რა ვთქვათ? — ჰკითხა კაცმა. — ის, რომ შავკანიანი ვარ, მაგრამ ისევ მე ვარ და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ცოლად შემირთავდი?

კაცი დაფიქრდა. — ხომ ასეა? — თქვა ქალმა და მისკენ ახლოს მიინია. თვალები უფრო მეტად უბრნინავდა. — ცოლად შემირთავ?

— ვფიქრობ, — თქვა კაცმა. — არა, ამას არ იზამ, შემიძლია გითხრა. უარის თქმას აპირებ.

— რადგან საკითხი ასე დააყენე... — მოკლედ მითხარი — დიახ ან არა. — ღვთის გულისათვის, ენ. კარგი. არა.

— გმადლობ, — თქვა ქალმა და სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გავიდა. მცირე ხნის შემდეგ კაცს უურნალის გადაფურცვლის ხმა მოესმა. იცოდა, რომ უურნალს ჩვეულებისამებრ მაშინ კითხულობდა, როცა ძალიან გაპრაზებული იყო, მაგრამ გვერდებს ისე სწრაფად კი არ ფურცლავდა, როგორც ამას აკეთებდა ხოლმე, არამედ ნელ-ნელა, თითქოს თითოეულ სიტყვას სწავლობდა. ქმრისთვის მისადმი გულგრილობის დემონსტრირება სურდა და კაცმა იცოდა, რომ ამით ზუსტადაც იმ საწადელს მიაღწია, რაც უნდოდა. კაცისთვის ეს მტკიცნეული იყო.

სხვა არჩევანი აღარ გააჩნდა. გარდა იმისა, რომ ქალისთვის მისადმი გულგრილობა დაემტკიცებინა. დარჩენილი თევზები წყნარად, გულმოდგინედ დარეცხა. მერე, დაამშრალა და ადგილი მიუწინა. კარადების ზედაპირი და ქურა გაწმინდა, ლინოლეუმს დაღვრილი

სისხლის ლაქაც მოაცილა. მთლიანად იატაკის დაგვა გადაწყვიტა. როცა საქ- მეს მორჩა, სამზარეულო ახალივით გა- მოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა პირველად ეს სახლი აჩვენეს, ვიდრე იქ ცხოვრებას დაიწყებდნენ.

ნაგვით სავსე შეკვრა აიღო და გა- რეთ გავიდა.

ნათელი ღამე იდგა და ცის დასავ- ლეთისკენ, იქ სადაც ქალაქის ღამის განათება ვერ სწვდებოდა, რამდენი- მე ვარსკვლავი შენიშნა. ელ კამინოზე ტრანსპორტი უწყვეტად და მსუბუქად მოძრაობდა, მდინარესავით მშვიდად მიედინებოდა.

სირცხვილს გრძნობდა, რომ ცოლს ნება მისცა, ჩხუბში ჩაეთრია. ასე, ოც- დაათი წლის მერე, ორივე გარდაიც- ვლებოდა. მაშ, ეს სულელური კამათი რაღა საჭირო იყო? ერთად გატარებულ წლებზე დაფიქრდა – როგორი სიახ- ლოვე ჰქონდათ და ერთმანეთს როგორ კარგად იცნობდნენ... ყელში რაღაც ისე გაეჩირა, რომ სუნთქვა გაუჭირდა. სა- ხისა და კისრის ჩხვლეტას გრძნობდა. გულში სითბო ჩაედვარა. მცირე ხანს ასე იდგა, ეს შეგრძნებები სიამოვნებ- და. მერე, ნაგვით სავსე შეკვრას ხელი დაავლო და უკანა ჭიშკრიდან გავიდა.

ქუჩის ბოლოში ორ მანანნალა ძალს ნაგვის თუნუქის ურნა ისევ ამოეყირავებინა. ერთი მათგანი კაცს ზურგს უკან დასტრიალებდა და მეო- რეს პირში გაჩრილი რაღაც ჰქონდა. ღრენით, ის რაღაც პაერში აისროლა, ახტა, დაიჭირა, ისევ შეღრინა და თავი აქეთ-იქით მიატრიალა. როცა ძალებ- მა მათკენ მიმავალი კაცი დაინახეს, სწრაფად, მოკლე და მანჭია ნაბიჯებით

უკან გაიქცნენ. ჩვეულებისამებრ, კაცი ქვებს დაუშენდა ხოლმე, თუმცა ახლა გზა დაუთმო.

როცა დაბრუნდა, სახლი ჩაბნელე- ბული დახვდა. ქალი სააბაზანოში იყო. კარს მიღმა შეჩერდა და დაუძახა. ბოთ- ლების წკარუნი მოესმა, მაგრამ ცოლი არ გაეპასუხა.

– ენ, მართლა ვწუხვარ, – თქვა მან. – გამოვასწორებ, გპირდები.

– როგორ? – ჰკითხა ქალმა.

არ მოელოდა, თუმცა, ქალის ხმის მტკიცე ტრიალობამ, რაც ეუცნაურა, აგრძნობინა, რომ სწორი პასუხი გასცა. კარს მიეყრდნო.

– ცოლად მოგიყვან! – დაიჩურჩულა კაცმა.

– ვნახოთ! – თქვა ქალმა. – ნადი და დაწექი. ერთ წუთში გამოვალ.

ტანზე გაიხადა და საპანქვეშ შეძ- ვრა. ბოლოს სააბაზანოს კარის გაღება და დახურვა გაიგონა.

– სინათლე ჩააქრე! – ჰოლიდან გა- მოსძახა ქალმა.

– რატომ?

– სინათლე ჩააქრე!

საწოლის გვერდით სანათს გადასწვდა და გამორთო. ოთახში ჩამობნელდა.

– კარგი, – თქვა კაცმა. იწვა, მაგ- რამ არაფერი მოხდა. – კარგი, – ისევ გაიმეორა. მერე ოთახის ზღურბლზე რაღაც გამოძრავდა. წამოჯდა, თუმცა ვერაფერი დაინახა. სიჩუმეს დაესად- გურებინა. გული ზუსტად ისე უცემდა, როგორც მათი ქორწინების პირველ ღამეს და მაშინაც, როცა სიბნელეში ხმაურმა გამოაღვიძა და ელოდა, ისევ როდის განმეორდებოდა – სახლში მო- რული ვილაც უცნობის ხმაური.

ინგლისურიდან თარგმნა  
მაია ბოლაშვილმა



## ინგილაბ ისპაკი

ფიქრსა და განსჯას, მართლაც, განმარტოება სჭირდება. ამას მოაზროვნე კაცისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განმარტოება მარტო-ობაზე ცოტა მეტია. მარტოობა თავის თავში ჩაღრმავებას არ გულისხმობს, განმარტოება კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სულმი ჩაღრმავებისკენა მიმართული. თანამედროვე დიდი ქალაქები და უამრავი ინფორმაციული არხით დაქსელილი ურბანული ცხოვრება ამის ნაკლებ შეასაძლებლობას იძლევა. როგორც ჩანს, ფიქრისა და შემოქმედებითი წვისათვის თავგადადებულ ადამიანს პროვინციული სიმყუდროვე უფრო მოერგება. მსოფლიო ლიტერატურაში ამის უამრავი მაგალითია. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი ინგილაბ ისპაკი. იგი დიდი ხანია განვისი მხარის მყუდრო სოფელშია განმარტოებული და გულითა და სულით მისცემია მხატვრულ შემოქმედებას, უფრო კონკრეტულად – პოეზიას. სიღრმისეულობა მის ლექსებს აშკარად ეტყობა. აქ მხატვრული სახეები და მეტაფორები, პოეტური წილსვლები ისეა ერთმანეთში შერწყმული და ოსტატურად გადახლართული, რომ მათი დაშლა და ცალ-ცალკე განხილვა ფაქტობრივად შეუძლებელია. ცოტა ზემოთ „განვის მხარე“ ვახსენეთ. დიახ, ბატონი ინგილაბი საქართველოს მახლობლად

ცხოვრობს და დიდი აზერბაიჯანელი პოეტის, ნიზამი განველის თანამემებულება. დიდი ნიზამი თავისი ვაჟისადმი მიმართვაში ამბობს, რომ შვილო, ლექსს ნუ შეერკინები, რამეთუ იგი (პოეზია) ნიზამისთან ერთად დამთავრდა. ანუ ნიზამი პოეტური სიტყვის შესაძლებლობები მთლიანად ამონურა. ამ გენიოსის თანამემებულე კი გაბედულად მართავს თანამედროვე საზრუნავით გამსჭვალულ პოეტურ სტრიქონებს, თანაც როგორც კონვენციურ, ასევე თავისუფალ სალექსო ფორმებს ოსტატურად იყენებს. ამით იმასაც ამტკიცებს, რომ ყველა დროსა და ეპოქას თავისი სათქმელი აქვს და რაოდენ დიდი და მასშტაბურნიც არ უნდა იყვნენ შენი წინამორბედნი, შენი სათქმელი მაინც შენ უნდა თქვა. უნდა თქვა შენებურად, შენი გულისა და სულის კარნახით, შენი ეპოქისა და რეალური გარემოს პულსის გათვალისწინებით. მხოლოდ ამ პირობით გაქვს უფლება მოკრძალებით შეპტედო პოეზიას, რომლის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელიც შენი თანამემებულება, თანამემებულება, რომელიც მსოფლიო პოეზიას მზესავით დაპნათის და რომელმაც თავის ეპოქაში მართლაც ამონურა პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი. ყველა დროსა და ეპოქას თავისივე თავისებურებებით გამორჩეული სათქმელი აქვს, შემოქმედმა სწორედ ეს უნდა შეამჩნიოს და აქციოს

ლექსად. რასაც ინგილაპ ისპაკი უაღ-  
რესად ორიგინალურად და ოსტატურად  
ახერხებს. მისი ლექსებიდან შესაბამი-  
სი ნიმუშები შეგნებულად არ მოგვყავს,  
რადგანაც ეს პატარა ტექსტი სწორედ  
მის ლექსებს წაემძღვარება. ქართველი  
მკითხველი, რომელიც პირველად ეცნო-  
ბა ბატონი ინგილაბის შემოქმედებას, ამ  
ტექსტს რომ ჩაათავებს, თავად გაეცნო-  
ბა ლექსებსაც და ჩვენი სიტყვების უტ-  
ყურაობაშიც დარწმუნდება.

აქვე ისიც გვინდა დავძინოთ,  
რომ ინგილაპ ისპაკი ყველა შესაძლებ-  
ლობას იყენებს, რათა გამოეხმაუროს

ქართული ლიტერატურის ქმნილებათა  
აზერბაიჯანულენოვან მკითხველმდე  
მიტანის ნებისმიერ მცდელობას. მან აქ-  
ტიური მონანილეობა მიიღო ნიკოლოზ  
ბარათაშვილის საიუბილეო ღონისძიე-  
ბაში, რომელიც ახლახანს აზერბაიჯა-  
ნის ძირძველ ქალაქ განჯაში გაიმართა  
საქართველოს გენერალური საკონსუ-  
ლოს ორგანიზებით, თავის გამოსვლაში  
მან ისაუბრა ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ცხოვრების აზერბაიჯანთან და კერძოდ,  
განჯასთან დაკავშირებულ პერიოდზე  
და აზერბაიჯანულ თარგმანში წაიკითხა  
დიდი პოეტის ლექსები.

მთარგმნელისაგან

### სიტყვა...

სიტყვა ჩემი მშობელი,  
სულ განუშორებელი.  
ვერასოდეს ვერ ვიტყვი,  
მიტოვების ღირსია,  
რომც განვშორდე, სად წავალ,  
გული ისევ მისია.  
სიტყვა ზოგჯერ მოკლეა,  
ზოგჯერ ერთობ გრძელია.  
სიტყვა არ დააძინო,  
გალვიძება ძნელია.  
მოიარე დუნია  
გულში ცეცხლის ნალვერდლით,  
სიტყვა არ დაიღლება,  
შენ თუ არ მოგეძალა  
გადაქანცულს ნალველი...  
...სიტყვა ჩემი მშობელი,  
სულ განუშორებელი.

### განშორება

განშორება ყოველდღე  
მიტევს, თუმცა ვერევი.  
კარებს ცხვირწინ ვუკეტავ,  
საკუთარ ჩრდლის ველევი.  
ციურ სიზმრებს წააგავს,

ამ ზმანებას რა ელის.  
დამრჩა ყლუპი წყალი და  
ერთი ყლუპი ჰაერი...

უცებ გამიმეჩერდა  
მოგონების ყანები.  
მე იმ გოგოს ველოდი  
ნაწამები წამებით.

ათას დარდში ერთიც კი  
ბედნიერი არ არი,  
ტყვილა შემოვიხვიე  
ცუდ ამბავთა დალალი...

განშორებას ბავშვივით  
სძინავს, დრო ჰყავს ძიძებად.  
ალბათ ძნელად მომაგნებს  
როცა გაეღვიძება.

### ბოლოს მეტყველებები

ცივა... ეჭ, ეს ღუმელიც  
ვიცი, ძნელად გამათბობს.  
გაზაფხული უშენოდ -  
ისევ ყინავს, ისევ თოვს.

დარდი ასეთ ამინდში  
გულზე მაწევს ქვასავით.  
შენს ფანჯარას აჰკვრია  
ლექსი პეპელასავით.

ვიცი, რომ ეს იმედიც  
მალე გამიცრუვდება.  
წყენას შერიგება და  
ბოდიშები უხდება...

დაე, ჩვენმა გრძნობებმა  
კვლავ ინათონ, ისხივონ...  
მოვალ, საყვედურებით  
რომც გამიშრო სისხლიო,  
ბოლოს მეტყვი,  
—შეგცივა,  
პალტო წამოისხიო...

**ოიმილის ზაფხული**  
(კომპოზიტორ მამედ ჯაფაროვს)

ამბობ,  
 ზამთარი იღიმებაო...  
 ზოგჯერ ისე მოულოდნელად  
 მოხვდები კაცი  
 ლამაზი ქალის  
 თბილი ღიმილის  
 მაცთურ მირაჟში,  
 რომ არც იყითხავს  
 ჭარმაგ მამაკაცს  
 გაქვს, თუ არა გაქვს რაიმეს თავი...  
 ცეცხლს წაგიკიდებს,  
 რათა წვენი უკანასკნელი  
 ამოგიშროს გულის სილრმიდან...  
 ეპ, მეგობარო, ძნელად თუ ნახავ  
 ასეთ სადარდელს სხვაგან ოდესმე...  
 უცებ გადაგრევს,  
 მერე შეგიქებს  
 ხვითოს გულისას.  
 ღმერთმა უშველოს  
 ასეთ ლამაზმანს,  
 უგულოებს კი  
 გარიდოს ღმერთმა.  
 ღმერთმა დაგიცვას  
 სუსხიანი მზერისგან, ძმაო.  
 გულმა იგულოს  
 და გაუმარჯოს  
 შუა ზამთარში ზაფხულის ღიმილს!

### მომიტევე სიცოცხლევ

შენ შენს გზაზე მოგელის  
 ქვა-ღორლი და ტალახი.  
 შენ ამ მუხლით რომელი  
 მთა გაქვს გადასალახი?

აქ დევნილნი სახლობენ,  
 აქ ქარს ელის ბალახი.  
 დრო სჩქეფს ნიაღვარივით,  
 მთა გაქვს გადასალახი?

გზები გადახერგილი  
 შენ არა გაქვს ნანახი.  
 წყალდიდობის გადაღმა  
 მთა გაქვს გადასალახი?

გზა ამებნა აღმართზე,  
შემეწევა აღაპი.  
მომიტევე, სიცოცხლევ,  
მთა გაქვს გადასალახი?

მატარებელი, რომელიც არ იგივისახს  
(ჩემს მეგობარს ნიზამი მუსეიბოლლუს)  
ვიცი, გზის ბოლოს მელოდები დღეს, მეგობარო,  
გული  
ტყუილა ნუ გიფანცქალებს,  
დავიგვიანებ....  
მატარებლის სისწრაფეში მიიზლაზნება  
წუხილით სავსე  
ჩემი ცხოვრება.  
მაგრამ მე შენთვის  
სულ მუდამ რაღაც მინდოდა მეთქვა...  
ახლა ნურც ტყუილს დამწამებ და  
ნურც შემაჩვენებ...  
სულ ყველა გზას და  
შორ მანძილებს  
გაივლის ჩვენი  
მეგობრობის მატარებელი...  
და შენი გული  
ნამზომია, ვიცი, ოდითგან,  
შენი ისრები -  
ვითარცა თვალის დახამხამება,  
ვერ შეაჩერებს  
მათ ვერც ჩიხი  
და ვერც ტყუილი...  
ვიცი, შენ ახლა  
ამის მოსმენაც გაგიჭირდება.  
ბრძოლის ჟინი გკლავს,  
რადგანაც თავად გზის ბოლოში ხარ,  
როგორც სიცოცხლე ჩათავებული.  
შენა ხარ ჩემი  
და სამეგობროს მატარებელი,  
რომელიც არსად,  
არასოდეს არ იგვიანებს.

იმათ, ვინც ასე გამინავირა

რაღაცის შიშით და მოკრძალებით  
თავს დავტირი და ვიმარხავ ჯერაც.

თუმცა მანამდე რაც რამ არსებობს  
ყვავილის ფურცლით ვამარცხებ ყველას.

ძნელია მუდამ ბრძოლაში ყოფნა?  
არ დაგვაწვიმონ ღრუბლებმა წვიმა.  
ფრთამოტებილთ რომ გაუდარდებათ  
ზამთრის სუსხი არ შეეხოს იმას.

მათ, ვინც მე ასე გამინაპირა  
ვერ ამოჰხადეს სული ჩემს ქურას.  
ალარ ვახსოვვარ არავის რადგან  
ყვავილს ვიხვევ და ღრუბელს ვიხურავ.

### მონატრება

ამ გრძელ გზაზე მოგონება  
ძალზედ მალე გამითავდა.  
ყველა თავის დარდს ჰყვებოდა,  
ყველა თავის სევდას რთავდა.

ვიცი, ბევრი საიდუმლო  
გზათა გასწვრივ ჩრდილად წვება.  
რომელ კარსაც მივადექი,  
შემეგება მდუმარება.

აქ მიცნობენ სალი კლდენიც  
და ჩემს გამო მარად სწუხან.  
როცა ვდუმდი, ბევრ შეკითხვას  
ჩემმა ჩრდილმა უპასუხა.

ალსავლიდან დასავლამდე  
მოვიარე გზები ოდით,  
დედა, რომ არ ყოფილიყავ,  
სახლო, რომ არ ყოვილიყავ,  
როგორ მომენატრებოდი!

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
იმირ მამედლიმ**



## ვახტანგ გურული

### ქართველი საზოგადოება დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღეს

არჩილ ჯორჯაძემ XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის არსი ძალზე ლაკონურად გამოხატა: **შეუწყნარებლობა რუსული სახელმწიფოებრიობისა.** ეს იყო ქართული ეროვნული მოძრაობის დიდი მონაპოვარი, რომელსაც თავისი ლოგიკური გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, ეროვნული მოძრაობის პერსპექტივის არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება პესიმისტური იყო: XX საუკუნე კოსმოპოლიტიზმის საუკუნე იქნებაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის მონაპოვარს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ვითარება მართლაც საგანგაშო იყო. ასწლოვანმა რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ თავისი უარყოფით შედეგი გამოილო. მართალია, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ენის დაცვისათვის დაწყებული მოძრაობა თავისი გზით ვითარდებოდა, მაგრამ თავისი გზით მიდიოდა რუსიფიკაციის, ქართული ენის დევნა-შევიწროების პროცესიც. კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშვილი 1907 წელს იმპერატორისადმი წარდგენილ უქვე-შევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავ-

და, ქართველი გრძნობს, რომ რუსული ენის ცოდნის გარეშე ვაჭრობა-მრეწველობაში ვერ ჩაებმება, ამიტომ რუსული ენის ძალდატანებით გავრცელება საჭირო არ არისო. უფრო მეტიც, რუსული ენის ცოდნის გარეშე წარმოუდენელი იყო რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლა, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასამრთლოში თანამდებობის დაკავება და სხვ. თანამედროვენი იგონებენ, რომ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ქართულ ენაზე საუბარს მხოლოდ დიდუბებში თუ გაიგონებდითო (დიდუბებში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები იყო განლაგებული, სადაც ქართული სოფლებიდან ახლადჩამოსული მუშები იყვნენ დასაქმებულნი). რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ორი ქართველი ერთმანეთს რუსულ ენაზე ესიტყვებოდა. არჩილ ჯორჯაძე გულისტკივილით წერდა: ქართული ენა იდევნება სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ რას უნდა მივაწეროთ ის, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე გამომსვლელები რუსულ ენაზე საუბრობდნენ, როცა ამას არავინ ითხოვდა? არჩილ ჯორჯაძე სვამდა კით-

ხვას: რატომ საუბრობენ ქართლ ოჯახებში რუსულად? არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ის ქართველი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე ან ოჯახში რუსულად საუბრობდა, ერის მოღალატე იყო, მაგრამ “ქართულის დავიწყების” ფაქტები მაინც მრავლის-მეტყველი, შემაშფოთებელი იყო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობა მიმდინარეობდა დაიშალა (“ივერიას” ბანაკი, “კვალის” ბანაკი, “მოამბის” ბანაკი). მალე ამას უაღრესად საშიში მოვლენა, პოლიტიკური პარტიების აღმოცენება, დაემატა. ხელისუფლებიდან მომდინარე რუსუფიკატორულ პოლიტიკასთან ერთად პოლიტიკური პარტიების აღმოცენება დიდ საფრთხეს უქმნიდა ეროვნული მოძრაობის მონაპოვარს, რადგან პარტიების პროგრამები კოსმოპოლიტიზმის დიდ დოზას შეიცავდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ქართულ სინამდვილეში სამი პოლიტიკური ძალა გამოიკვეთა: 1. სოციალ-დემოკრატები (აშკარად გამოკვეთილი კოსმოპოლიტური აზროვნებით), 2. სოციალისტ-ფედერალისტები (ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის შეთანხმების უტოპიური პროგრამით), 3. სოციალისტ-რევოლუციონერები (რუსი ესერებიდან გადმოქართულებული პროგრამითა და აშკარად გამოკვეთილი კოსმოპოლიტური შეხედულებით), 4. ანარქისტები (ყოველგვარი ეროვნულის, ეკლესიურის და თვით სახელმწიფოს არსებობის იდეის უარყოფით, უკიდურესი კოსმოპოლიტიზმით), 5. ეროვნულ-დემოკრატები (ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის აღორძინების მცდელობით). პოლიტიკურ ძალთა ასეთი გადანაწილება თითქმის უცვლელად იქნა შენარჩუნებული 1917 წლამდე. XX საუკუნის დამდეგის ქართველ საზოგადოებაში კიდევ ერთმა უარყოფითმა მოვლენამ იჩინა თავი. ძალზე სუს-

ტი იყო ეროვნული იდეის მატარებელი უპარტიო ქართველი ინტელიგენცია, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა. ეს უფრო საცნაური ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა (1907 წ.) და არჩილ ჯორჯაძის ნაადრევი გარდაცვალების (1913 წ.) შემდეგ გახდა. 1917-1918 წლებში საქართველოს ეროვნულ საბჭოში უპარტიო ქართველი ინტელიგენცია უმნიშვნელო როლს ასრულებდა. კონსტანტინე აფხაზი და კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი, მათი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობის მიუხედავად, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ. საბოლოოდ კი უბარტიოთა ფრაქცია ეროვნულ საბჭოში მთლიანად გაქრა, ხოლო მისი წევრები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შეუერთდნენ. ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის ნაწილი პოლიტიკურ პარტიებში, მათ შორის სოციალისტურშიც, მიმოიფანტა და ეროვნული იდეის მიმართ გაუცხოვდა. ყოველივე ეს იმით დასრულდა, რომ “უბარტიოთა პარტია” უსუსური აღმოჩნდა, ხოლო დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მოთავე ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – საქართველოს დამფუძნებელ კრეპაში – არ აირჩიეს. ამ ერთ მოვლენაში კონცენტრირებულად გამოიხატა ყველა ის უარყოფითი მოვლენა, რომლებიც საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდან მწიფდებოდა. ამ გადასახედიდან სულაც არ ჩანს გადაჭარბებულად არჩილ ჯორჯაძის შეფასება. დიდმა მოაზროვნებ 1905 წლის შემდგომი პერიოდის ქართველ საზოგადოებას “ავადმყოფი საზოგადოება” უწოდა.

1918 წლის 26 მაისმა განსაზღვრა ქართველი ერის ბედი როგორც XX, ისე XXI საუკუნეში. მართლია, საბჭოთა

რუსეთმა 1921 წელს საქართველო ისევ დაიპყრო, მაგრამ დამპყრობელი უძლური აღმოჩნდა ქართველი ერის მეხსიერებიდან ამოეშალა თავისუფლების არასრული სამი წელი, მისთვის თანამდევი დიდი გამარჯვებითა და მნარემარცხით.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ საქართველოს – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წწ.). დღევანდელი ქართველობა მადლიერი უნდა იყოს იმ ურთულეს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსებისა, სხვადასხვა პოლიტიკური მრნამსისა და პარტიული კუთვნილების ადამიანებისა, რომელთაც შეძლეს ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე დაიმკვიდრა ადგილი ქართულმა სახელმწიფომ.

სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შინაარსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და დასანანი წარუმატებლობები განპირობებული იყო XX საუკუნის დამდეგის ქართველი საზოგადოების განწყობილებით, ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათით, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა მისწრაფებით. ცხადია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა ორი დიდი მოვლენის – პირველი მსოფლიო ომისა (1914-1918 წწ.) და რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის – გარეშე. ქართველ ერს უნდა ესარგებლა შექმნილი საერთაშორისო ვითარებით და მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის თავისი ადგილი დაემკვიდრებინა.

არჩილ ჯორჯაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერდა: XIX საუკუნემ დაადასტურა ქართველი ერის მიერ რუსული სახელმწიფოებრიობის შეუწყნარებ-

ლობაო. უდავოა ის, რომ XIX საუკუნის დამდეგის ეროვნულმა აჯანყებებმა და 1832 წლის შეთქმულებამ ქართველი საზოგადოების ეროვნულ ცნობიერებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. უდავოა ისიც, რომ რუსული სახელმწიფოებრიობის შეუწყნარებლობამი ლომის წილი დაიდეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრებმა.

XX საუკუნის დამდეგიდან ვითარება იცვლება. ქართულ სინამდვილეში ეროვნულ და სოციალისტურ ძალთა დაპირისპირებაში სოციალისტებმა იმძლავრეს. ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები, არ მაღავდნენ, რომ მათ მიზანს XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის ლიკვიდაცია წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეას, ხოლო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას, ილიას გზის გმობას ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული მოძრაობის დასამარების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ.

1901 წელს საქართველოში დიდი ზარზეიმით აღინიშნა „რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების 100 წლისთავი“. ცხადია, რუსეთის სამპერიო ხელისუფლებასა და კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას წინ ვერავინ აღუდებოდა! იუბილე ისე გაიმართებოდა, როგორც ეს ხელისუფლებას სურდა. ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი საზოგადოების, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა დამოკიდებულებას ამ სამარცხვინო, ქართველი ერის შეურაცხმყოფელი იუბილესადმი. ცალკეული ქართველი პატრიოტების პროტესტი ვითარებას ვერ ცვლიდა.

1901 წელმა ცხადად დაადასტურა: საქართველოში არ იყო რამდენადმე ძლიერი და გავლენიანი ანტირუსული პოლიტური ძალა (პოლიტიკური პარტია), საშუალო და ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ ლიდერთა (თუ ლიდერობის კანდიდატთა) შორის არ იყო გამოკვეთილი ანტირუსული ორიენტაციით ცნობილი მოღვაწე. ანტირუსული პოლიტიკური ძალა და მისი ლიდერები, შეიძლება, ქართველ ერს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ ვერ მოუწოდებდნენ, მაგრამ ნელ-ნელა, ლეგალური და არალეგალური საშუალებებით უნდა დაწყებული იმ მითის გაქარწყლება, რომ საქართველო „ერთმორწმუნე“ რუსეთის გარეშე ვერ იარსებებდა. ქართველ ერს უნდა გაეთავისებინა ის აზრი, რომ იგი სამუდამო მონობისათვის არ იყო განწირული, დადგებოდა დრო, როცა ქართველი თავისი ბედის გამგებელი გახდებოდა (ასეთი დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლეოდა პოლონეთის ეროვნული მოძრაობა). ამის სანაცვლოდ ქართული პოლიტიკური აზრი რუსეთის იმპერიის სივრცეს ვერ გასცდა, ამ სივრცეში ცდილობდა ეროვნული საკითხის მოგვარებას. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ქართულ საზოგადოებაში ძალზე სუსტი იყო ანტირუსული განწყობა.

XX საუკუნის დამდეგიდან დასავლური სამყარო იწყებს რუსეთის იმპერიის შიგნიდან აფეთქების კარგად გააზრებული გეგმის რეალიზებას. ამ გეგმას ორი მიმართულება ჰქონდა: სოციალური და ეროვნული. გეგმის სოციალური ნაწილი გულისხმობდა რუსეთის სოციალისტური ორიენტაციის პარტიების მხარდაჭერას და სოციალური აფეთქების მომზადებას. გეგმის ეროვნული ნაწილი ითვალისწინებდა ეროვნულ ძალთა წახალისებას, მის რადიკალიზაციას და საბოლოო ჯამში, თუმცა ეს საჭირო გახდებოდა, რუსეთის იმპერიის დაშლას. სწორედ დასავლუ-

რი სამყაროს თანადგომით გახდა შესაძლებელი ჰაგის საერთაშორისო კონგრესზე ქართველი ხალხის პეტიციის წარდგენა (1907 წ.), „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნა (1914 წ.), პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჩაგრულ ერთა კონგრესებზე საქართველოს საკითხის პოპულარიზაცია და სხვ. საბოლოოდ ასეთი შედეგი მივიღეთ: ანტირუსული მოძრაობის ტონის მიმცემი გახდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, საზღვარგარეთ მოღვაწე პოლიტიკური ლიდერები. სამწუხაროდ, პოლიტიკური ემიგრაცია არსებით გავლენას ვერ ახდენდა ქართულ საზოგადოებაზე და პოლიტიკულ ძალებზე. საქართველოში ანტირუსული განწყობილების ძალთა გაძლიერება არ შეიმჩნეოდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ სოციალისტური ორიენტაციის ძალების, პირველ რიგში, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, სწრაფი გაძლიერება ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობასთან შედარებით. საქმე ის გახლდათ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები (ნოე უორდანია, აკაკი ჩხერიძე, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვ.) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში იყვნენ გაერთიანებულნი და ყოველგვარ მხარდაჭერას ღებულობდნენ როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარგარეთიდან. ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას დიდად შეუშალა ხელი ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ (1907 წ.) და არჩილ ჯორჯაძის ნაადრევმა გარდაცვალებამ (1913 წ.).

ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.). გერმანიის იმპერიის მოკავშირე ოსმალეთი (თურქეთი) არ მალავდა თავის აგრესულ გეგმებს საქართველოს მიმართ. საფრთხე რეალური იყო. საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეეძ-

ლო. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის მარცხი საქართველოში ოსმალეთის ბატონობის დასაწყისს ნიშნავდა. ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის, პოლიტიკურ ძალთა და პოლიტიკურ ლიდერთათვის საქართველოში ოსმალეთის მობრუნება წარმოდგენილი იყო. ამ შემთხვევაში არჩევანი ცუდსა (რუსეთსა) და უარესს (ოსმალეთს) შორის გაკეთდა. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში გერმანიის მხარდაჭერით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება ვერ შეძლო. ამ იდეას წინ აღუდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან წინააღმდეგობა კიდევ რომ არ ყოფილი იყო, აჯანყების დაწყება მაინც შეუძლებელი იქნებოდა, ქართველი საზოგადოება რუსეთს ჯერ კიდევ საქართველოს „მხსნელად“ და „მფარველად“ მიიჩნევდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ორმა გერმანულმა კრეისერმა – „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ – შავ ზღვში შემოაღწის. მთელი საქართველო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის მოსახლეობა, პანიკამ მოიცვა. აშკარა იყო, რომ ქართველი გლეხი და მუშა რუსეთის მტერს ჯერ კიდევ თავის მტრად თვლიდა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციისა და რომანოვების იმპერიის ნგრევის შემდგომ დღეებში საქართველოში ანტირუსულ და პრორუსულ ძალთა თანაფარდობა თითქმის 1901 წლის დონეზე იყო (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ევროპაში). შემდგომ ხანებში ანტირუსული განწობილება კიდევ უფრო შესუსტდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: პირველი. დაინგრა რუსეთის იმპერია, დაიწყო რუსეთის დემოკრატიზაცია. მეორე. წარსულს ჩა-

ბარდა რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული მმართველობა საქართველოში; მესამე. აღარ იდევნებოდა ქართული ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული მოძრაობა; მეოთხე. აღდგა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია; მეხუთე. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი) დიდ როლს ასრულებდნენ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მეექვესე. ოსმალეთის აგრესისიგან საქართველოს იცავდა რუსეთის კავკასიის არმია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სამართალმემკიდრემ – დროებითმა მთავრობამ – უმტკივნეულოდ გაავრცელა თავისი იურისდიქცია საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაზე. 1917 წლის მარტიდან თბილისში მუშაობას შეუდგა ხელისუფლების სამხრეო ორგანო – ამიერკავაკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). ოზაკომის მიმართ ლოიალური პოზიცია დაიყავეს როგორც სოციალისტებმა (სოციალ-დემოკრატებმა მენშევიკებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა), ისე ეროვნულმა ძალებმა (ეროვნულ-დემოკრატებმა, უპარტიოებმა). იგივე პოლიტიკას დაადგა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული პირველი და მეორე კრება (1917 წლის აპრილი). სწორედ ინტერპარტიულმა კრებებმა (თავმჯდომარე აკაკი ჩხეინკელი) დაადასტურა სავალალო ჭეშმარიტება: რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში ქართველი ერის, საქართველოს არსებობა ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკურ ელიტას და პოლიტიკურ ლიდერებს სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ. საქართველოს ინტერპარტიულმა კრებებმა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიად სავსებით სამართლიანად მიიჩნია თბილისის გუბერნია ზაქათალის ოკრუგით (ჭარბელაქნით) და ქუთაისის გუბერნია სო-

ხუმის ოკრუგითა (აფხაზეთითა) და ბათუმის ოლქით (აჭარა-ართვინით). ამას ერთად, ქართველმა პოლიტიკოსებმა გამოიჩინეს სავალალო “გულმავინყობა”: რატომ არ ჩაითვალა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიად ყარსის ოლქი (ისტორიული ტაო-კლარჯეთი)? ამ მოვლენაზე, იქნებ არც ღირდა ყურადღების გამახვილება, რომ არა ერთი ცნობილი ფაქტი: სომეხი პოლიტიკური მოლვანები და სომხური ეკლესია ყარსის ოლქს სომხეთის ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ 1917 წელს, ისევე, როგორც 1945 წელსაც, როდესაც ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტაო-კლარჯეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების საკითხი იოსებ სტალინმა ოფიციალურად დააყენა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის წამოყენება და დაცვა კი არავის უცდია. ინტერპარტიული კრებები მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის (ფედერაციული ერთაულის) მოთხოვნით შემოიფარგლა. ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა აცხადებდა: “საქართველოს ტერიტორიალურ ერთეულს უფლებათა მინიმუმი მაინც უნდა მიენიჭოს. საერთო, ზოგად-სახელმწიფოური საქმეები რუსეთის ცენტრის ხელში იქნება, დანარჩენი გადაეცემა ადგილობრივ ერთეულს... თუ რუსეთი ფედერატიული იქნება, ცენტრის ხელში დარჩება საყოველთაო საქმეები. ასეთია ჯარი, ფლოტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ზოგირთი რკინის გზა, ტელეგრაფი, ფოსტა, ზოგი ტელეფონი, სავაჭრო პოლიტიკა, სამოქალაქო და სისხლის სამართლიდან ზოგიერთი საზოგადო კანონები... აგრეთვე, ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეობრივი თავისუფლება”. სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი საქართველოს ავტონომიის იდეას არასასურველად მიიჩნევდა: “პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივა, ეს იქნებოდა

ეკონომიკურათ უკანდამხევი და პოლიტიკურათ შეუძლებელი”.

ქართველ საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებში ანტირუსული განწყობილების გაძლიერება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია უნდა მომხდარიყო 1917 წლის 25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ბოლშევიკებმა რუსეთის დემოკრატიული განვითარება შეაჩერეს და ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს. საქართველოს პოლიტიკურ ძალთაგან ყველაზე ძლიერს – ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) – საბჭოთა (ბოლშევიკურ) რუსეთთან ურთიერთობის დამყარება პრინციპულად არ სურდა, იგი არც სცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას. მაგრამ ყოველივე ეს ანტირუსული განწყობილების გაძლიერების, დასავლური ორიენტაციის შემუშავებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციის საფუძველი არ გახდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ და რუსეთი ისევ დემოკრატიული განვითარების გზას დაადგებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ფიქრობდა მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოლვანე). სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოში დროულად არ დაიწყო რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის განვეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის პროპაგანდა, არ დაიწყო მოკავშირის ძებნა. პირიქით, დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალე სოციალისტური ორიენტაციის ძალები ხელს უშლიდნენ ქართულ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას, ქართველი ერის მომზადებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ თვალსაზრისით

რადიკალური მოქმედებისაგან თავს იყავებდნენ ეროვნულ-დემოკრატები. საბოლოო ჯამში, საქართველოში ვერ შეიქმნა ძლიერი ანტირუსული პოლიტიკური ძალა, რომელისთვისაც მიუღებელი იქნებოდა საქართველოს ყოფნა როგორც საბჭოთა (ბოლშევიკურ), ისე დემოკრატიულ რუსეთში. ამიტომ იყო, რომ 1917 წლის 15 ნოემბრში თბილისში შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ევგენი გეგეჩკორი) მხოლოდ სამხარეო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის კომისარიატი საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, თუმცა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირს არ წყვეტდა და რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენას ელოდებოდა. ცხადია, ასეთი ტაქტიკის პირობებში ანტირუსული განწყობილება ვერ გაძლიერდებოდა და ვერც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დაწყება მოხერხდებოდა. ეროვნულ-დემოკრატების (გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის და სხვ.) ენერგიული პროტესტის მიუხედავად, იგივე სულისკვეთება გაბატონდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე (გაისნა 1917 წლის 19 ნოემბერს). ყრილობამ პრორუსული ორიენტაცია დაადასტურა, თუმცა ხაზი გაესვა იმას, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა არა საბჭოთა, არამედ დემოკრატიული რუსეთი. დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ეროვნულ-დემოკრეტებს ქართველი სოციალ-დემოკრატები ისევ კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის არმიით აშინებდნენ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში რუსეთის არმია ან საქართველოს ოკუპაციას მოახდენს, ან ფრონტის ხაზს დატოვებს და რუსეთს დაბრუნდებაო, დროდადრო ისმალეთის აგრესიულ გეგმებზე საუბრითაც ცდილობდნენ თპონენტების დაშინებას.

1918 წლის იანვრამდე ლოდინის ტაქტიკას შეიძლება რაღაც განმართლება კიდევ მოეძებნოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის კანონიერი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება – გარეკეს, ამგვარმა პოზიციამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ლოდინის ტაქტიკა კიდევ უფრო გაუმართლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის იანვარში საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდის შემდეგ რუსეთის არმიამ საქართველო დატოვა. შექმნილ ვითარებაში რჩებოდა ერთადერთი გზა: **სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენა**. ამის სანაცვლოდ სოციალისტური ორიენტაციის ძალებმა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის განყვეტისაგან კვლავ თავი შეიკავეს და ისევ ლოდინის ტაქტიკა გააგრძელეს. მართალია, ამიერკავკასიის სეიმი (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) 1918 წლის 10 თებერვალს უკვე შექრებილი იყო, მაგრამ ამიერკავკასიის (და არა საქართველოს!) დამოუკიდებლობა მხოლოდ 1918 წლის 9 (22) აპრილს გამოაცხადა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა ლოდინის ტაქტიკის გაგრძელებას ნიშნავდა. სოციალისტური ორიენტაციის ძალები ბოლომდე ფეხს ითრევდნენ, დამოკრატიული რუსეთის მოტრფიალენი თავს იზღვევდნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ ჩქარობდნენ. ლოდინის ტაქტიკას ბოლო ისმალეთმა (თურქეთმა) მოუღო. **ტრაპიზინის კონფერენციაზე** (1918 წლის მარტი), ხოლო შემდეგ ბათუმის კონფერენციაზე (1918 წლის მაისი) ისმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით (1918 წლის 3 მარტი) მინიჭებული უპირატესობის დადასტურებას და ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი

(აჭარა, სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი) ოსმალეთის არმიის მიერ იქნა ოკუპირებული. საფრთხე ემუქრებოდა ქუთაისასა და თბილისს. ბათუმის კონფერენციაზე დელეგაციის მეთაური აკაკი ჩხერიელი 1918 წლის 12 მაისიდან 28 მაისამდე თბილისში გამოგზავნილ წერილებში დაფინებით ითხოვდა დამოუკიდებლობის სასწრაფოდ გამოცხადებას. როცა აკაკი ჩხერიელის ეკითხებოდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თუ იგი ოსმალეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის საფრთხეს ვერ მოხსნიდა. პასუხი აპსოლუტურად სწორი იყო: თუ ოსმალეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიყრობდა, საერთაშორისო ასპარეზზე ეს ჩაითვლებოდა რუსეთის ტერიტორიის დაპყრობად, რაც უპერსპექტივოს გახდიდა საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. თუ დაპყრობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოხდებოდა, ეს იქნებოდა ოსმალეთის მიერ სუვერენული სახელმწიფოს დაპყრობა. ეს კი საქართველოს ბრძოლის პერსპექტივას უტოვებდა. აკაკი ჩხერიელის პრინციპულმა პოზიციამ ბევრნილად განსაზღვრა საქართველოს ეროვნული საბჭოს ლოდინის ტაქტიკის დასასრული...

1918 წლის 25 მაისს, გვიან საღამოს, ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ცხადი გახდა: 1. სომხეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული; 2. აზერბაიჯანი ისმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნად არ განიხილებოდა; 3. საქართველოს ტერიტორიის ნაწილი (სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები) ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერება საკუთარი სამხედრო ძალით საქართველოს არ შეეძლო; 4. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო ოსმალეთის მიერ

საქართველოს დაპყრობამდე; 5. შეიძლებოდა ოსმალეთს საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც დაეპყრო, მაგრამ ამ შემთხვევაში ოსმალეთი დაიპყრობდა დამოუკიდებელ ქვეყნას, ეს კი საქართველოს გაუადვილებდა მომავალში საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას; 6. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში გერმანიის იმპერია საქართველოს დაიცავდა, მათ შორის ოსმალეთის აგრესისაგანაც. ამიერკავკასიის სამოკავშირო სახელმწიფოს დაცვას გერმანია ვერ იკისრებდა, რადგან სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები – თურქოფილურ ორიენტაციაზე იდგნენ. მოკლედ რომ ვთქვათ საკითხი ასე იდგა: ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, ან ოსმალეთის საკუპაციო რეჟიმის დამყარება. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ყოფილა ანტირუსული მოძრაობის, ანტირუსულ ძალთა კონსლიდაციის შედეგი. პოლიტიკურმა ძალებმა, ელიტამ და ლიდერებმა, მოსახლეობას არ განუმარტეს უმთავრესი: ქართველი ერი სახელმწიფოებრივ კავშირს სწყვეტდა რუსეთთან, პოლიტიკური რეჟიმისაგან დამოუკიდებლად უარს ამბობდა რუსეთის შემადგენლობაში ნებისმიერი ფორმით ცხოვრებაზე.

ტაქტიკის ასეთი სწრაფი შეცვლა გაუგებარი დარჩა ქართველი საზოგადოებისათვის. საზოგადოებაში დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღესაც ანტირუსული განწყობილება არ იყო ძლიერი და ყოვლისმომცველი. საზოგადოებამ პასუხი ვერ იპოვა კითხვაზე: ქართველები რუსეთს გავურბოდით თუ ოსმალეთს? რუსეთთან სახელმწიფოებ-

რივ კავშირს ვწყვეტდით და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვაცხადებდით იმიტომ, რომ ეს ასე გვსურდა, თუ ამას ოსმელეთის აგრესისაგან თავის დაცვა გვაიძულებდა? ასეთმა ვითარებამ, საზოგადოება დააბანია და საბოლოოდ გახლიჩა კიდეც.

მიუხედავად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა, სოციალისტურ და ეროვნულ ძალთა შერიგება არ მომხდარა. გახლეჩილი დარჩა პოლიტიკური ელიტაც და საზოგადოებაც. ახალმა საქართველომ არსებობა დაინტენტოლობა პირობების, პოლიტიკური ელიტისა და მთელი ქართველი საზოგადოების გახლეჩის პირობებში. დროებითმა დაზავებამ, სოციალისტური და ეროვნული ორიენტაციის ძალების შეთანხმებამ ძალზე ცოტა ხანს გასტანა – 1918 წლის 25 მაისის გვიან საღამოდან 26 მაისის ნაშუადღევამდე. შემდეგ დაპირისპირება თავიდან დაიწყო... 1918-19121 წლებში ეროვნულ საბჭოსა და დამფუძნებელ კრებაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვისას დიდ დროსა და ენერგიას ახმარდნენ ვიწროპარტიული და, რაც მეტად სავალალო იყო, კლანური ინტერესების დაცვას. ეს დაპირისპირება გაგრძელდა ემიგრაციაშიც კი გაგრძელდა, მეტიც, სამარცხვინო ფორმები მიიღო....

1918 წლის 29 მაისს გაიმართა თბი-

ლისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. 26 მაისის შემდეგ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეფასებისას ირაკლი წერეთელმა პრატიკულად აღიარა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება განაპირობა რუსეთის არმიის გასვლამ სამხრეთ კავკასიიდან, რამაც ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საფრთხე რეალობად აქცია, ამ საფრთხეს ირაკლი წერეთელი დამლუბველად მიიჩნევდა: “თურქეთი საშიშია თავისი იმპერიალისტური სიბეჭით, თავისი ჩამორჩენილობით.” ამავე დროს, იგი თვლიდა, რომ საქართველომ “დამოუკიდებლობა მოიპოვა გერმანული იმპერიალიზმის დიდი ეკონომიკური კაბალის ფასად”.

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივის აღდგენისათვის. ამ დიდ მონაპოვარს ვერაფერი დაჩრდილავს. რაც შეეხება იმას, თუ თვისობრივად როგორი იყო ეს გამარჯვება, ამის თაობაზე პოლემიკა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩვენი აზრი კი ასეთია: 1918 წლის 26 მაისი თავისი არსით იყო ისეთი, როგორიც იყო ქართველი საზოგადოება, მისი პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ლიდერები. უკეთესი იმსანად მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.